# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ივლისი **ორშაბათი** 2010

№ 167 (13 155) ფასი 60 თეთრი




## ჟორდანია ვიტესის პრეზიდენტად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრამოვიჩი უახლოეს დღეებში გაარკვევს...

» გვერდი 2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადებიუტო მატჩი და რამდენიმე სიახლე



შაბათს სომბათჰეიში. უნგრეთი-საქართველო 90:82. ბურთით ზაზა ფაჩულია

დღეს 18:00 სლოვაკეთის ნაკრებს ვეთამაშებით » გვერდი 12



## მოდით და გვიქომაგეთ

დინამო. ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

» გვერდი 3



## მკაცრი არსენი

ვენგერი: ფაბრეგასს თავი დაანებეთ

» გვერდი 8



## მხოლოდ 74 და ცირეკიძე

ოქრო არც ბერძნულ-რომაულში გვერგო

» გვერდი 11



## ორი ქართული გოლი და ჟანოს უიღბლობა

ლეგიონის უქმეები » გვერდი 5

## მონაკოს გრან-პრი არ იქნება?



» გვერდი 16

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეზონანსული პროექტი

# ჟორდანია ვიტესის პრეზიდენტად?

## აბრამოვიჩი უახლოეს დღეებში გაარკვევს

ერთი კვირის წინ ვწერდით - **მერაბ ჟორდანიამ** რეზონანსული პროექტი ჩაიფიქრა და შესაძლოა მალე ერთ-ერთი ევროპული კლუბის ხელმძღვანელად დანიშნონო.

სფფ-ისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი დიდი ხანია ცნობილ რუს ბიზნესმენთან, "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** მეგობრობს, თუმცა, ჟორდანია ამის აფიშირებას ერიდება. ისინი ერთმანეთს წლების წინათ ლონდონში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა **მიხეილ სურგულაძემ** გააცნო. მას შემდეგ დამეგობრდნენ და ნდობაც გაჩნდა. სხვათა შორის, სურგულაძე ადრე თბილისის "დინამოში" ჰოლანდიელი სპეციალისტის, **იოჰან ბოსკამპის** დანიშვნისა და გუნდის "ენიკის" ჯგუფში ჩართვის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ. მოლაპარაკებები გერმანიაში საქართველოს მაშინდელი ელჩის, **კოტე გაბაშვილის** კაბინეტში მიმდინარეობდა. "ენიკის" ჯგუფში შედიოდნენ პრალის "სლავია", ათენის აეკ-ი და ლონდონის "ჩელსი". მეოთხე გუნდი თბილისის "დინამო" უნდა გამხდარიყო, ჯგუფის სპონსორი კი ლონდონში მცხოვრები ცნობილი არაბი ბიზნესმენი, მილიარდერი **მოჰამედ ალ-ფაიედი** იქნებოდა, **დოდი ალ-ფაიედის** მამა. ეს ყველაფერი 1999 წელს ხდებოდა.

სამწუხაროდ, მაშინ პროექტი "დინამოში" დატრიალებული მოვლენების გამო ჩაიშალა. თუმცა ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

აბრამოვიჩისა და ჟორდანიას ნაცნობობა მეგობრობასა და პარტნიორობაში გადაიზარდა და როგორც ამტკიცებენ, მნიშვნელოვან საფეხბურთო საკითხებს ერთად აგვარებდნენ. მაგალითად, უეფას პრეზიდენტის არჩევნებში, ორივე **მიშელ პლატინის** თანაგუნდელი იყო და მნიშვნელოვანი დახმარებაც გაუწიეს.

პლატინიმ თავად განაცხადა, რომ მისი გაპრეზიდენტება ორი ხმის დამსახურება იყო - აბრამოვიჩმა რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხმა დაუჯავშნა, საქართველოში კი პლატინიმ პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** მხადარაჭერა მოიპოვა. ამ მადლიერების გამოხატულება გახლდათ, არჩევნების შემდეგ პლატინი პირველად საქართველოს რომ ესტუმრა.

...რუს ოლიგარქ აბრამოვიჩს დიდი ფული აქვს, მაგრამ პირადი კავშირებით თავს ქართული ფედერაციის ყოფილი მმართველი უფრო ინონებს - პლატინი მისი მეგობარია და ორი წლის წინათ უეფას ალმასკომში ლობირებდა. ბუნებრივია, ჟორდანიას კავშირები ამით არ ამოიწურება და აბრამოვიჩმა ჩათვალა, რომ ჟორდანია საჭირო კაცი იყო - "ჩელსისთან" დაკავშირებული პროექტებით ქართველის მიმართ ნდობა კიდევ უფრო განუმტკიცდა.

ადრეც ვწერდით, რომ ჟორდანიამ „ჩელსის" მეპატრონეს ბრაზილიური კლუბის შესყიდვა შესთავაზა და მოლაპარაკებებიც მიმდინარეობდა – ამით ლონდონელ „არისტოკრატებს" უმდიდრეს ბრაზილიურ "საფეხბურთო საბადოზე" ექსკლუზიური უფლების მოპოვება სურდათ. ვერ გეტყვით, მერე რა მოხდა, მაგრამ მოლაპარაკებებზე ალარაფერი გვსმენია.

რამდენიმე ხნის წინათ მორიგი პროექტზე დაფიქრდნენ და აბრამოვიჩმა და ჟორდანიამ ევროპაში (ბელგიაში, ჰოლანდიაში ან გერმანიაში) კლუბის შესყიდვა გადაწყვიტეს.

სანდო წყარომ გვაცნობა, რომ პროექტის ბედი უახლოეს დღეებში ჰოლანდიაში გადაწყდება, სადაც საბოლოო მოლაპარაკება გაიმართება.

არასწორი გამოდგა ინფორმაცია, თითქოს უფრო რეალური გერმანული კლუბი იყო, "აზ ალკმაარის" შეძენაც გამოირიცხა. საბოლოოდ, აბრამოვიჩმა და ჟორდანიამ არჩევანი "ვიტესზე" შეაჩერეს.

"ვიტესი" ჰოლანდიასა და მთელსმსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძველი კლუბია - ის 1892 წლის 14 მაისს დაარსდა. მართალია, ჰოლანდიის ჩემპიონი მხოლოდ მე-19 საუკუნეში (1895 და 1896 წლებში) გახდა, საუკუნეზე დიდი ჰოლანდიურ კლუბი მაინც ბრენდია და აბრამოვიჩმა მისი ყიდვა ამიტომ მოისურვა. "ვიტესს" ბოლო წლებში არ ულხინს. გასულ სეზონში ერედივიზიონში მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილს დასჯერდა და ფინანსურმა პრობლემებმა შეაწუხა.

ვიმეორებთ, ინფორმაცია მოლაპარაკებების თაობაზე კარგად ინფორმირებულმა წყარომ გაგვანდო. სხვა საქმეა, ეს ყველაფერი როგორ დასრულდება, თუმცა, "ვიტესიდან" წინასწარი თანხმობა მიღებულია და იურიდიული და სხვა ტექნიკური სახის დეტალებია შესათანხმებელი.



მერაბ ჟორდანია

რაც მთავარია, კლუბის შესყიდვის შემთხვევაში, მერაბ ჟორდანია "ვიტესის" პრეზიდენტი (გენერალური მენეჯერი, ან სხვა მსგავსი ტიტულის ფუნქციონერი) გახდება, რაც საქართველოსა და მისი ფეხბურთისთვის სასურველი უნდა იყოს.

ჟორდანია რომ კლუბში ქართველის აყვანას შეეცდება, უდავოა. არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ "ჩელსიში", შესაძლოა, ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი მისი რეკომენდაციით გადავიდეს.

რა ადგილს დაიკავებს ქართული ფეხბურთი აბრამოვიჩ-ჟორდანიას სქემაში და საერთოდ, აქვს თუ არა ადგილი შეგულებული?

ზემოთაც ვთქვით, რომ 10 წლის წინათ "ენიკის" პროექტი ჩაიშალა. თუმცა, მაშინ ჩაფიქრებული მოდელი ჟორდანიას არ დავიწყებია და სქემის ამუშავებას, ახლებური ინტერპრეტაციით აპირებს: პირამიდის თავში „ჩელსი" იქნება, შემდეგ "ვიტესი" და მერე – ევროპის ქვეყნებში მისი პარტნიორი კლუბები, მათ შორის, თბილისის „დინამო". ჟორდანიას ჩანაფიქრის თანახმად, ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი ფინანსურ გაჭირვებას თავს ასე თუ დაალწევს, წელში გაიმართება და ევროპაში უფრო თამამად იასპარეზებს.

ბუნებრივია, ამ პროექტით "დინამოს" მეპატრონეც უნდა იყოს დაინტერესებული. ამტკიცებენ, რომ ჟორდანიამ ლონდონში პატარკაციშვილის ოჯახის თანხმობა მიიღო. თუმცა, მოვითმინოთ და უტყუარ ფაქტად მხოლოდ მერე გამოვაცხადოთ, როცა შეთანხმებას ოფიციალურად დაადასტურებენ.

„დინამოს" ძველი და ახალი მმართველები, მერაბ ჟორდანია და **ბუბა ტყავაძე** ივლისში ლონდონში იმყოფებოდნენ, მაგრამ პირადი შეხვედრა არც ერთს არ სურდა. "დინამოს" ბედი მათ შეხვედრაზე არც იყო დამოკიდებული.

თბილისური კლუბის ევროპის ლიგაზე, შვედეთში "გეფლესთან" მოგებამ ყველა ძალიან გაგვახარა, მაგრამ სანამ „დინამო" საქართველოში მაინც არ დაიბრუნებს ძველ პოზიციას, უკმაყოფილების გრძნობა ყოველთვის გაჩნდება. დღეს კი გუნდი გულშემატკივრის ამბიციას ვერ აკმაყოფილებს.

"დინამოს" მსგავს სქემაში ჩართვა მერაბ ჟორდანიას ოცნებაა და ამაზე მხოლოდ "ენიკის" ჯგუფთან დაკავშირებული ამბები არ მეტყველებს. ჟორდანია მუდამ ეძებდა კლუბს, რომელიც ქართულ ფეხბურთს ისეთივე სამსახურს გაუწევდა, როგორც ლიტვურ ფეხბურთს უწევს შოტლანდიაში **ვლადიმირ რომანოვის** მიერ აყვანილი "ჰართსი". თუ გახსოვთ, 2000 წელს ჟორდანიამ ბელგიის მესამე დივიზიონის კლუბი "მეხელენი" შეიძინა და ექვსი ქართველი ფეხბურთელი წაიყვანა. მიზანი იყო ევროპულ გუნდში ქართველებით წარმატების მიღწევა, მათი უკეთეს კლუბებში დაწინაურება და ნაკრების გაძლიერება. თუმცა "მეხელენი" ბელგიელმა მეწილეებმა შარში გახვიეს და ეს პროექტიც ჩაიშალა.

ამის მიუხედავად, ჟორდანია გამოსავალზე მაინც ფიქრობდა, მაშინაც, ადრეც, გათავისუფლების შემდეგაც და როგორც ჩანს, ახლაც, მიზანთან ახლოსაა. ამ საინტერესო პროექტით ქართული ფეხბურთი ევროპასთან იმ კავშირს დაამყარებს, რაც დღევანდელი ჭაობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზად გვეჩვენება.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ინტერვიუ

# დუკლას მთავარი მწვრთნელი:

## ღვალის დონის თავდამსხმელები სლოვაკეთის ჩემპიონატში არ თამაშობენ



ზესტაფონში განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ სლოვაკურმა გამოცემა "დენნიკ შპორტმა" "დუკლას" მთავარ მწვრთნელ კაროლ მარკოსთან მცირე ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ამ უკანასკნელმა წაგების მიზეზებზე ისაუბრა და ქართველები შეაქო, მანამდე კი ის თქვა, რომ ქუთაისის აეროპორტში მათ თვითმფრინავს ტექნიკური პრობლემა შეექმნა და "დუკლა" სამშობლოში დაგვიანებით დაბრუნდა. მარკო ზემოთ აღნიშნულ გამოცემას სლოვაკეთში დაბრუნების შემდეგ ესაუბრა.

**ინტერვიუმდე კი "დუკლას" კაპიტნის, მარტინ პოლიოვკას კომენტარსაც შემოგთავაზებთ: "შეიძლება, 0:3-ს არ ვიმსახურებდით, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და მარცხი ლოგიკურია. უამრავი შეცდომა დავუშვით, რაც "ზესტაფონის" ფეხბურთელებმა შესანიშნავად გამოიყენეს. ამაზე ცუდად თამაში, უბრალოდ, წარმოუდგენელია".**

**- ელოდით, რომ "ზესტაფონი" ასე ძლიერად ითამაშებდა?**

- თავიდანვე ვიცოდით, რომ საქმე ძლიერ მეტოქესთან გვექნებოდა, მაგრამ ასეთი შედეგი უპირველესად, ჩვენი ბრალია. პირველი გოლისას არ გაგვიმართლა, ხოლო ჩვენს კარში გატანილი მეორე ბურთი "დუკლას" მცველების შეცდომას მოჰყვა. მათ გოლის ავტორს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამან ჩვენი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად დათრგუნა და მათ შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოიყენეს.

**- "ზესტაფონის" შემადგენლობიდან ორი გოლი ჯაბა დვალმა გაიტანა.**

- ასეთი დონის თავდამსხმელები სლოვაკეთის ჩემპიონატში არ თამაშობენ. "ზესტაფონს" მის გარდა კიდევ რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ მაინც შეგვეძლო მათთვის მეტი წინააღმდეგობის გაწევა.

**- უპირველეს ყოვლისა, რაში გვაჯობეს ქართველებმა?**

- სლოვაკი ფეხბურთელები საზღვარგარეთ თამაშზე ოცნებობენ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი იმას ვერ აცნობიერებს, რომ ჯერ სლოვაკურ კლუბებში უნდა გამოიჩინონ თავი და მხოლოდ ამის შემდეგ გაეხსნებათ გზა უცხოეთისკენ. ასე რომ, მარცხის უპირველეს მიზეზად პროფესიონალიზმის ნაკლებობას დავასახელებდი.

**- აქვს "დუკლას" სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი?**

- "ზესტაფონი" ძლიერი მეტოქეა და პირველ შეხვედრაში სოლიდური გამარჯვებით შემდეგი ეტაპისკენ დიდი ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ უშანსოდ მაინც არ ვართ. განმეორებით მატჩში აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და მომდევნო რაუნდში გასასვლელად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ჩემპიონთა ლიგა

ოლიმპი-აქტობე

# გამარჯვება რუსთაველამდე და უიმედო ტრავმირებულები

შაბათს ყაზახეთის პრემიერლიგის მე-19 ტურის მატჩები გაიმართა. ბუნებრივია, ჩვენს ყურადღებას "აქტობეს" მატჩი იპყრობდა - ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის "ოლიმპის" მეტოქემ საკუთარ სტადიონზე "ოკჟეტპესი" 4:1 დაამარცხა.

**„აქტობე": სიდელნიკოვი - მოკრუოსოვი, სმაკოვი, ბა, კენჟისარიევი - ესომბა (77. ავერჩენკო), კარპოვიჩი (72. ბონო), ხაირულინი, გოლოვსკოი, დარაბაევი (67. კურმაშევი) - ტლეშევი.**

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ მუხანოვმა** „ოლიმპთან" მატჩის შემადგენლობიდან ოთხი მოთამაშე დაასვენა და მოკრუსოვი, კენჟისარიევი, დარაბაევი და ტლეშევი ათამაშა. აქედან ძირითადის ფეხბურთელი მხოლოდ კენჟისარიევია, რომელიც ჯერ კიდევ გასული ევროსეზონიდან დისკვალიფიცირებული იყო და რუსთაველებთან პირველი მატჩიც გამოტოვა. იური მოკროუსოვი კი ახალწვეულია და ძირითადში მის დაყენებას მხოლოდ ასეთ მატჩებში რისკავს.

თვალშისაცემი გახლდათ სერბი ფორვარდის, **ივან პერიჩის** არყოფნა. მის ნაცვლად ძირითადში ადგილი ყაზახმა მურატ ტლეშევმა დაიკავა და ეტყობა, თამაშს ისე იყო მონწყურებული, "ჰეთ-თრიკი" შეასრულა. არადა, აქამდე ჩატარებულ 18 მატჩში ტლეშევმა ზუსტად ამდენივე ჰქონდა გატანილი - მეოთხე გოლი კი მოკრუოსოვმა გაიტანა.

პერიჩის აყვანის შემდეგ ტლეშევს სკამზე გადანაცვლება უწინასწარმეტყველეს, მაგრამ "ოკჟეტპესთან" მშვენიერი თამაშის შემდეგ, "აქტობეს" მთავარ მწვრთნელს სასიამოვნო საფიქრალი გაუჩნდა – რომელი მათგანი ათამაშოს 21 ივლისის „ოლიმპთან" ძირითადში. ეს არის კონკურენციის შედეგი, რომლის საშუალებაც "ოლიმპის" თავკაც **თემურ მახარაძეს** არ გააჩნია.

ივან პერიჩის ტრავმა კი სერიოზული არ აღმოჩნდა, რაც თავად თქვა: *"კუნთი გამეჭიმა, თუმცა, იმედია, განმეორებითი შეხვედრაში მოედანზე გასვლას მოვახერხებ".*

მუხანოვი გახარებულია როგორც იქნა, მისმა გუნდმა რეალიზაციის მაჩვენებელი გააუმჯობესა: *"ჩვენ ისედაც კარგ ფეხბურთს ვაჩვენებდით, მაგრამ შედეგი არ გვქონდა, რადგან მომენტების რეალიზაციაში მოვიკოჭლებდით".*

ისედაც ორბურთიანი უპირატესობის მქონე ყაზახეთის ჩემპიონი, საქართველოს კიდევ უფრო კარგი განწყობით ესტუმრება. "ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, ყაზახები საქართველოს 20 ივლისს 50-კაციანი შემადგენლობით ესტუმრებიან. მათ შორის იქნებიან გუნდის წევრები, ჟურნალისტები და ქალაქ აქტობეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ამ გამარჯვებით "აქტობე" ყაზახეთის პირველობაზე მესამე ადგილზე დაწინაურდა და ლიდერ "ტობოლს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, გუნდს დაცვაში პრობლემები რომ აქვს, "ოლიმპთან" პირველ მატჩშიც გამოჩნდა და სტატისტიკაშიც "იყიდება" – პირველი ექვსეულში ყველაზე მეტი 17 გოლი აქვს გაშვებული. 19 მატჩში 17 გოლი დაცვის არასაიმედოობაზე მეტყველებს. თუმცა, "ტობოლის" შემდეგ, ყველაზე შედეგიანი გუნდია – 18 გოლი.

შეგახსენებთ, „ოლიმპისა" და „აქტობეს" განმეორებითი შეხვედრა „ფოლადზე", 21 ივლისს 18.00 საათზე დაიწყება.

"ოლიმპის" პრესატაშე მიხეილ ჯორბენაძის თქმით, ყაზახები "ფოლადის" სტადიონზე 17:40 საათზე პრესკონფერენციას გამართავენ, 18:00 საათზე დასაწყებ ვარჯიშს კი მედიისთვის მხოლოდ 10-წუთით გახსნიან. მანამდე კი "ოლიმპის" ვარჯიში და მთავარი მწვრთნელის, **თემურ მახარაძის** პრესკონფერენცია დაიგეგმა.

ყაზახებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, განმეორებით მატჩში რუსთაველები ორ ტრავმირებულ ფეხბურთელს იმატებენ. ეს სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ორი ტრავმირებულიდან (**ლაშა ჯაფარიძე** და **რეზო ქიჯია**) მხოლოდ ჯაფარიძეს აქვს თამაშის უფლება. "ოლიმპში" ახლა მხოლოდ მის მომჯობინებას იმედოვნებენ.

*"ტყუილია, რა ორი კაცს ვიმატებთ, ერთადერთი ჯაფარიძეს შეუძლია თამაში, მაგრამ ისიც ტრავმირებულია და მეეჭვება, მოედანზე გასვლა შეძლოს"*, - გვითხრა ჯორბენაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დინამო

ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

# მოდით და გვიქომაგეთ!

...ევროტურნირებზე ქართული გუნდების სტუმრად გამარჯვებებით განებივრებულნი ნამდვილად არა ვართ; მით უფრო, როცა მეტოქე არცთუ სუსტი საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელია. სწორედ ამიტომაც მივიჩნიეთ სასიამოვნო მოულოდნელობად თბილისის „დინამოს" შვედურ „გეფლესთან" სტუმრად მოგება, თანაც, ყველას კარგად მოეხსენება, როგორი საკადრო თუ სხვა პრობლემებით შეხვდა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი წლევანდელ ევროტურნირებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გასული სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტები დაუმთავრდათ და „დინამოდან" წავიდნენ ძირითადი შემადგენლობის წამყვანი ფეხბურთელები (გურამ კაშია, შოთა კაშია, ჯორჯ აკირემი, თენგიზ ჩიკვილაძე, ალექსანდრ კრსტესკი). ამას გარდა, პირველად ბოლო წლების განმავლობაში, „დინამო" უცხოურ შეკრებაზე ვერ გაემგზავრა...

ამ ყველაფრის მიუხედავად, კახა კაჭარავას გუნდმა ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიც წარმატებით გაიარა, როცა ესტონურ „ფლორას" აჯობა და მომდევნო ბარიერის დასაძლევადაც, ფაქტობრივად, დიდი ნაბიჯი გადადგა. ყოველ შემთხვევაში, შვედეთში გამარჯვების შემდეგ, „დინამო"-„გეფლეს" წყვილის აშკარა ფავორიტად უკვე ჩვენი გუნდი უნდა მივიჩნიოთ.

„დინამოს" მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავასთან ჩვენი საუბრის ძირითადი თემა, რაღა თქმა უნდა, წლევანდელი ევროტურნირები იყო; თუმცა, ვერც სხვა თემებს ავცდით: გასულ სეზონში „დინამოს" ასპარეზობის შეფასებას თუ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის სატრანსფერო კამპანიას.



**— ქართულ ფეხბურთში „დინამოს" მართლაც განსაკუთრებული სტატუსი აქვს; აქედან გამომდინარე, გასულ სეზონში გუნდის ასპარეზობას წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ: „დინამომ" თასის ფინალიც წააგო და ჩემპიონატშიც მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდა.**

— სტატუსის შეფასებაშიც გეთანხმებით და იმაშიც, რომ სეზონი ჩვენთვის წარმატებული ნამდვილად არ იყო; თუმცა, ყოველივე ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა: წამყვანი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლისა და შეუთამაშებლობის გამო სეზონი ცუდად დავიწყეთ. ამას გარდა, აღარ დავაკონკრეტებ იმას, გასულ სეზონში ჩვენს ჩემპიონატში... რა და როგორ ხდებოდა.

**— თუმცა, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, ანუ მესამე და მეოთხე წრეში „დინამო" აშკარად უკეთ ათამაშდა.**

— ზემოთ შეთამაშების პრობლემა შემთხვევით არ მიხსენებია: პირველი ეტაპის შემდეგ მეოთხე ადგილზე ვიმყოფებოდით და მეორე-მესამე ადგილზე მყოფ გუნდებს, შესაბამისად, 7 და 11 ქულით ჩამოვრჩებოდით. აი, მესამე და მეოთხე წრეში შეთამაშების პრობლემაც მოიხსნა, გუნდიც ათამაშდა და იმის გარდა, რომ მანამდე წინ მყოფი ორი გუნდი საგრძნობი უპირატესობით ჩამოვიტოვეთ, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „ოლიმპსაც" ღირსეულ კონკურენციას ვუწევდით. აქვე, მინდა ვთქვა, რომ „ოლიმპი" დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონი.

**— ჩვენს ჩემპიონატში რა და როგორ ხდებოდა, არ დავაკონკრეტებო, ბრძანეთ და, რას გულისხმობდით?**

— ახალი რა უნდა ვთქვა; ყველამ კარგად იცის ყველაფერი: რა მდგომარეობაშია ჩვენი მოედნების ბალახის საფარი, სტადიონების გასახდელები; აღარაფერს ვამბობ ზოგიერთ ქალაქში არსებულ მართლაც არასაფეხბურთო გარემოზე: როცა ჩადიხარ და შეურაცხყოფას გაყენებენ; ჰო, ამას ყველა ხედავს და ამჩნევს, მაგრამ რად გინდა; ეგეც რომ არ იყოს, გასული სეზონის ზოგიერთ მატჩს არაფერი ეტყობოდა, სპორტული პრინციპების სრული დაცვით რომ ტარდებოდა...

**— მსგავს ფაქტებზე საუბარს ყველგან მოისმენთ, ოღონდ, მხოლოდ კულუარებში.**

— ამიტომაც არის ჩვენი ჩემპიონატის დონე დაბალი; თუმცა, მიხარია, რომ „დინამოზე" ვერავინ იტყვის, გარიგებულ თამაშებში მონაწილეობდაო: ასეთი რამ არ ყოფილა და არც იქნება...

**— საუბრის თემა შევცვალოთ და ახალი სეზონისათვის „დინამოს" სატრანსფერო კამპანიაზე მინდა დაგეკითხოთ; ყოველ შემთხვევაში, ბევრის აზრით, „დინამოს" ამ ზაფხულს სატრანსფერო „ბაზარზე" დიდად არ უაქტიურია.**

— ამ საკითხს ყოველთვის მაქსიმალური სიფრთხილით ვუდგები; როცა გუნდში სასურველი მოთამაშის მოყვანა მსურს, მხოლოდ მის საფეხბურთო მონაცემებს კი არა, პიროვნულ თვისებებსაც ვითვალისწინებ. აი, მაგალითად, როგორც ალექსანდრე კოშკაძის შემთხვევაში იყო. ეს, რაც შეეხება ქართველ ფეხბურთელებს, აი, უცხოელების შემთხვევაში კი, იმის მომხრე ვარ, რომ გამოცდილი მოთამაშე მოვიწვიოთ, ვის გვერდითაც ქართველი ახალგაზრდები გაიზრდებიან. გაიხსენეთ, თუ რამხელა გამოცდილება შეიძინა გურამ კაშიამ ნედ ზელიჩისა და მილოშ კრშკოს გვერდით ასპარეზობისას; იმავეს ვიტყოდი გიორგი ლორიაზეც — დიდიე ოვონოსგან ბევრი რამ რომ შეისწავლა.

**— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, მაინც ულამაზოდ გვეჩვენება ის ფაქტი, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ევროტურნირების გასვლით შეხვედრაში 16 ან 17 ფეხბურთელით რომ მიემგზავრება...**

— ალბათ, „ფლორასთან" გასვლით მატჩს გულისხმობთ; სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ესტონელებთან პირველი მატჩის მერე ორი ფეხბურთელი გამოგვაკლდა: ლაშა ჩადუნელი და ნიკა ფირცხალავა. ჩადუნელს „ფლორასთან" საშინაო მატჩი, თურმე, ნატკენი ფეხით უთამაშია; ერთი მხრივ, ახალგაზრდა ფეხბურთელის მონდომება დასაფასებელია, მაგრამ ამით ხომ საკუთარი ჯანმრთელობა საფრთხეში ჩაიგდო. ფირცხალავაზე კი მუდამ დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ ესტონეთში ვერც მან შეძლო წამოსვლა. ეგ კი არა, ეს ნიჭიერი ბიჭი, საერთოდ, ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებდა.

**— კარგია, რომ ფირცხალავამ აზრი შეიცვალა და კვლავაც „დინამოშია"...**

— ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია; თუმცა, ბიჭსაც უნდა გავუგოთ: ბოლო სამი წლის განმავლობაში, ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე რთული ოპერაცია გადაიტანა. ასეთ დროს კი, არავის უნდა გაუკვირდეს, ფეხბურთელს ფსიქოლოგიური პრობლემებიც რომ შეექმნას: როგორი საქმეა, ხანგრძლივ მკურნალობასა და რეაბილიტაციას კვლავაც მძიმე ტრავმა რომ მოჰყვება; საბედნიეროდ, ფირცხალავა ისევ ჩვენთან არის და მჯერა, ყველა პრობლემას დაძლევს.

**— წლევანდელ ევროტურნირებზე ვისაუბროთ. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ არც კი ვიცით, ესტონეთში და შვედეთში ჩატარებულ მატჩებში „დინამომ" როგორ ითამაშა. ანუ, ფაქტობრივად, მხოლოდ საბოლოო შედეგითა თუ მშრალი სტატისტიკური მონაცემებით ვკმაყოფილდებოდით. მოდი, ჯერ „ფლორასთან" განმეორებით შეხვედრაზე ვისაუბროთ.**

— ჩემდა გასაკვირად, ისე როგორც თბილისურ მატჩში, „ფლორამ" საშინაო შეხვედრაშიც „უკნიდან თამაში" არჩია. ფაქტობრივად, ერთადერთი რეალური მომენტი ჰქონდათ, როცა მეორე ტაიმში იმათი თავდამსხმელი გიორგი ლორიასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. სამაგიეროდ, ჩვენ არაერთი შანსი ვერ გამოვიყენეთ: ჯერ მარტო დონალდ ჯუისს ოთხი ჩინებული მომენტი ჰქონდა! ერთ ეპიზოდში კი ირაკლი ლექვთაძეს უნდა გაეტანა, მაგრამ ჭაბუკ ფეხბურთელს ასეთ დონეზე გამოცდილება არ ეყო.

**— ჩადუნელის არყოფნაში ლევან კაკუბავას დაცვის ცენტრში გულვერდ თომაშვილი შეუწყვილეთ. თუმცა, ეს არ იყო მოულოდნელი გადაწყვეტილება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით გიორგი კახელიშვილის... მარჯვენა მცველობაზე.**

— კახელიშვილს ერთი და ორი წელიწადი არ ვიცნობ და მის შესაძლებლობებში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. ისიც ვიცოდი, რომ ყოფილ კლუბებში („ლოკომოტივშიც" და „ოლიმპშიც") რამდენჯერმე დაცვაშიც უთამაშია. ანუ, აქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და კახელიშვილის თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელმა გუნდის ინტერესები ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს; თორემ, მეც კარგად ვიცი, რომ კახელიშვილისა და ლევან ხმალაძის თამაში ნახევარდაცვაში უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე დაცვაში.

**— ახლა კი „გეფლესთან" მატჩზე ვისაუბროთ. მეტოქეზე სრული წარმოდგენა გქონდათ?**

— ვსარგებლობ შემთხვევით და მეტოქეზე მეტ-ნაკლები ინფორმაციის მოწოდებისათვის ზაურ სვანაძეს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მოგეხსენებათ, რომ ზაური წლების განმავლობაში შვედეთში მუშაობდა და იქაურ ფეხბურთსაც კარგად იცნობს. „გეფლე" ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ არის — ათლეტური და ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავს და აქედან გამომდინარე, ძირითად აქცენტსაც სტანდარტულ მდგომარეობებზე აკეთებდნენ.

**— „გეფლე"-„დინამოს" მატჩის შინაარსიც გვაინტერესებს; „ფლორასი" არ იყოს, ამ შემთხვევაშიც ინფორმაციის სიმწირეს განვიცდით.**

— მატჩის საწყისი 10-15 წუთი ერთგვარი „დაზვერვა" მიდიოდა. თანაც, ჩემი ვარაუდი გამართლდა: მეტოქე მაქსიმალურად ცდილობდა ფლანგების გამოყენებას და ტანმაღალი ფორვარდების მაღალი ბურთებით მომარაგებას. თუმცა, ჩემი გუნდის ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი საჰაერო ორთაბრძოლა არ წაუგიათ! საწყისი 15 წუთის შემდეგ კი თამაშს უკვე ჩვენ ვაკონტროლებდით და მათე ვაწაძის გოლი ლოგიკურიც იყო. აქვე, ამ ეპიზოდში დონალდ ჯუისის ჩინებული თამაშიც მინდა აღვნიშნო, რომელმაც მარცხენა ფლანგზე მეტოქის ოთხი ფეხბურთელი მოატყუა და ვაწაძის მიმართულებითაც სწორი გადაცემა გააკეთა.

**— ამის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— გატანილი გოლის მერე ვიცოდით, რომ მეტოქე შემოგვიტევდა, მაგრამ დაცვაში „ჩაჯდომა" არც გვიფიქრია: პირიქით, ვცდილობდით, უპირატესობა განგვემტკიცებინა. ჩვენი გეგმები არც საპასუხო გოლის მერე შეცვლილა: მიუხედავადა იმისა, რომ სტუმრად 1:1 ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი, მაინც გამარჯვებაზე ვფიქრობდით. ამიტომაც მიხარია, ბიჭებმა გამარჯვებისთვის ასეთი სწრაფვა რომ გამოავლინეს, ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

**— ამ შეხვედრაში მსაჯმა ორი პენალტი დანიშნა: ჯერ „დინამოს", მერე კი „გეფლეს" კარში.**

— მსაჯმა ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო: პირველ ეპიზოდში კახელიშვილმა ხელით დაიჭირა მეტოქე; ასევე ასპროცენტიანი პენალტი იყო მასპინძელთა კარშიც, ოღონდ, არბიტრმა ლევან ხმალაძეს დარტყმა ორჯერ შეასრულებინა და ხმალაძე ორჯერვე ზუსტი გახლდათ. სხვათა შორის, შეხვედრის ბოლოს ერთი გოლი გავიტანეთ, მაგრამ მსაჯებმა „თამაშგარე მდგომარეობა" სამართლიანად დააფიქსირეს. ცალკეული ფეხბურთელების გამოყოფა არ მიყვარს, მით უმეტეს, რომ „გეფლესთან" ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ გიორგი ლორიაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა: კარის ხაზზეც საიმედოდ იდგა და გამოსვლებზეც უშეცდომოდ ითამაშა.

**— სტუმრად მოგებული მატჩი ყველაფერს თუ არა, ძალიან ბევრს ნიშნავს. თუმცა, იმედია, „დინამოს" ფეხბურთელები განმეორებით მატჩსაც მაქსიმალური მობილიზებით შეხვდებიან.**

— სხვათა შორის, მეტოქეზე იმ ინფორმაციასაც ვფლობთ, რომ გასვლით მატჩებში ბევრად უკეთ ასპარეზობს, ვიდრე — შინ. ანუ, არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობს, რომ უკვე მომდევნო ეტაპზე ვართ გასული. პირიქით: კარგად ვიცით, რომ ურთულესი მატჩი გველოდება და მაქსიმალურად შევეცდებით ჩვენი ერთგული ქომაგი გავახაროთ. ამიტომაც ვთხოვ ქართველ გულშემატკივარს, რომ „გეფლესთან" მატჩში სტადიონზე მოვიდეს და გვიქომაგოს.

**— „გეფლესთან" სტუმრად ჩატარებულ მატჩზე, სტოკჰოლმის „რასუნდას" სტადიონზე ქართველი ქომაგებიც ყოფილან...**

— სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმას, თუ რა ხდებოდა ტრიბუნებზე, — გვეგონა... საქართველოში ვთამაშობდით! მართლაც, ენით აუწერელია, თუ როგორ გვქომაგობდნენ იქაური ქართველები...

**— ეს მართლაც სასიამოვნო ფაქტია და გვჯერა, რომ ქომაგობა არც ხუთშაბათს მოგაკლდებათ; ისიც კარგია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ „გეფლესთან" განმეორებით მატჩზე ფიქრობთ და არა - ავსტრიულ „შტურმზე", მომდევნო წრეში მეტოქედ რომ უნდა გვყავდეს. საუბრის დასასრულს, მხოლოდ ერთს გკითხავთ: ახალი სეზონის დაწყებამდე „დინამოში" ახალი სახეების გამოჩენას აღარ უნდა ველოდოთ?**

— ავსტრიულ „შტურმზე" 22 ივლისის მერე ვიფიქრებთ! რაც შეეხება მატებას, უკე ოთხი დღეა „დინამოში" ნუკრი მანჩხავა ვარჯიშობს; გამოცდილი ფეხბურთელია და სწორედ ასეთი გამოცდილი მოთამაშეები გვჭირდება, განსაკუთრებით კი, დაცვის ხაზში. სხვათა შორის, ასეთი ახალგაზრდული გუნდი „დინამოს" არასდროს ყოლია; ერთადერთი, ალბათ, 1988-89 წლებს თუ შევადარებთ, როცა თვითონ ვთამაშობდი „დინამოში; მაგრამ მაშინ გუნდის საშუალო ასაკი 20-21 წელი იყო, ახლა კი უფრო ნაკლებია...

**გია ტუხაშვილი**



15 ივლისი. სტოკჰოლმი. „რასუნდა". გეფლე-დინამო 1:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ინტერვიუ ჯაბა დვალთან

# ჯერ დუკლაა, კარპატი იუვენტუსი არაა და ამაზე მერე ვიფიქრებთ

## იმერელთა მეგოლის შედეგიანობის საიდუმლო

ორი საგოლე პასი და ოთხი გოლი, ოთხ მატჩში - ჯერჯერობით ასეთია „ზესტაფონის" თავდამსხმელ ჯაბა დვალის მონაგარი ევროპის ლიგის ახალ სეზონში. იმერელთა ფორვარდმა „ფაეტანოსა" და „დუკლას" შინ ორ-ორი გოლი გაუტანა. ბანსკაბისტრიცელებთან ჯაბამ სულაც ბენეფისი მოიწყო: სამი გოლიდან ორი თავად გაიტანა, ერთი კი ირაკლი ძარიას გაატანინა. ალსანიშნავია ისიც, რომ ჯაბამ ევროტურნირებზე შარშანაც 4 გოლი მიითვალა. ამჯერად მას ჩინებული შანსი აქვს, ეს მაჩვენებელი გაზარდოს. „დუკლასთან" შინ მოგებული მატჩის შემდეგ ზესტაფონელები მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებენ და ევროტურნირების მიმდინარე სეზონში მინიმუმ ორი მატჩი კიდევ წინ ექნებათ.

საინტერესოა, რას ფიქრობს ზესტაფონელთა ფორვარდი განვლილ და მომდევნო მატჩებზე. რა აზრისაა ახლანდელ და პოტენციურ მეტოქეზე, რაში მდგომარეობს მისი შედეგიანობის საიდუმლო...

**- ჯაბა, საუბარი „დუკლასთან" შეხვედრით დავიწყოთ. დღეს როგორ იხსენებთ იმ მატჩს?**

- მართალია, დიდი ანგარიშით, 3:0 მოვიგეთ, მაგრამ მძიმე მატჩი გვქონდა. პირველი გოლის ფაქტორი მნიშვნელოვანია და სწრაფ გოლზე ვიყავით ორიენტირებული. პირველი სახიფათო მომენტი სლოვაკებმა შექმნეს, ჩვენ კი ანგარიშის გახსნა ჩემს გოლამდეც არაერთხელ შეგვეძლო. მეც მქონდა საგოლე მომენტი. პირველი ბურთი უფრო ადრე რომ გაგვეტანა, გაცილებით დიდი სხვაობით შეიძლებოდა თამაშის მოგება. მიუხედავად ამისა, 3:0 კარგი ფორაა საპასუხო მატჩის წინ.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „ზესტაფონი" უკვე გასულია მომდევნო ეტაპზე და ბანსკა ბისტრიცაში გასამართი შეხვედრა მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იქნება...**

- ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. „დუკლა" იმ დონის გუნდი არ არის, მოდუნებული მეტოქის დასჯა რომ ვერ შეძლოს. წინ რთული მატჩი გველოდება, მეტოქეს არაფერი უნდა დავუთმოთ, რომ საბოლოო სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

**- სლოვაკებთან გატანილი გოლებიც გავიხსენოთ...**

- შოთა ბაბუნაშვილმა ფლანგიდან ჩააწოდა, ნიკა გელაშვილმა ბურთს მიმართულება შეუცვალა, ყველას დავასწარი და თავურით შევაგდე. მეორე ტაიმის დასაწყისშივე სწრაფი გოლი გავიტანეთ, ირაკლი ძარია ჩემი გადაცემით გავიდა მეტოქის მეკარესთან პირისპირ და გარჯა გოლით დამიფასა. ბოლოს კი შოთა გრიგალაშვილის საჯარიმო დარტყმისას სლოვაკებს საჯარიმოდან ბურთის გამოტანა გაუჭირდათ, დასწრებაზე ვითამაშე და დუბლი შევასრულე.

**- 4 გოლი და ორი საგოლე პასი 4 მატჩში - ესაა ევროტურნირების მიმდინარე სეზონში თქვენი მონაგარი, რომლის გაზრდაც შეგიძლიათ. ჩინებული მაჩვენებელია. მაინც რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო?**

- ყოველივე მხოლოდ ჩემი კი არა, მთლიანად გუნდის დამსახურებაა.



**- თანაგუნდელები გასაგებია. კიდევ რა ფაქტორმა განაპირობა ეს მაჩვენებელი?**

- სხვა რა გითხრათ... ალბათ უპირველესად მონდომებამ... გუნდთან ერთად გავიარე მოსამზადებელი შეკრება და კარგ ფორმაში ვარ. გოლის ალღო არ მღალატობს... რა თქმა უნდა, იღბალიცაა, თორემ მესი ძალზე მონდომებული იყო სამხრეთ აფრიკაში, არაერთი კარგი შანსიც ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი გოლიც ვერ გაიტანა... ისე არავინ გამიგოს, მესის ვედრებოდე, უბრალოდ, უცებ მესი გამახსენდა და ამიტომაც ასეთი შედარება მოვიყვანე.

**- მაინც რა დონის გუნდია „დუკლა", ისეთი როგორსაც ელოდით, თუ უკეთესი ან უარესი?**

- არა, უარესი ნამდვილად არ არის. ალბათ, რასაც ველოდით, სწორედ იმ დონის გუნდია. თავად განსაჯეთ, სლოვაკეთმა წლევანდელ მუნდიალზე წარმატებით იასპარეზა. ეს კი ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს, სლოვაკური ფეხბურთი პროგრესს განიცდის. „დუკლამ" კი წინა სეზონში მესამე ადგილი დაიკავა.

**- რა სტილში თამაშობს სლოვაკების გუნდი?**

- ფეხბურთელები ფიზიკური კონდიციებითა და გამძლეობით გამოირჩევიან, სწორ ფეხბურთს თამაშობენ, მარტივად და გააზრებულად. მოედანზე ზედმეტად თითქმის არ მოძრაობენ. „დუკლას" ორივე ფრთა საკმაოდ აქტიურია. ამასთან, სლოვაკები თავით კარგად თამაშობენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ „სტანდარტულები" ჰქონდათ დამუშავებული.

**- მათი რომელი სათამაშო რგოლი გამოირჩევა?**

- ალბათ, მაინც ნახევარდაცვას გამოვარჩევდი. შემტევი ფეხბურთელები კარგი ჰყავთ.

**- საპასუხო შეხვედრაში სასურველი შედეგი ახსენეთ. სტუმრად რა ანგარიშისთვის იბრძოლებთ?**

- იქაც მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე.

**- როგორ ფიქრობთ, 3 მშრალი ბურთით მოგების შემდეგ, „ზესტაფონის" შანსი რამდენ პროცენტამდე გაიზარდა?**

- ალბათ 70, მაქსიმუმ 80 პროცენტი, მაგრამ ამან არ უნდა მოგვატყუოს. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ... ქომაგებისგან მხარდაჭერა არასდროს გვაკლდა და ჩვენი გამარჯვებები მათი დიდი დამსახურებაა. მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისინი კვლავ გავახაროთ.

**- ახლახან „ზესტაფონს" ნახევარმცველი კახა ალადაშვილი დაემატა. მას როგორ დაახასიათებდით?**

- კახა კარგი ფეხბურთელია, სანამ ლეგიონერი გახდებოდა, ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი აქვს ჩატარებული. გარდა ამისა, სამშობლოში დაბრუნებამდე რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში თამაშობდა. ეს კი მცირედი გამოცდილება ნამდვილად არ არის. ერთი სიტყვით, ალადაშვილი ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ძალაა და ვფიქრობ, „ზესტაფონს" დიდ სარგებლობას მოუტანს.

**- მას უკვე ჰქონდა დებიუტი...**

- ათ წუთზე ცოტა მეტხანს ითამაშა მარჯვენა ფრთაზე გარემარბად და თავისი ფლანგიდან მოსვენებას არ აძლევდა სლოვაკებს. სხვათა შორის, კარგად ჩაერთო თამაშში და ბოლო გოლის გატანის შანსიც ჰქონდა, მაგრამ „დუკლას" მეკარემ რთული ბურთი აუღო...

კახას ჩვენს გუნდთან ერთად არ გაუვლია მოსამზადებელი შეკრება. გუნდთან შეთამაშდება და მჯერა, მალე „ზესტაფონის" საკვანძო ფიგურად იქცევა.

**- წესით, მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა გახვიდეთ. ასეთ შემთხვევაში ლვოვის „კარპატისთან" მოგიწევთ დაპირისპირება. თუ გითამაშიათ ამ გუნდის წინააღმდეგ და მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- კიშინიოვის „დაჩიაში" ყოფნისას მაქვს ნათამაშები „კარპატის" წინააღმდეგ. რაც „ზესტაფონში" ვარ, ლვოველებთან დაპირისპირება არ გვქონია. ჩემი წარმოდგენით, ეს გუნდი ყოველთვის გამოირჩევა საკუთარი ხელწერით..

**- „კარპატი" იმ დონის გუნდი არ უნდა იყოს, რომ „ზესტაფონის" შესაძლებლობებს აღემატებოდეს...**

- გადაულახავი ბარიერი ნამდვილად არ არის. წილისყრაში ალბათ გაგვიმართლა კიდეც. შესაძლებელი იყო „იუვენტუსი" ყოფილიყო ჩვენი მეტოქე. „კარპატი" „იუვენტუსი" არ არის და უშანსოდ ნამდვილად არ ვრჩებით. ორივეს გვექნება ჩვენ-ჩვენი შანსი და გააჩნია, რამდენად გამოვიყენებთ.

საპარაუდო ტრანსფერები



## შოთა კაშიამ ჰაპოელში ითამაშა

თბილისის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **შოთა კაშია** ისრაელშია და რამათ განის „ჰაპოელში" გადის ტესტირებას. ჩვენებური პირველივე საკონტროლო თამაშში გამოცადეს. რამათგანელები რაანინას „ჰაპოელს" ამხანაგურ მატჩში სტუმრად გაეჯიბრნენ და როგორც მათი ვებგვერდი იტყობინება, 2:1 მოიგეს. კაშიამ მეორე ტაიმი სრულად ითამაშა მარჯვენა ფრთაზე და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელა.

ხვალ, 20 ივლისს რამათ განის „ჰაპოელი" მოსამზადებელ შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება. თუ კაშიას ავსტრიაში წაიყვანენ, მაშინ დიდი შანსია მისი ტრანსფერი შედგეს. ავსტრიაში გასამგზავრებულთა ვინაობას დღეს დაასახელებენ.

ისრაელის მთავარი ლიგის გასულ სეზონში რამათ განის „ჰაპოელმა" მე-14 ადგილი დაიკავა. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **შლომი დორა** გახლავთ. რაც შეეხება შოთა კაშიას, მან გასული სეზონი თბილისის „დინამოში" ჩაატარა, კლუბთან საკონტრაქტო ვადა ამოეწურა და თავისუფალი აგენტია.

## ტატანაშვილი ბალტიკაში?

ჩეხეთში მოასპარეზე თავდამსხმელმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** გასული სეზონი „კლადნოში" ჩაამთავრა. ჩვენებური კონტრაქტით ჩეხეთის თასის მფლობელ პლზენის „ვიქტორიას" ეკუთვნის და სხვა გუნდში განათხოვრების წესით თამაშობდა. „კლადნო" მთავარი ლიგიდან გავარდა, ტატანაშვილს საიჯარო კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა და პლზენელთა გუნდში დაბრუნდა. თუმცა, როგორც ჩანს, ქართველი თავდამსხმელი კიდევ ერთხელ შეიცვლის გუნდს. რუსული წყაროების მტკიცებით, მას პირველ დივიზიონში მოასპარეზე კალინინგრადის „ბალტიკაში" ელიან. ეს ამბავი „ბალტიკას" მთავარმა მწვრთნელმა **ლეონიდ ტკაჩენკომ** სოვსპორტ.რუ-სთან საუბარში გაახმაურა. კალინინგრადელთა გუნდის თავკაცი 16 ახალ ფეხბურთელს ელის. მათ შორის ერთ-ერთი ტატანაშვილია.

*„25 ივლისს პოლონეთში, გდანსკში გავემგზავრებით და მოსამზადებელ შეკრებას იქ გავივლით. პოლონეთში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ, მათ შორის „ლეგიასაც" გავეჯიბრებით. შემოგვიერთდება დიმიტრი ტატანაშვილიც, რომელიც ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. საკონტროლო თამაშებში დავაკვირდებით. ადრე ის საქართველოს ნაკრებში თამაშობდა", - განაცხადა „ბალტიკას" თავკაცმა ლეონიდ ტკაჩენკომ.*

დავძენთ, რომ „ბალტიკას" თავდასხმაში მართლაც უჭირს. ამ გუნდს 19 ტურში მხოლოდ 16 გოლი აქვს გატანილი. კალინინგრადელები სატურნირო ცხრილში 21 ქულით მე-14 ადგილზე იმყოფებიან და გასავარდ ზონაში ტრიოს მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ.




დიმიტრი ტატანაშვილი

ლეგიონერები

## მენთეშაშვილმა მოიგო

ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** ახალ გუნდში პირველად გავიდა მინდორზე სათამაშოდ. ისრაელის მთავარი ლიგის დებიუტანტ აშქელონის „ჰაპოელმა" ამხანაგურ მატჩში პეტაჰ თიკვას „მაქაბი" მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა. მენთეშაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მარჯვენა ფრთაზე ითამაშა. ებრაული ვებგვერდების მტკიცებით, მენთეშაშვილი აშქელონელთა გუნდში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მეოთხე ქვეყნის ლიგა დააჭაშნიკა. ცნობისათვის, საქართველოს ჩემპიონატის გარდა, ზურაბ მენთეშაშვილი ლატვიისა („სკონტო", ვენტსპილსი) და რუსეთის („ალანია", „შინიკი") ჩემპიონატებში გამოდიოდა. გასული სეზონი კი ისრაელის მოქმედ ჩემპიონ თელ ავივის „ჰაპოელში" დაასრულა.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

სამტრედია

# პირველი საკონტროლო გამარჯვება

ახალი სეზონისთვის მზადებას "სამტრედია" ერთი კვირაა, რაც შეუდგა. შეგახსენებთ, იმერული გუნდის მთავარ მწვრთნელად "ლოკომოტივში" ნამუშევარი **გელა სანაია** დაინიშნა, თუმცა "სამტრედიაში" რჩებიან **ლევან ანჯაფარიძე** და **მამუკა მესიაჩენკოც**, რომლებიც სანაიას ასისტენტის ფუნქციებს შეასრულებენ.

ისევე როგორც სხვა გუნდებში, შემადგენლობა "სამტრედიაშიც" იცვლება. საკონტროლო მატჩებში მწვრთნელები სავარაუდო ახალწვეულებს აკვირდებიან და "სამტრედიას" დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან **თემურ ფურთუხია**, რომელიც ბოლოს უკრაინაში თამაშობდა, **პაატა ბაკარანძე**, რომელიც "სამტრედიას" ზუგდიდის "ბაიადან" დაუბრუნდა, **ილია პავლიაშვილი** და ძმები **შალიკაშვილები** "გაგრადან", **კვერენჩხილაძე** "გურიადან", **ძაგანია** ოზურგეთიდან, **ჩხიკვაძე** მარტვილიდან, ასევე **ხუმარაშვილი** და **სოსელია**.

რაც შეეხება წასულებს, "სამტრედიას" ყველაზე დიდ დანაკარგად მისი საუკეთესო ბომბარდირი **ზაურ ხაჭიპერაძე** უნდა მივიჩნიოთ, რომელიც კარიერას ქუთაისის "ტორპედოში" გააგრძელებს. მის გარდა, "სამტრედია" დატოვეს **ბარამიძემ, ფირცხალავამ** და **სამსეიშვილმა**. ეს უკანასკნელი "ბათუმს" დაუბრუნდა.

ბოლო ამხანაგური შეხვედრა "სამტრედიამ" შაბათს შინ ჩაატარა "ბათუმის" წინააღმდეგ და 2:1 გაიმარჯვა. ანგარიში **კირკიტაძემ** გახსნა თერთმეტმეტრიანი დარტყმით და პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა. მატჩის მეორე ნახევარში **კაკალაძემ** ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი **ეცადეიშვილმა** გაიტანა.

ამ შეხვედრაში იმერელთა ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **შენგელია – კირთაძე, გოგია, დვალიშვილი, ნინუა – კაპანაძე, ბაკურაძე, ფურთუხია, კირკიტაძე – ეცადეიშვილი, გოგიშვილი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე უმეტესად სინჯებზე მყოფი ახალგაზრდები შევიდნენ. მათი ბედიცა და "სამტრედიას" საბოლოო შემადგენლობაც სამ-ოთხ დღეში გაირკვევა.

"სამტრედია" დღესდღეობით, ჯიხაიშის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს და მეტოქეებსაც იქ მასპინძლობს. 22 ივლისიდან გუნდი შეკრებაზე ქობულეთში ან ურეკში გაემგზავრება.

საკონტროლო მატჩების სერია კი სანაიას გუნდმა "ტორპედოსთან" დაპირისპირებით დაიწყო. ამ შეხვედრაში "სამტრედია" 0:1 დამარცხდა, შემდეგ კი იყო მატჩები რუსთავის "ოლიმპთან" (1:4), "გაგრასა" (0:1) და "ბათუმთან" (0:0).

20 ივლისს "სამტრედია" პირველლიგელ საჩხერის "ჩიხურას" გაეჯიბრება, 22 ივლისს იმავე ლიგის ბინადარ მარტვილის "მერანს", 29 ივლისს კი კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებს. თუ ვის შეხვდება "სამტრედია" ამ დღეს, ეს მოგვიანებით გაირკვევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაია

# თურქეთში აღარ მიდიან

ზუგდიდურ კლუბს შეკრება თურქეთის სამთო კურორტ ბოლუში ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ "ბაია" იქ აღარ გაემგზავრება. ასე რომ, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი მომავალი სეზონისთვის ბოლომდე საქართველოში მოემზადება.

შეგახსენებთ, 16 ივლისს "ბაიამ" "სამტრედიასთან" ჩაატარა საკონტროლო მატჩი და ფრედ 0:0 ითამაშა. "ბაია" ამჟამად ზუგდიდში, საკუთარ ბაზაზე ვარჯიშობს და შემდეგ ამხანაგურ შეხვედრას 22 ივლისს ჩაატარებს. მეტოქის ვინაობა ჯერ ცნობილი არაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი



მარჯვნივ ლაშა სალუქვაძე

# ორი ქართული გოლი და ჯანოს უიღბლობა

რუსეთის პრემიერლიგის მე-13 ტური ნავსიანი გამოდგა **ჯანო ანანიძის** „სპარტაკისათვის", რუსეთის „სახალხო გუნდი" მშობლიურ არენაზე დამარცხდა ჩემპიონ „რუბინთან" - 0:1. ამ შეხვედრაში ქართული დაპირისპირება ვიხილეთ - ანანიძე **ლაშა სალუქვაძის** წინააღმდეგ. ანანიძე პირველ ტაიმში სუპერაქტიური იყო - მე-10 წუთზე მან ძალიან კარგად დაარტყა შორიდან, თუმცა **რიჟიკოვმა** ბურთი აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია. 44-ე წუთზე სტუმართა ხარიხიდან უკან გამოვარდნილ ბურთს ანანიძე „მაკრატელათი" ურტყამდა, რიჟიკოვი კორპუსით გადაეფარა ბურთს და ისე იხსნა „რუბინი", პირველი ტაიმის დამატებით წუთზე კი ჯანომ ორ მცველს შორის შეძლო დარტყმა, მეკარემ რის ვაივაგლახით მოიგერია ბურთი წინ, თუმცა დამატებაზე ვერავინ იყოჩაღა. ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით, უცნაურია, რატომ შეცვალეს ქართველი 55-ე წუთზე. არც „ჩემპიონატ რუს" შეფასება გვეჩვენება ობიექტურად - მხოლოდ 5,5. სალუქვაძემ შეუცვლელად ითამაშა და 6 ბალი მიიღო, მე-18 წუთზე მან „რუბინი" აშკარა გოლისგან იხსნა, როცა **იბსონს** ბურთი ბოლო მომენტშიააცალა.

„რუბინი" 26 ქულით მე-2 ადგილზეა, ხოლო „სპარტაკი" 16 ქულით მხოლოდ მე-10 ადგილზეა. „ანჟიმ" სტუმრად მოულოდნელად 4:1 გაანადგურა „ტომი". მახაჭყალის გუნდში დღითიდღე იკლებს ქართველ ლეგიონერთა რიცხვი, ბოლოს კლუბი **გოჩა ხოჯავამ** დატოვა. ამ შეხვედრაში 90 წუთი მხოლოდ **დავით კვირკველიამ** (6 ბალი) ითამაშა, **ნუკრი რევიშვილი** კი სათადარიგო იყო, 18 წლის **გიორგი ილურიძე** კი 78-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. 76-ე წუთზე კვირკველიამ 40 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა, ბურთი ხარიხას მოხვდა და უკან შებრუნდა მოედანზე, სადაც ყველას **ცორაევმა** მიასწრო და გოლი გაიტანა.

**ლევან გვაზავას** „ტერეკმა" 1:0 მოუგო „ამკარს", ქართველი ნახევარმცველი 75-ე წუთზე შეცვალეს (შეფასება - 5,5). „ტერეკი" 17 ქულით მე-9 ადგილზეა. **მალხაზ ასათიანის** „ლოკომოტივმა" 3:0 გაანადგურა „ალანია", ასათიანმა 90 წუთი ითამაშა (6 ბალი), „ლოკომოტივი" 21 ქულით მე-5 ადგილზეა.

უკრაინის ვიშალიგაში II ტური გაიმართა. უგოლოდ დასრულდა „კრივბასისა" და „კარპატის" შეხვედრა. ბოლო დროს „კარპატის" თამაშით უფრო დავინტერესდით, რადგან დიდი შანსია უეფას ლიგის გათამაშებაში ეს დასავლეთუკრაინული გუნდი „ზესტაფონის" მეტოქე გახდეს. მათი მარჯვენა ნახევარმცველი **სანდრო გურული** ბევრ ხიფათს ქმნიდა პირველ ტაიმში, თუმცა 56-ე წუთზე ქართველი შეცვალეს, რადგან დაღლა დაეტყო. „კრივბასში" არც **ბექა გოცირიძეს** უთამაშია და არც **სანდრო კობახიძეს** (ორივემ წინა დღით დუბლებში ითამაშა). **უჩა ლობჟანიძის** „დნიპრომ" 2:0 მოუგო „ვოლინს", ჩვენებურმა ტრადიციულად შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა რიგებში.

„სევასტოპოლისა" და „მეტალისტის" მატჩში (0:0) მასპინძელთა განაცხადში გამოჩნდა **სანდრო შუბლაძე**. „ვორსკლა"-"ილიჩევეცში" (1:3) ოდენ სათადარიგო იყო სტუმართა ფორვარდი **გიორგი გაბედავა**. ქართველთა გუნდებიდან ყველაზე უკეთ „დნიპრომ" დაიწყო, ლობჟანიძეს და კომპანიას ორი მატჩის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს. „ტავრია" კიევის „დინამოს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. **ვასილ გიგიაძე** 66-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

ფინეთის იკონენლიგის მე-13 ტურში **გიორგი ოსიტაშვილის** „კოტეპე" სტუმრად ტპვ-ს დაუზავდა - 0:0. ოსიტაშვილმა 90 წუთი ითამაშა, ის 75-ე წუთზე გააფრთხილეს. გუშინ **ირაკლი სირბილაძემ** ჩემპიონატში მე-7 გოლი გაიტანა, მან პოპა-ს კარი 29-ე წუთზე აილო, თუმცა ქართველი ლეგიონერის კპვ-მ მაინც დათმო - 1:2. ყველასთვის მოულოდნელად ერთპიროვნული ლიდერი „როვანიემი" სტუმრად „ვიკინგიტთან" განადგურდა - 0:3. „როვანიემის" რიგებში **ვალტერ** და **პავლე ხორგუაშვილები** თამაშობენ. „როვანიემი" 30 ქულით მაინც პირველია და უახლოეს კონკურენტს 6 ქულით უსწრებს. სირბილაძე ბომბარდირთა დავაში მხოლოდ „როვანიემის" ფორვარდ **ჩილეშე ჩიბვეს** ჩამორჩება, ზამბიელს 9 გოლი აქვს გატანილი.

ყაზახეთის ჩემპიონატში თავი **გიორგი ფეიქრიშვილმა** გამოიჩინა, მისმა გუნდმა გიორგის გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა „ტარაზი".



ჯანო ანანიძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველი ლეგიონერები

# პერტიას ასისტენტიც ქართველი იქნება

ლატვიის უმაღლესი ლიგის კლუბ "დაუგავას" მთავარი მწვრთნელად **თამაზ პერტია** ორი თვის წინ დანიშნეს. მალე 2009 წლის ლატვიის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელს ასიტენტიც ქართველი ეყოლება – ცნობილი სპეციალისტის, **თემურ მახარაძის** ვაჟი **შოთა მახარაძე**, რომელსაც მამამისზე ნაკლებ მომავალს არ უწინასწარმეტყველებენ. 31 წლის მახარაძე ამჟამად "დაუგავას" საფეხბურთო სკოლის დირექტორია.

*"დიდი ხანი არაა, რაც მახარაძე ლატვიაში ჩამოვიდა და საფეხბურთო სკოლა ჩაიბარა. ამის მიუხედავად, სკოლაში ბევრი სასიკეთო რეფორმა განახორციელა და არაორდინალური აზროვნება გამოავლინა. ლატვიელები ცოდნითა და ნიჭიერებით გააოცა. გვერდში სწორედ ასეთი ადამიანი მჭირდებოდა და ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს თანაშემწედ დამენიშნა. ეს მალე ოფიციალურად გადაწყდება და შესაძლოა, დუბლშემადგენლობაც ჩავაბაროთ", -* გვითხრა პერტიამ.

"დაუგავას" მთავარი მწვრთნელი ქართველი ახალწვეულებითაც კმაყოფილია:*"22 წლის ცენტრალური მცველი გიორგი ჩიხრაძე და "გაგრას" 19 წლის ფლეიმეიკერი ჯემალ ჯალიაშვილი ავიყვანე და არჩევანში არ შევმცდარვარ. ჩიხრაძე "ოლიმპის" აკადემიის გაზრდილია და ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ, ტრავმების გამო, დიდი დრო გაუცდა. ამის მიუხედავად, ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული. ჩვენთან კარგად მოემზადა, ფორმა აღიდგინა და უკვე ძირითადში მოხვდა. ჯალიაშვილი კი ნიჭიერი ბავშვია და შემადგენლობას უახლოვდება. ვფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარვარ, ჯერჯერობით იმედს ორივე მიმართლებს".*

პერტიამ ლატვიურ მედიაში გავრცელებული საკმაოდ უცნაური ინფორმაცია დაგვიდასტურა, რომელიც მიხედვითაც, "დინაბურგის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი დისკვალიფიცირებული გახლდათ და ამის მიუხედავად, "დაუგავას" არაოფიციალურად მაინც ავარჯიშებდა.



თამაზ პერტია

*"დასამალი არაფერია, "დაუგავას" მართლაც დიდი ხანია ვავარჯიშებ. დისკვალიფიცირებული კი ვიყავი, მაგრამ დახმარება მთხოვეს და გუნდის გაწვრთნას ვინ ამიკრძალავდა. ეგაა, ოფიციალურად სათადარიგოთა სკამზე ჯდომისა და პოსტის დაკავების უფლება არ მქონდა. "დინაბურგი" და "დაუგავა" ერთი ქალაქის გუნდები არიან. "დინაბურგის" პრეზიდენტის, ჩემი და ფეხბურთელების დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდები გააერთიანეს, მე კი მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს. გუნდს ჩვეულებრივად ვამზადებდი, ვაძლევდი მატჩისწინა დავალებებს, ვარჩევდი ფეხბურთელებს, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება არ მქონდა.*

*როგორც იქნა, სასჯელი მომიხსნეს და მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დავინიშნე. ასე რომ. "ფორმიდან" არ ამოვვარდნილვარ, მაგრამ ტრიბუნაზე ჯდომა მაინც რთული იყო, მწვრთნელის სკამიდან გუნდს უფრო ეფექტურად კარნახობ".*

პერტია უერთდება კახა კალაძისა და ვეტერანი ფეხბურთელების თხოვნას **გიორგი დემეტრაძის** გათავისუფლების თაობაზე.

*"თავიდან გიორგი დემეტრაძის დაკავების ამბავ, უკბილო ხუმრობა მეგონა. ვინც დემეტრაძეს ვიცნობთ, მის კრიმინალობას ვერ ვიჯერებთ, რადგან გიორგი კარგი ფეხბურთელი და პიროვნებაა. ამიტომ ვუერთდები კახას და ვეტერანი ფეხბურთელების თხოვნას მიხეილ სააკაშვილის სახელზე: იქნებ, გიორგი გაათავისუფლონ და ქართული ფეხბურთის სამსახურის საშუალება მისცენ. დარწმუნებული ვარ, საქართველოს თავისუფალი დემეტრაძე უფრო სჭირდება, ვიდრე ციხეში გამოკეტილი. ძალიან დასანანი ამბავია. კალაძესავით დარწმუნებული ვარ, გიორგი გაუგებრობაში მოხდა", -* ამბობს პერტია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონა



პრეზიდენტი როსელი და ახალწვეული ადრიანო

# ბარსაც იწყებს

ხუთშაბათიდან წინასასეზონო მზადება მადრიდის „რეალმა" დაიწყო, დღეიდან კი საქმეს ჩემპიონი „ბარსელონაც" შეუდგება. როგორც „სამეფო კლუბის" შემთხვევაში, „ბარსას" შეკრებასაც სრულყოფილს ვერ ვუწოდებთ, „დამნაშავე" კი კვლავ მუნდიალია...

ბუნებრივია, **ხოსეპ გვარდიოლას**, რომელმაც ახლახან სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა კონტრაქტი „ბარსელონასთან", არ ეყოლება ის ფეხბურთელები, რომელთაც მუნდიალზე მიიღეს მონაწილეობა. ასეთი კი ბევრია, ბოლობოლო „ბარსელონამ" მსოფლიოს კლუბებიდან ყველაზე მეტი წარგზავნა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ყველაზე მეტიც დაუბრუნდა ჩემპიონის რანგში. გვარდიოლა 28 ფეხბურთელით იწყებს, რომელთაგანაც 17 (!) კლუბის პირველი და მეორე სარეზერვო გუნდების წარმომადგენლები არიან. ინფორმაციის გაჩენისთანავე ამ სიით დავინტერესდით, რადგან გვეიმედებოდა, რომ მათ შორის ქართველი **გიორგი ჭანტურია** იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არაა. 28 ფეხბურთელი დღეს დილის 9 საათზე ჟოან გამპერის ცენტრში გამოცხადდება სამედიცინო შემოწმების გასავლელად.

მაშ ასე, გთავაზობთ იმ 11 ფეხბურთელის სიას, რომელიც დღეიდან შეუდგება ახალი სეზონისთვის მზადებას: **პინტო, მილიტო, მაქსველი, ადრიანო, კეიტა, ჟეფრენი, იბრაჰიმოვიჩი** და **კრკიჩი**. ასევე **ვიქტორ სანჩესი, ენრიკე** და **ჰლები**, რომელთა ბარსელონური მომავალი ეჭვქვეშაა. ეს სამეული გასხვისებული იყო იჯარის წესით (შესაბამისად, „ხერესში", „რასინგსა" და „შტუტგარტში") და დაუბრუნდა კატალონიურ გუნდს, ხელახალ გასხვისებამდე. 17 ახალგაზრდიდან გამოვყოფთ **ჯონათან დოს სანტოსს** (რომელიც ბოლო წამს აღარ შეიყვანეს მექსიკის ნაკრების სამუნდიალო განაცხადში) და **ვიქტორ ვასკესს**.

მთელი კვირის განმავლობაში „ბარსა" დღეში ორჯერ ივარჯიშებს ინტენსიურად, დილაობით და საღამოობით (გამონაკლისი დღევანდელი შეკრებაა, სადაც დიდი ყურადღება დაეთმობა სამედიცინო ტესტებს), „ბარსელონა" მხოლოდ უქმეებზე დაისვენებს. მოკლედ, ჩემპიონი სერიოზულად შეუდგება საქმეს, ფაქტია, კონკურენტი „რეალი" კიდევ უფრო ძლიერდება...

შაბათს **ადრიანო კორეიამ** ხელი მოაწერა „ბარსასთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას. შემდეგ ის მედიას სანდრო როსელმა წარუდგინა, ანდალუსიური კლუბის ყოფილი მცველის პრეზენტაცია კი დღეს გაიმართება. *„თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება შეკრება და როდის გავიცნობ ახალ თანაგუნდელებს. ეს ნამდვილი ოცნებაა, რომელიც ასრულდა, როცა გავიგე, რომ ჩემით „ბარსელონა" დაინტერესდა და ტრანსფერის წინააღმდეგი არც „სევილია" იყო, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა. ძალიან ამაღელვებელი მომენტია, ახლახან მსოფლიოს საუკეთესო კლუბთან გავაფორმე კონტრაქტი. ახლა გვარდიოლას განკარგულებაში ვარ, სადაც სურს იმ პოზიციაზე ვითამაშებ, „ბარსელონასთვის" ბოლომდე დავიხარჯები"*, - განუცხადა ბრაზილიელმა „ბარსა ტვ-ს".

დღეს შეკრების გახსნასთან დაკავშირებით მედიას პეპ გვარდიოლა წარუდგება და გუნდის გეგმებზე ილაპარაკებს. შეხვედრა ადგილობრივი დროით 11 საათზეა დაგეგმილი და „ბარსა ტვ" მას პირდაპირ ეთერში აჩვენებს. „ბარსელონას" მწვრთნელთა შტაბში ერთი სიახლეა, გუნდის მეკარეთა მწვრთნელი ამიერიდან ყოფილი გოლკიპერი **კარლეს ბუსკეტსი** იქნება. ბუსკეტსი 7 სეზონი „ბარსელონა ბ-ში" მოღვაწეობდა, პოსტზე კი **ხუან კარლოს უნსუე** შეცვალა. ბუსკეტსმა ფეხბურთელის კარიერა „ლეიდაში" 2003 წელს დაასრულა.

ერთი კვირის წინათ, „ბარსელონას" მეორე გუნდი ებრაელმა შემტევმა **გაი ასულინმა** დატოვა, რომელსაც კლუბმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. ასულინი „ბლექბერნ როვერსში" მივიდა, სადაც ერთკვირიან სინჯებს გადის. შეგახსენებთ, რომ ასულინი 12 წლის ასაკიდან „ბარსელონას" აკადემიაში იზრდებოდა და ის მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ მომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. ასულინს ესპანური მოქალაქეობაც აქვს, ამიტომ თუკი სემ ელერდაისს ფეხბურთელი მოეწონება, კლუბი მას უპრობლემოდ გაიფორმებს.

„ბარსელონას" პირველი ამხანაგური მატჩი 29 ივლისს, როცა კატალონიური გრანდი ნორვეგიულ „ვოლერენგას" შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეალი

# ჟოზე: ვეძებთ ცენტრს

ესპანური მედია ამტკიცებს, რომ „რეალის" ახალი პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** გამალებით ეძებს ახალ ცენტრალურ მცველს გუნდისთვის, თითქოს, მას უკვე შერჩეული ჰყავს ოთხი კანდიდატი. „მარკას" ინფორმაციით „განსაკუთრებულმა" თვალი **დავიდ ლუიზს** (ბენფიკა), **ტიაგო სილვას** (მილანი), **ნემანია ვიდიჩს** (მანჩესტერ იუნაიტედი) და **ბრუნო ალვეშს** (პორტუ) დაადგა. ბუნებრივია, ლაპარაკი არ არის ოთხივეს შეძენაზე, მოურინიო მხოლოდ ერთის აყვანითაც დაკმაყოფილდება. ვიდიჩი დიდი ხანია დაუკავშირეს „სამეფო კლუბს", თუმცა „მანჩესტერი" მუდამ უარყოფდა სერბი მცველის ესპანეთში გადასვლას, ერთი ასეთი უარყოფა გუშინაც მოვისმინეთ. სხვათა შორის, „მარკა" იმასაც იუწყება, რომ „რეალს" არ დაუკარგავს იმედი, რომ მაინც მოახერხებს „ინტერის" მარჯვენა მცველის, **მაიკონის** დამატებას. მოკლედ, მოურუნიოს ინიციატივით „რეალში" ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი.

პორტუგალიურ „ტვ 1-თან" საუბარში ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მან იცის, თუ როგორ „გამოწუროს" **კრიშტიანო რონალდოსგან** საუკეთესო. მოურინიოს სურს „რეალმა" ისეთი სისტემით ითამაშოს, რომ 25 წლის რონალდომ კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატაროს. *„გუნდი ასაწყობი და ის ისე უნდა „ავაშენოთ", რომ ვარსკვლავებმა ბოლომდე გამოავლინონ პოტენციალი. კრიშტიანო რონალდოს დარი ფეხბურთელი არაფრით არ უნდა მოათავსო ისეთ ჩარჩოში, სადაც თავს არაკომფორტულად იგრძნობს. მადრიდელთა ხელმძღვანელობამ უკვე მითხრა, რომ რონალდო სამაგალითო ფეხბურთელია, ის საწვრთნელ ბაზაზე პირველი მოდის და უკანასკნელი გადის. „რეალში" ისე არავინ იხარჯება, როგორც კრიშტიანო. დარწმუნებული ვარ, რომ ის დიდი პროფესიონალია და ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ".*

შაბათს სეზონი „რეალის" ფეხბურთელთაგან **ესტებან გრანერომ** გახსნა პრესკონფერენციით. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ რაც „სამეფო კლუბმა" „ხეტაფესგან" 10 მილიონ ევროდ **პედრო ლეონი** გადაიბირა, ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა გრანეროს მომავალს „რეალში".

*„მოურინიოს მეთოდები არის ნათელი, ის იოლად ხსნის, თუ რას ითხოვს ჩვენგან. ვარჯიშები არ ყოფილა დროში გაწელილი, თუმცა ისინი ინტენსიურობით გამოირჩეოდა. ის აქცენტს ბურთთან მუშაობაზე აკეთებს და ეს ფეხბურთელებს ძალიან მოგვწონს. მოურინიო ძალიან მომთხოვნი მწვრთნელია, ის ყველასგან ბოლომდე დახარჯვას ითხოვს და თავადაც სულ შრომობს. მჯერა, რომ ის ისეთი მწვრთნელია, აუცილებლად მიგვიყანს დიდ გამარჯვებებამდე. პედრო ლეონთან თითქმის ერთნაირი საფეხბურთო წარსული მაკავშირებს. ის ძლიერი ფეხბურთელია და ეჭვიც არ მეპარება, რომ სასტარტოსთვის დიდ კონკურენციას გაგვიმართავს. გუნდი ხალისიანად ვარჯიშობს დიდი შესვენების შემდეგ, ჩვენ ერთმანეთი მოგვენატრა კიდეც"*, - განაცხადა გრანერომ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ესტებან გრანეროს კონკურენციის არ ეშინია

# მოუს ხუთი მცნება

უკვე რამდენიმე დღეა **ჟოზე მოურინიო** მადრიდის „რეალს" წვრთნის და მისმა ახალმა შეგირდებმა უკვე იწვნიეს პორტუგალიელი სპეციალისტის სიმკაცრე საკუთარ თავზე. მიუხედავად იმისა, რომ მოუ ძალზე მომთხოვნია, ის ხშირად განტვირთვის მიზნით ხუმრობს კიდეც ფეხბურთელებთან. ფაქტია, ყველა ფეხბურთელი აღიარებს, რომ მოხარულია მისი მწვრთნელი რომ პორტუგალიელია. აი, ხუთი მთავარი წესი, რომელიც მწვრთნელმა ფეხბურთელებს გააცნო და მათაც ზედმიწევნით უწევთ ამ ხუთი „მცნების" დაცვა.

1. **ვინც დააგვიანებს, ის ვერ ივარჯიშებს** - მოურინიო ითხოვს, რომ ფეხბურთელი დროულად გამოცხადდეს ბაზაზე სავარჯიშოდ. ის ვერ დაუშვებს თუნდაც 2 წუთით დაგვიანებას. ის ფეხბურთელი, რომელიც დააგვიანებს, გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშებს და მოუწევს ინდივიდუალური ვარჯიშით დაკმაყოფილება.

2. **მწვრთნელი, პუნქტუალობის მაგალითი** - როცა სხვებს სთხოვ, არ შეიძლება თავად დაარღვიო, ამიტომაც მწვრთნელი დათქმულ დროს სასტუმროს გარეთ უნდა ელოდოს ფეხბურთელებს. მან ასევე დროულად უნდა დატოვოს საწვრთნელი ბაზა და არავის დაელოდოს, თუ ვინმე დაიგვიანებს გამოსვლას, მას ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალების მოძებნა დასჭირდება, რადგან მას არავინ დაელოდება.

3. **ვარჯიში, მოკლე, მაგრამ ინტენსიური** - ვარჯიში გრძელდება 90 წუთი, მაგრამ დატვირთვები ამ 90 წუთის განმავლობაში ყოველთვის ინტენსიურია. მოუ არ არის დიდი მოყვარული ფიზიკური დატვირთვების, მის არსენალში ყველაზე დიდი ადგილი ბურთს უკავია.

4. **ტრავმირებულის კანონი** - ფეხბურთელი თუ ტრავმირებულია ვალდებულია ბაზაზე გუნდის ექიმთან ერთი საათით ადრე უნდა გამოცხადდეს შესამოწმებლად. მხოლოდ ექიმი ატყობინებს მწვრთნელს, არის თუ არა ესა თუ ის ფეხბურთელი მზად ვარჯიშისთვის.

5. **მობილური ტელეფონები ავტობუსში** - მწვრთნელი არ არის წინააღმდეგი კლუბის ავტობუსში ფეხბურთელმა ტელეფონი ან ვოლქმენი გამოიყენოს, ოღონდ აუცილებელი პირობაა - ტელეფონი უხმო ფუნქციაზე უნდა იყოს გადაყვანილი.



ჟოზე რეალის ვარჯიშზე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## შევსება არგენტინიდან

პრიმერადივიზიონში ალზევებულმა „ერკულესმა" ერთი წლით იჯარით აიყვანა „ლანუსის" ნახევარმცველი **მათიას ფრიტცლერი** 23 წლის ფრიტცლერი საყრდენი ნახევარმცველია, ამ ფეხბურთელმა „ლანუსთან" ერთად 2007 წლის აპერტურა მოიგო. არგენტინელი ალიკანტეში რამდენიმე დღეში ჩავა და ახალ გუნდს შეუერთდება. ფრიტცლერმა ბოლო სეზონში „ლანუსში" სასტარტოში ადგილი დაკარგა ამიტომაც დათანხმდა პრიმერაში იჯარით გადასვლის წინადადებას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ადურისი ვალენსიასთვის გაიტანს

„მალიორკას" ბასკმა ფორვარდმა **არის ადურისმა** „ვალენსიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ადურისი ბილბაოს „ატლეტიკის" სკოლის აღზრდილია, 29 წლის ფორვარდმა რამდენიმე კლუბში მოგზაურობის შემდეგ „ბილბაოში" 2006-2008 წლებში 84 თამაშში 22 გოლი გაიტანა, შემდეგ კი ბალეარებზე გადაბარგდა, სადაც 69 თამაშში 23 გოლი გაიტანა. *„ძალიან ამბიციურ კლუბში მოვედი, რომელიც ნებისმიერ ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძვის. ვიმედოვნებ, რომ სოლდადოსთან ერთად შეტევაში კარგ წყვილს შევქმნი"*, - განაცხადა ადურისმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჟუანი რომაში რჩება

"რომას" ბრაზილიელი მცველის აგენტი **ჯუზეპე ბოცო** აცხადებს, რომ მისი კლიენტი უახლოეს პერიოდში კლუბის შეცვლას არ აპირებს.

*"რომას" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ჟუანი არ იყიდება. იგი გუნდისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, აქედან გამომდინარე, კლუბის პოზიცია აბსოლუტურად სწორი და გასაგებია. ჟუანი "რომაში" თავს ბედნიერად გრძნობს და აქ კარიერას დიდი სიამოვნებით გააგრძელებს"*, - თქვა ბოცომ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გუტის გამო ორს უშვებენ

სტამბულის "ბეშიქთაში" ისე ძალიანაა მონადინებული **გუტის** შეძენას, რომ მზადაა, მადრიდის "რეალის" ვიცე-კაპიტნის ხელში ჩასაგდებად ორ ლეგიონერს შეელიოს. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ თურქეთში უცხოელებზე ლიმიტია. ხელსაყრელი ფინანსური პირობების მიღების შემთხვევაში, გუტი კარიერის თურქეთში გაგრძელების წინააღმდეგი არაა და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## მუნდიალი ჩინეთსაც მოუნდა

ჩინეთის საფეხბურთო ასოციაციამ მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ფიფაში განაცხადის შეტანა გადაწყვიტა. თავდაპირველად ქვეყნის ფეხბურთის მამები ჩინური ფეხბურთის დაბალი დონის გამო ამ ნაბიჯის გადადგმას არ აპირებდნენ, მაგრამ როცა ნახეს, რომ მუნდიალის ორგანიზება სამხრეთაფრიკელებსაც შესძლებიათ, დაასკვნეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას თავადაც კარგად გაართმევენ თავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იტალია — სერია A

# კალჩოს გრანდთა მომავალი

## ახალი მწვრთნელები ახლებური ხედვით: რას შეცვლიან ალეგრი, დელ ნერი და ბენიტესი მილანში, იუვენტუსსა და ინტერში?

**იტალიური** სპორტული მედია უკვე გადაერთო საკლუბო ფეხბურთის თემატიკაზე: ტრანსფერებზე, სიახლეებზე, ანალიზსა და პროგნოზებზე. რა იქნება მომდევნო სეზონში? ვინ როგორ ითამაშებს, რა სტრატეგიით და რა ფილოსოფიით. განსაკუთრებული ყურადღება მილანურ გრანდებს და "იუვენტუსს" ეთმობათ, რადგან მწვრთნელი სამივე გუნდმა გამოიცვალა. ახალი თავკაცი ახალი ხედვაა და ბუნებრივია, გრანდთა თამაშიც შეიცვლება. ქვემოთ სწორედ მომავლის "ინტერზე", "მილანსა" და "იუვენტუსზე" ვისაუბრებთ.

### ინტერი და ბენიტესი

მთავარი კითხვა ასე ჟღერს: შეინარჩუნებს თუ არა **რაფაელ ბენიტესი** იმ სიმაღლეს, რომელზეც გუნდი **ჟოზე მოურინიომ** აიყვანა? ძალიან რთული საქმეა და ასეთ დროს შეიძლება, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეიქმნას. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც წარმატების ლომის წილს ისევ წინამორბედს მიაწერენ, ფეხის დაცდენა კი მთლიანად შენი ბრალი იქნება. ბენიტესმა გადადგა ეს ნაბიჯი და როგორც ჩანს, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემა არ აქვს. პრესასთან საუბარში მუდმივად იმას აცხადებს, ჩვენი მთავარი მიზანი გამარჯვებულის მენტალიტეტის შენარჩუნებაა.

ბენიტესის დამოძღვრილი "ლივერპული" ფრთხილ ფეხბურთს თამაშობდა - ხშირ შემთხვევაში, ესპანელი 4-4-1-1 ტაქტიკას იყენებდა: შეტევის წინა ხაზზე **ფერნანდო ტორესი** მოქმედებდა, სიღრმიდან კი **დირკ კუიტი** უტევდა. ანუ დიდია შანსი, "ინტერის" თამაშმა მცირე ცვლილება განიცადოს და კიდევ უფრო მეტად გახდეს დაცვაზე ორიენტირებული. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მოურინიოს ბევრი ანტიფეხბურთის მიმდევრად მიიჩნევს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს გადაჭარბებული შეფასებაა. ჟოზეს ხელში "ნერაძურიმ" არაერთი შემტევი თამაში გამართა როგორც სერია A-ში, ისე ჩემპიონთა ლიგაში. უბრალოდ, ჟოზე ჭკვიანი სპეციალისტია და სადაც საჭირო იყო, იქ ჩაკეტა კიდეც თამაში - თუნდაც "კამპ ნოუზე", "ბარსელონას" წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, წინასწარი ვარაუდით, "ინტერის" თამაშის ამოსავალი წერტილი საკუთარი კარის უსაფრთხოება იქნება. ბენიტესს ძალიან კარგი რესურსი აქვს - გასულ სეზონში, "ნერაძურის" დაცვის ხაზი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მთავარია, **მასიმო მორატიმ** შეძლოს და **დუგლას მაიკონ** შეინარჩუნოს.

საინტერესოა, რომ ჯერჯერობით არაფერი ისმის "ინტერის" შესაძლო შენაძენებზე. როგორც ჩანს, რაფას აკმაყოფილებს ის კონტინგენტი, რომელიც მის ხელთაა. ბენიტესის თქმით, მისმა "ინტერმა" ესპანური და იტალიური ფეხბურთის იდეალური სინთეზის დემონსტრირება უნდა მოახდინოს. საინტერესოა, რა ბედი ეწევა სახელგავარდნილ ტრიოს: **სამუელ ეტოო - დიეგო მილიტო - გორან პანდევი**. სავარაუდოდ, დაირღვევა და ერთ-ერთი მათგანი სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. იტალიელი ჟურნალისტები, რომლებიც "ინტერის" საწვრთნელ პროცესს ადევნებენ თვალს, ვარაუდობენ, რომ ეს ფეხბურთელი პანდევი იქნება. ეს მოურინიოს აქვს ნიჭი, თითქოს არაფრით გამორჩეული ფეხბურთელებისგან მაქსიმალური შედეგი მიიღოს, მაგრამ წესით, რაფამ გაცილებით უფრო სახელიან თავდამსხმელებზე უნდა გააკეთოს აქცენტი. დიდია შანსი, "ინტერის" "ლივერპულური" ვარიანტი მივიღოთ და შეტევის წინა ხაზზე გამწესებულ მილიტოს, უკნიდან ეტოო მიეხმაროს. ამ ვარაუდით თამაშგარეში რჩება **მარიო ბალოტელი** და თუ მართლაც ასე მოხდა, ნამდვილად გამოიცვლის ნავსაყუდელს. ერთი კი ცხადია, ბენიტესის სამწვრთნელო სპეციფიკიდან გამომდინარე, "ინტერი" კვლავაც აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებს და თითოეულ პაექრობაში ბოლომდე იბრძოლებს.

### მილანი და ალეგრი

იტალიელებს რაღაცის აკვიატება სჩვევიათ და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც - მიუხედავად იმისა, რომ **მასიმილიანო ალეგრის** ჯერ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, აიჩემეს, ძალიან ძლიერი სპეციალისტიაო და მასზე ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა. ხან "იუვენტუსს" დაუკავშირეს მისი ბედი, ხან "ინტერს" და თქვენ წარმოიდგინეთ, იტალიის ეროვნულ ნაკრებსაც კი. არადა, მასიმილიანომ ჯერ მხოლოდ ის შეძლო, რომ "კალიარისგან" კერკეტი გუნდი გააკეთა, რომელიც ნებისმიერი გუნდისთვის და გნებავთ, გრანდისთვის უხერხული მეტოქე იყო. ვნახოთ, ყველაფერს დრო გამოაჩენს.

"კალიარი" ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობდა, თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა, რა უნდა ეკეთებინა მოედანზე, რაც წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. გასულ სეზონში "მილანს" სწორედ ამ კომპონენტში უჭირდა და რა ვიცით, იქნებ მწვრთნელის შერჩევისას კლუბის მესვეურებმა ათიანშიც გაარტყეს. ალეგრი ორ ტაქტიკურ მოდელს იყენებდა: 4-4-2-ს და 4-3-2-1-ს. ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მანევრირებადი სპეციალისტია და მხოლოდ ერთ სქემაზე არ იციკლება. ცდილობს, არსებული რესურსი ბოლომდე გამოიყენოს და ამას დემონსტრირებს სარჩინოულ კლუბში ახერხებდა. ერთადერთი შემოქმედებითი ყაიდის ფეხბურთელი ჰყავდა, **ანდრეა კოსუ**, რომელიც ხან კლასიკური მარცხენა ნახევარმცველი იყო, ხან გარემარბი, ხანაც ცენტრში იწევდა. ანუ, ის თამამად უცვლის ფეხბურთელებს პოზიციებს და დიდია შანსი, ამან "მილანშიც" გაამართლოს. როტაცია **კარლო ანჩელოტის** მთავარი პლუსი გახლდათ, მას შეეძლო ფეხბურთელისთვის თითქოს ყველაზე შეუსაბამო დავალება მიეცა და ამით მაქსიმალური შედეგი მიეღო. აბა ვის წარმოედგინა თავის დროზე, რომ პლეიმეიკერი **ადრეა პირლო** ჩამშლელად მოგვევლინებოდა, მუშა **კლარენს ზეედორფი** კი ნამდვილ ფანტაზისტად გადაიქცეოდა. მოკლედ, თუ ალეგრიმ კარლიტოს მიბაძა და ეს საქმე კარგად გამოუვიდა, "როსონერი" ამით მხოლოდ მოიგებს. მაგალითად, რატომ არ შეიძლება ერთხელ მაინც მოისინჯოს **ტიაგო სილვა** ნახევარდაცვაში? - ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც ძალიან სწრაფია, დრიბლინგის უნარი აქვს და არც მოედნის ხედვა დაეწუნება. გასულ სეზონში, "მილანს" თითქოს სულ აკლდა ერთი ასეთი ტიპის ნახევარმცველი, მოძრავი, მობილური და ძალიან ენერგიული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალეგრი ორ ტაქტიკურ მოდელს ეყრდნობა - "მილანის" ძირითადი ბირთვისთვის ორივე კარგად ნაცნობია, რადგან გარემარბებით გასულ სეზონში ასპარეზობდნენ, იქამდე კი მთელი რვა წელი სწორედ 4-4-2-ით ითამაშეს. ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, რა სატრანსფერო პოლიტიკას გაატარებენ კლუბის მესვეურები. სავარაუდოდ, ყველა წამყვან ფეხბურთელს შეინარჩუნებენ და ერთ მაღალკვალიფიციურ ფორვარდს შეიძენენ. ამ ტრანსფერში შესაძლოა **კლას-იან ჰუნტელაარიც** ჩაერთოს და სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ყველა შესაძლო გარიგებაში, „ხურდა ფულის როლში“ სწორედ ჰოლანდიელი მოიხსენიეს.

"მილანი" უფრო პრაგმატული იქნება, ვიდრე **ლეონარდოს** ხელში, რადგან ალეგრი შედეგზე ორიენტირებული სპეციალისტია - მისი "ფორმაციის" "მილანმა" წესით ნაკლები შეცდომა უნდა დაუშვას დაცვაში და ზოგადად, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საკუთარი კარის უსაფრთხოებას. და მაინც, ალეგრი ჯერ კიდევ გამოცანაა და პირველ რიგში უნდა დაამტკიცოს, რომ "მილანის" კალიბრის გუნდის გაძღოლის ღირსია.

### იუვენტუსი და დელ ნერი

ძალიან საინტერესო ტრანსფორმაციები უნდა მოხდეს "იუვენტუსში", რადგან გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლუიჯი დელ ნერი** გახდა. ამასთან, ყველაფერი ძალიან მარტივია - "იუვენტუსი" 4-4-2 ტაქტიკით ითამაშებს და თანაც, არა რომბისებურად, არამედ კლასიკური სქემით. დელ ნერი არასდროს სცნობდა გამთამაშებელს და ისეთი პირი უჩანს, რომ ასე იქნება ტურინშიც. ამად არის, რომ ყველაზე უფრო ხშირად პრესაში **დიეგო რიბასის** წასვლაზე საუბრობენ. ბრაზილიელი არ ჯდება ლუიჯის მონახაზში და მას ან გაასხვისებენ, ანაც რომელიმე სხვა ფეხბურთელზე გაცვლიან. ბოლო დღეებში აქტურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ დიეგო "ვოლფსბურგს" მიაშურებს, საიდანაც ტურინში **ედინ ჯეკო** გადმობარგდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეტევის წინა ხაზზე დელ ნერი ორ ფეხბურთელს ამჯობინებს, რომელთაგან ერთი უფრო შემოქმედებითი ყაიდის გახლავთ, მეორე ტიპური დამგვირგვინებელი, ანუ ცენტრფორვარდი. ასე იყო "სამპდორიაშიც", სადაც "ფანტაზისტას" როლს **ანტონიო კასანო** ასრულებდა, მის მხარდამხარ კი **ჯამპაოლო პაცინი** იჩვებოდა. კასანოს დარი ფეხბურთელი "იუვეში" არ ჰყავს და ამიტომაც **აგუეროს** შეძენა სურს მადრიდის "ატლეტიკოდან". არგენტინელმა კასანოს ფუნქციებიც უნდა შეასრულოს, თუმცა ტრანსფერს ჯერ გაჩარხვა სჭირდება.

ფაქტი ის არის, რომ 4-4-2-ს დელ ნერი არასდროს ულალატებს, ეს მისი სიტყვებია და არაერთხელ აქვს ნათქვამი.

დელ ნერის ახალგაზრდა ფეხბურთელებს უყვარს მუშაობა და სწორედ ამიტომ პირველი, ვისაც სხვა კლუბის მოედანზე ურჩია, **ფაბიო კანავარო** გახლდათ. მის ნაცვლად "ბიანკონერიში" **ლეონარდო ბონუჩი** მიიყვანა, იტალიური ფეხბურთის მომავალი და დიდი იმედი. ნესთა, მეტი დრო უნდა მიეცეს **სებასტიან ჯოვინკოს**, რომელსაც კასანოს პოზიციაზე შეუძლია თამაში. მართალია, ბოლომდე მასზე დაყრდნობა არ შეიძლება, თუმცა ლომა თადარიგიდან ორონს რეზერვში ნესით უნდა გადაინაცვლოს.

იტალიელ ექსპერტთა აზრით, დელ ნერი რაღაცით **ფაბიო კაპელოს** ჰგავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ფორმირების გუნდი, ფაბიოს "იუვეს" სტილში ითამაშებს - ორი საყრდენი ტიპის ცენტრალური ნახევარმცველი, მებრძოლი ფლანგები, ფანტაზისტა და დამგვირგვინებელი. ეს გუნდი რომ რომანტიულ ფეხბურთს ვერ ითამაშებს, ცხადზე ცხადია, მაგრამ შედეგი რომ გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე **ჩირო ფერარასა** და **ალბერტო ძაკერონის** პერიოდებში, ამაში ყველა დარწმუნებულია.

**ლაშა ნიკლაური**



მასიმილიანო ალეგრი



ლუიჯი დელ ნერი



რაფაელ ბენიტესი

გერმანიის ნაკრები



## ლიოვი: დამაცადეთ!

**გერმანიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გასულ პარასკევს პირველად შეხვდა თავისი შტაბის წევრებს, მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკეს**, ასისტენტ **ჰანსი ფლიკსა** და მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფს**. ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბის წევრებმა ერთმანეთში იმის შესახებ მოილაპარაკეს, თუ რა პირობები უნდა წაუყენონ გერმანიის საფეხბურთო კავშირს იმისათვის, რომ მათთან ახალი კონტრაქტები გაფორმდეს. თანაშტაბელებთან შეხვედრის შემდეგ ლიოვმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ გადაწყვეტილების მიღება ამ კვირაში გამორიცხულია.

*„ამ დღეებში ოლივერს, ჰანსის და ანდრეასს კიდევ ერთხელ უნდა შევხვდე. ასე რომ, გერმანიის საფეხბურთო კავშირს კიდევ ცოტა ხანს მოუწევს მოცდა, - განუცხადა ლიოვმა ჟურნალისტებს, - ამჯერად ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატის დეტალური ანალიზი იყო. მომდევნო შეხვედრაზე კი ახალი კონტრაქტების საკითხს განვიხილავთ.“*

არადა, რაც დრო გადის, ლიოვსა და მის თანაშტაბელებზე ზეწოლა უფრო და უფრო იზრდება. ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს **ფრანც ბეკენბაუერმა, ბერტი ფოგტსმა** და **რუდი ფიოლერმა**. მათი აზრით, ლიოვმა გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ახალი ხელშეკრულება უნდა გააფორმოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კითხვას, დარჩება თუ არა ლიოვი გერმანიის ნაკრებისა დამრიგებლის თანამდებობაზე, პასუხი მინიმუმ 30 ივლისამდე არ გაეცემა. 11 აგვისტოს ბუნდესგუნდს პირველი ამხანაგური მატჩი უწევს (დანიასთან) და შესაბამისად, აგვისტოს დასაწყისში გუნდმა მზადება უნდა დაიწყოს. ეს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის სამზადისის დაწყებაც იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**

იუვენტუსი

## დიეგოს წასვლა არ უნდა

„იუვენტუსის“ ბრაზილიელმა გამთამაშებელმა **დიეგომ** განაცხადა, რომ ტურინული კლუბიდან წასვლა არ სურს.

*"დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ "იუვენტუსში" დავრჩები. ვფიქრობ, კლუბსაც იგივე პოზიცია აქვს. ვესაუბრე გენერალურ დირექტორ ბეპე მაროტას და საერთო ენა იოლად გამოვნახეთ. ჭორებს კი საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას. "იუვეში" ბედნიერი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ჩემთვისაც და კლუბისთვისაც მომავალი სეზონი წინაზე გაცილებით წარმატებული აღმოჩნდება"*, - თქვა ბრაზილიელმა ფლეიმეიკერმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# კაპელოს ნდობის ინდექსი



საოცარი რამ მოხდა ამ უქმეებზე ინგლისში: **ფაბიო კაპელოს** ინდექსის ამბავი ხომ გახსოვთ? ინგლისის ეროვნული გუნდის იტალიელი მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში საგანგებო ვებგვერდზე თავისი გუნდის ფეხბურთელების შეფასებას აპირებდა. მას უნდოდა, ყოველი ტურის შემდეგ დაეწერა ქულები მოთამაშეებისთვის, რითაც შემდეგ „ფენტეზი ფუტბოლით" გატაცებული ადამიანები ისარგებლებდნენ (30-დან 200 ფუნტამდე გადაუხდიდნენ) და ეს კაპელოს დიდძალ კომერციულ მოგებას მოუტანდა. შეგახსენებთ, რომ ამ გეგმამ, რომლის შესახებაც საჯაროდ მაისში გახდა ცნობილი, ინგლისში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ და ფანებმა კაპელოს ერთი ამბავი აუტეხეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ფეხბურთელებისთვის ქულების საჯაროდ წერა არაპედაგოგიური იქნებოდა და გუნდში ვითარებას არევდა. მაშინ კაპელომ უკან დაიხია, „ინდექსზე" უარი თქვა და კონფლიქტიც თითქოსდა ჩაიფარცხა, მაგრამ დახეთ სასწაული - დღეს, როდესაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში შერცხვენილი დაბრუნდა და ამის მიუხედავად მწვრთნელმა სამსახური მაინც შეინარჩუნა, იგი გალაღდა, თავისი საიტი გაიხსენა და მოთამაშეებს ნიშნები ჩამოუწიკწიკა. მოკლედ გეტყვით, რა პრინციპით დაიწერა ნიშნები: თითოეულ თამაშში თითოეულ ფეხბურთელს მაქსიმუმ 100 ქულის მიღება შეეძლო. დანარჩენი უკვე საშუალო არითმეტიკულით გამოვიდა. მოგახსენებთ, რომ ყველაზე დაბალი ქულა მეკარე **რობერტ გრინმა** დაიმსახურა - 51,67. პრესაში დაიწერა, რომ ამაში გასაკვირი არაფერი იყო, გრინი ხომ ამერიკელებთან შეხვედრაში უხეშად შეცდა, მაგრამ ალჟირთან თამაშში **უეინ რუნისთვის** 53,1 ქულის დაწერა (სულ, 4 მატჩში მანჩესტერელმა 58,87 ქულა დაიმსახურა) ერმა შეურაცხყოფად მიიღო - ინგლისელებს რუნი ძალიან უყვართ. ყველაზე მაღალი შეფასება **ჯერმაინ დეფომ** დაიმსახურა - 62,47. 60 ქულაზე მეტი გამოუვიდათ **ჯონ ტერის, მეტიუ აპსონს, სტივენ ჯერარდსა** და **ემილ ჰესკის.**

შეგახსენებთ, ხოლო ვინც არ იცის, მოგახსენებთ, რომ ინგლისში მწვრთნელის შეფასებების გამო სკანდალი პირველად არ ამტყდარა. 1998 წელს „ფენტეზი ფუტბოლი" და ამ ტიპის ინტერნეტკომერცია არ იყო, მაგრამ **გლენ ჰოდლს** თავისთვის ჰქონდა ჩამოწერილი, რომელმა ფეხბურთელმა რა დაიმსახურა და როდესაც ეს „დღიურები" გამოქვეყნდა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა... რაა გასაკვირი, ყველას ყოველთვის ჰგონია, რომ მეტს იმსახურებდა.

„კაპელოს ინდექსსაც" დიდი რია-რია მოჰყვა. გაბრაზდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია და, სავარაუდოდ, გაბრაზდნენ ფეხბურთელები, რომლებიც ამიერიდან მწვრთნელს, შესაძლოა ცუდად შეხვდნენ. გაზეთებმა იტალიელს იმწუთას შეახსენეს, რომ ის თანამდებობაზე კარგი შედეგების გამო კი არა, ცუდად შედგენილი კონტრაქტის გამო დატოვეს - კაპელო რომ გაეშვათ, ინგლისელებს მისთვის 12 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევდათ და სწორედ ამ ხარჯს მოერიდნენ. თუმცა, ახლა მდგომარეობა შეიცვალა: თუ „ინდექსის" ამოქმედებით კაპელომ მასა და ფეხბურთის ასოციაციას შორის დადებული პირობა დაარღვია, მაშინ ასოციაცია უჩივლებს და იმ 12 მილიონიდან ერთ პენსსაც აღარ გადაუხდის, პირდაპირ გაუშვებს თანამდებობიდან. და საერთოდ, ინგლისური მასმედია გაოგნებულია - რად უნდოდა პროფესიონალს, რომელსაც საყვარელ საქმეში წელიწადში 6 მილიონ ფუნტს უხდიან, სიხარბის გამო ასეთ რალაცებში მონაწილეობა?

ერთი სიტყვით, ინგლისში კაპელოს რეიტინგი საოცრად დაეცა და დიდი შანსია, ის მართლაც გაუშვან თანამდებობიდან. თავად მწვრთნელი სიცილიაზე ისვენებს, ფეხბურთის ასოციაციამ კი პირველი, რაც მოსთხოვა, საიტიდან შეფასებების წაშლა იყო. კაპელოს შვილმა **პიერფილიპომ**, რომელიც მისი აგენტი და მარჯვენა ხელი გახლავთ, განაცხადა:

*„უკიდურესად განაწყენებულები ვართ. ვცადეთ, დავკავშირებოდით იმ ადამიანებს, ამ ყველაფრის უკან რომ დგანან და თუ ორშაბათამდე მათგან პასუხს არ მივიღებთ, სასამართლოში ვიჩივლებთ. მამაჩემმა ამ რეიტინგის შესახებ საერთოდ არაფერი იცოდა. მისთვის ნიშნების დაწერაში არც პირდაპირ და არც ირიბად, ფული არავის გადაუხდია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ის თავიდან ამ პროექტში აპირებდა მონაწილეობას, ის გახლდათ, რომ იტალიაში ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო გეგმები დასახა და მასაც მოუნდა ხელი შეეწყო".*

მომხდარზე თავისი აზრი გამოთქვა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე **გორდონ ტეილორმა:**

*„რეიტინგის გამოქვეყნება ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის დიდ ნაპრალს გააჩენს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რა მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. აშკარაა, გუნდში შეიქმნება გარემო, რომელიც ინგლისის მომავალი ნაკრების მშენებლობას ხელს ვერანაირად ვერ შეუწყობს. ამწუთას „კაპელოს ინდექსმა" ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ფეხბურთის ასოციაცია ამ ამბავზე აუცილებლად იმსჯელებს, ასე ვერ დარჩება. ყველა, ვისაც ეს ამბავი შეეხო, რაიმე შეთანხმებამდე უნდა მივიდეს. საკითხს ბევრი ასპექტი აქვს, თუმცა უმთავრესი ნდობის ფაქტორია. ასეთი რამ ვინმეს საკლუბო დონეზეც რომ გაეკეთებინა, შეცდომა იქნებოდა, სანაკრებო დონეზე კი ყველაფერი გაცილებით უკეთაა. შენ შეგიძლია ფეხბურთელებს ელაპარაკო, შენიშვნები მისცე, თუ აუცილებლად გჭირდება, ნიშნებიც დაუწერო, მაგრამ ეს საჯაროდ არ უნდა მოხდეს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ფაბიოს ინგლისელი შეცვლის

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დირექტორმა სერ **ტრევორ ბრუკინგმა** განაცხადა, რომ ფაბიო კაპელოსთან გაფორმებული კონტრაქტის ამოწურვისთანავე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ადგილობრივი სპეციალისტი ჩაიბარებს.

"ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ ფაბიოს შემდეგ ნაკრებს ინგლისელ მწვრთნელს ვანდობთ. გვინდა, ადგილობრივი სპეციალისტების ერა დაიწყოს და ამაში თვით კაპელო დაგვეხმარება. ორი წლის შემდეგ ავაშენებთ ეროვნულ საფეხბურთო ცენტრს, რომელშიც ჩვენი მწვრთნელები დახელოვნდებიან", - ამბობს ბრუკინგი.

შეგახსენებთ, სამუნდიალო ფიასკოს მიუხედავად, კაპელოს კონტრაქტი არ გაუწყვიტეს და იგი ინგლისის ნაკრების სათავეში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატამდე დარჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კადრი, რომლის გამოც ლონდონში ძალიან გაბრაზდნენ

სატრანსფერო ამბები

# მკაცრი არსენი

## ვენგერი: ფაბრეგასს თავი დაანებეთ!

აშკარად გაღიზიანებულმა **არსენ ვენგერმა** „არსენალის" კაპიტნის **სესკ ფაბრეგასის** მომავალთან დაკავშირებით კატეგორიული განცხადება გააკეთა. - ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ ის რომ დარჩეს! - ასეთი გახლდათ ფრანგი მწვრთნელის განცხადების მოკლე შინაარსი.

შეგახსენებთ, რომ ფაბრეგასის გადაბირებას „ბარსელონა" ცდილობს - მას მერე, რაც 30 მილიონ ფუნტზე „არსენალისგან" ცივი უარი მიიღო, ესპანეთის ჩემპიონმა ახალი წინადადება შეუთვალა და ინგლისელებს 40 მილიონი შესთავაზა. დავაზუსტოთ: 40 მილიონი ფუნტი 47,31 მილიონი ევროა. თავად ფეხბურთელმაც ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე უთხრა ვენგერს, რომ კატალონიაში დაბრუნება სურდა.

*„დროა, ბარსელონელები გაჩერდნენ. ფაბრეგასი ჩვენი კაპიტანია, ის „არსენალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და მის შესანარჩუნებლად ყველა ღონეს ვიხმართ. სწორედ ამიტომ არ განვიხილავთ მასთან დაკავშირებულ არც ერთ წინადადებას. ფაბრეგასზე „ბარსელონას" უარს იმიტომ კი არ ვეუბნებით, რომ შემოთავაზებული ფული გვეცოტავება და ვევაჭრებით, არამედ იმიტომ, რომ სესკს არ ვყიდით. ჩვენ სესკს ჩვენი სიყვარული და ზრუნვა პირველივე დღიდანვე ვაგრძნობინეთ და მწამს, მასაც უყვარს „არსენალი". მჯერა, მისი ტრანსფერის ისტორია აქ დამთავრდება. ეჭვი არ მეპარება, რომ ფაბრეგასი გაისადაც ჩვენი გუნდის ფეხბურთელი იქნება და მოდი, ამაზე ლაპარაკი დავასრულოთ".*

როდესაც ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და მადრიდს დაბრუნებულმა ქუჩაში აურაცხელი ადამიანის წინაშე იზეიმა, - წამყვანის ფუნქცია მიკროფონით ხელში „ლივერპულის" მეკარე **პეპე რეინამ** იკისრა - ბარსელონელები **პიკე** და **პუიოლი** ნახევარმცველს უკნიდან მიეპარნენ და თავიანთი გუნდის მაისურა ძალად ჩამოაცვეს თავზე. რეინამ ხალისიანად შემოსძახა, ეს გახლავთ „ბარსას" და ესპანეთის მომავალი სესკიო, ხოლო გვარი, ფაბრეგასი ხალხს დააქუხებინა. ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ეპიზოდში ფაბრეგასი თავს უხერხულად გრძნობს და, სხვათა შორის, მასმედიამ ამას მიაქცია კიდეც ყურადღება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, „ბარსას" ახალი პრეზიდენტი **სანდრო როსელია,** რომელმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ის ფაბრეგასის გამო სულაც არ „მოიკლავს თავს". ვენგერმა თქვა:

*„ერთადერთი, რაც შეგვიძლია, საკუთარი ქცევის კონტროლია. ჩვენ მკაცრი უარი უნდა ვთქვათ და ყველას ვაგრძნობინოთ, რომ სესკს არ გავყიდით. საკითხს უამრავი უსაგნო ლაპარაკი მოჰყვა. იმედი მაქვს, რომ ბარსელონელთა მხრიდან კვლავ როსელთან გვექნება ურთიერთობა".*

როსელის ასეთ კონტექსტში ხსენება იმას ნიშნავს, რომ მის წინამორბედს, **ჟოან ლაპორტას** სატრანსფერო ბაზარზე გაცილებით ხისტი მიდგომა ჰქონდა. როსელის სიტყვებია:

*„ჩვენს კლუბში საკმაოდ დელიკატური ეკონომიკური მდგომარეობაა. ფაბრეგასში ნებისმიერი ფასის გადახდას ნამდვილად არ ვაპირებთ".*

რაც შეეხება ფაბრეგასს, წესითა და რიგით ის „არსენალში" ამ თვის ბოლოს უნდა დაბრუნდეს, რათა 31 ივლისსა და 1 აგვისტოს „ემირატების თასზე" ითამაშოს. მის არყოფნაში „მეთოფეებმა" ამხანაგურ შეხვედრაში „ბარნეტს" 4:0 მოუგეს და გუნდს ჩეხმა **ტომაშ როსიცკიმ** უკაპიტნა. და მაინც, იმ შემთხვევაში, თუ „არსენალი" იძულებული გახდება ფაბრეგასი დათმოს, ვინ ითამაშებს მის ადგილას? ზედაპირული ვარაუდის თანახმად, ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ვარსკვლავი **ჯეკ უილშერი,** რომელმაც „ბარნეტის" დონეზე ამოცანას თავი კარგად გაართვა. ამ დღეს იგი **ტომაშ კოსციელნისა** და **მაროან შამახის** მხარდამხარ თამაშობდა.

შემდეგ ვენგერს ჰკითხეს, კიდევ აპირებს თუ არა სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას. „მეთოფეთა" თავკაცმა მიუგო:

*„სხვადასხვა საკითხზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ, რაღაც-რაღაცებს ვაკვირდებით, თუმცა კონკრეტულად ვერავის დაგისახელებთ".*

**ილია ბაბუნაშვილი**




ამბები

## დეპორტივოს დაქვეითება ემუქრება

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "დეპორტივოსგან" სასწრაფოდ მოითხოვა კლუბის ორი ყოფილი ფეხბურთელის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გალისიურ კლუბს პრიმერადან სეგუნდა დივიზიონში დააქვეითებენ.

ნახევარმცველ **სერხიო გონსალესისა** და თავდამსხმელ **სებასტიან ტაბორდასთვის** "დეპორტივოს" საერთო ჯამში, 6 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი და თუ პრიმერა დივიზიონში დარჩენა სურს, ვალი 2 აგვისტომდე უნდა გაისტუმროს.

## მილანი აბიატის შეინარჩუნებს

"მილანი" მზადაა, ვეტერან გოლკიპერს კონტრაქტის 2013 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზოს. სავარაუდოდ, **კრისტიან აბიატი** ამ შეთავაზებაზე უარს არ იტყვის. იგი წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

აბიატი "მილანის" ღირსებას 1998 წლიდან იცავს, მაგრამ ძირითადი მეკარე ყოველთვის არ იყო და ამის გამო განათხოვრებით "იუვენტუსში", "ტორინოსა" და "ატლეტიკოში" უთამაშია. გასულ სეზონში 33 წლის აბიატიმ შავ-წითელთა ღირსება მხოლოდ 11-ჯერ დაიცვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ფილიპ ლამი

# ბალაკის საჭიროება? ლიოვს ჰკითხეთ!

## ლამი ცეცხლზე ნავთს არ ასხამს, მაგრამ კაპიტნობისთვის ბრძოლას აგრძელებს



ფილიპ ლამს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა: „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა 67 მატჩი ჩაატარა, გახდა გერმანიის ჩემპიონი, მოიგო გერმანიის თასი და ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მერე კი, ბუნდესგუნდის დროებითი კაპიტნის რანგში მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ზუსტად ისე, როგორც 2006 წლის მუნდიალისა და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ, ზედიზედ მესამე დიდი სანაკრებო ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნებულმა ლამმა თავის კლაუდიაზე იქორწინა. ამ ყველაფრის ფონზე, მას აშკარა კონფლიქტი აქვს გერმანიის ნაკრების კაპიტან მიხაელ ბალაკთან - ლამს კაპიტნის სამკლავურის შენარჩუნება უნდა. ფილიპი ახლა საბერძნეთში ისვენებს, სადაც კლაუდიასთან ერთად თაფლობის თვე აქვს. მას „ბილდის" ჟურნალისტი სწორედ საბერძნეთში დაუკავშირდა და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა. მაშ ასე: ფილიპ ლამი ბალაკთან კონფლიქტის, ქორწინებისა და იმის შესახებ საუბრობს, თუ რატომ დარჩება „ბაიერნის" ერთგულ მოთამაშედ.

**- ჰერ ლამ, დაქორწინებას გილოცავთ. როგორი იყო თქვენი ბედნიერების დღე?**

- ულამაზესი დღე გამოვიდა, ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ეს იყო შესანიშნავი ზეიმი მეგობრებისა და ოჯახის ვიწრო წრეში.

**- მიხაელ ბალაკმა გაბედნიერება ტელევიზიით მოგილოცათ...**

- ჰო, მიხაელს ასეთი რაღაცები არ ეშლება.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის წინ თქვენ განაცხადეთ, ბალაკს კაპიტნის სამკლავურს იოლად არ დავუთმობო. მიხაელს მიაჩნია, რომ ეს თქვენი მხრიდან უადგილო და უდროო განცხადება იყო. ბალაკის თქმით, კაპიტანი ის არის, თქვენ კი სამკლავური მხოლოდ დროებით გეკეთათ. რა შეიცვალა მას მერე, რაც ეს განცხადება გააკეთეთ?**

- ამ ყველაფერს უკომენტაროდ დავტოვებ. სწორად გამიგეთ, არ მინდა, რომ ცეცხლზე ნავთი დავასხა.

**- ბალაკმა თქვა, ფილიპს აუცილებლად დაველაპარაკებიო. თქვენ გსურთ მასთან საუბარი?**

- მე ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ვარ. ჩემთან საუბარი ყოველთვის და ნებისმიერ თემაზე შეიძლება. ასე რომ, თუ მიხაელს ლაპარაკი უნდა, მზად ვარ, მოვუსმინო.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ამ ყველაფრის შემდეგ ის, რომ მიხაელმა და თქვენ გერმანიის ნაკრების ღირსება ერთად დაიცვათ?**

- რა თქმა უნდა, შესაძლებელია! საერთოდ, რა კითხვაა ეს?

**- მაშინ სხვანაირად უნდა გკითხოთ: თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა გერმანიის ნაკრებს ბალაკი?**

- თანაგუნდელებზე საუბარი და გერმანიის ნაკრების წევრობის საჭიროების განხილვა ჩემი საქმე არ არის. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და თუ ამ კითხვაზე პასუხის მიღება გსურთ, იოახიმ ლიოვს უნდა მიმართოთ.

**- გასაგებია, რომ ეს თქვენი საქმე არ არის, მაგრამ ხშირად გაგიკეთებიათ ისეთი განცხადებები, რაც წესით, თქვენი საქმე არ იყო. ამ შემთხვევაში კი საქმე მიხაელ ბალაკს ეხება. მაგალითად, ბასტიან შვაინშტაიგერმა განაცხადა, ბუნდესგუნდს ბალაკი ჯერ კიდევ სჭირდება, მიხაელი ჩვენი გუნდის უმთავრესი ფიგურაა, რომლის გარეშეც გერმანიის ნაკრები ჯერ ვერ წარმომიდგენიაო.**

- ეს შვაინშტაიგერის მოსაზრებაა. ყველას აქვს იმის უფლება, რომ თავისი აზრი გამოხატოს. მირჩევნია, ამ საკითხზე არაფერი ვთქვა, რადგან მიმაჩნია, რომ ამ თემაზე პირველ რიგში მწვრთნელმა უნდა ისაუბროს.

**- აგვისტოში გერმანიას დანიასთან ამხანაგური მატჩი უწევს. გიხარიათ?**

- ახლა მხოლოდ შვებულებასა და დასვენებაზე ვფიქრობ და ზუსტად ვიცი, რომ ორ კვირაშიც ასე იქნება.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებზე ამომწურავად მოტივირება რთულია?**

- რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, რადგან სეზონი უაღრესად დამღლელი იყო. მიხარია, რომ ვისვენებ და ცოტა ხნით გერმანიის ნაკრების დავიწყებაც შემიძლია და მიუნხენის „ბაიერნისაც". ზოგადად, ივნის-ივლისში ყოველთვის ძალიან გადაღლილი ვარ ხოლმე და წელს მით უმეტეს, რადგან საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა და შესაბამისად, სეზონი უფრო გრძელი გამოვიდა.

**- ექსპერტების აზრით, „ბაიერნს" ახალ სეზონში კარგი სტარტის აღება გაუჭირდება, რადგან მიუნხენური კლუბის ფეხბურთელების დიდი ნაწილი მუნდიალზე ასპარეზობდა. როგორ ფიქრობთ, რეკორდმაისტერმა ახალი ფეხბურთელები უნდა შეიძინოს? თუ ასეა, მაშინ რამდენი?**

- გასულ სეზონში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. „ბაიერნმა" წინა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა გამოსწორდა და ბოლოს ძალიან ახლოს ვიყავით ტრიუმფთან - ბუნდესლიგა და გერმანიის თასი მოვიგეთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი დავმარცხდით. ჩვენი მიზანი მომავალ სეზონშიც ჰეთ-თრიკის შესრულება იქნება და ცხადია, რომ „ბაიერნი" აუცილებლად უნდა გაძლიერდეს და ასეც იქნება.

**- ამ შემადგენლობით ჩემპიონთა ლიგის მოგება გამორიცხულია?**

- ლოგიკურად შესაძლებელია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება იმდენად ძნელია, რომ შეიძლება, ძალიან გავძლიერდეთ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მივაღწიოთ. ვფიქრობ, კლუბის რეალური ძალა პირველ რიგში ყოველთვის შიდა ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით იზომება. თუ „ბაიერნი" მომავალ სეზონშიც ჩემპიონი გახდება, პირადად მე კმაყოფილი ვიქნები.

**- მეუღლეს ერთგულება შეჰფიცეთ. გააკეთებთ თუ არა იმავეს „ბაიერნთან" მიმართებაშიც?**

- რა თქმა უნდა! 15 წელია, „ბაიერნის" ფეხბურთელი ვარ და ერთხელაც არ მიფიქრია იმაზე, რომ შესაძლოა, მიუნხენი დავტოვო.

**- მაგრამ თქვენი შეძენა არაერთ გრანდს სურს...**

- დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, გულახდილად ვიტყვი, რომ ჩემი სხვაგან გადასვლა გამორიცხულია. „ბაიერნსა" და ზოგადად მიუნხენში თავს ისე კარგად ვგრძნობ, რომ ამ ეტაპზე კარიერის რეკორდმაისტერში დასრულება მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც არაფერს გამოვრიცხავ. წინასწარ არასდროს იცი, რა გელის მომავალში და შესაბამისად, არც არაფერი უნდა გამორიცხო.

**- შვებულების დროს ფეხბურთზეც ფიქრობთ თუ შეგიძლიათ, რომ ფეხბურთი დაივიწყოთ ხოლმე?**

- უმეტესად ფეხბურთზე არ ვფიქრობ - დღეში მაქსიმუმ ორი წუთი მახსოვს, რომ ფეხბურთელი ვარ.

**- აღგვიწერეთ ფილიპ ლამის თაფლობის თვის ერთი დღე.**

- კარგად გამოძინება, გემრიელი საუზმე, პლაჟი და მეუღლესთან ერთად დროის ლამაზად გატარება...

**გოტფრიდ ლენცი**



# უცხოური ფეხბურთი

## ავსტრია

I ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-ზალცბურგი | 0:0 |
| რიდი-შტურმი | 0:3 |
| ვინერი-ლინცერი | 5:0 |
| ტიროლი-რაპიდი | 4:0 |
| აუსტრია-მატერსბურგი | 2:0 |

## დანია

I ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-ესბერგი | 3:0 |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 0:2 |
| ნორდსიელანდი-სილკებორგი | 4:1 |
| რანდერსი-ბრონდბიუ | 3:2 |
| სიონდერიისკი-კოპენჰაგენი | 1:3 |
| ლუნგბიუ-ოლბორგი | დღეს |

## ფინეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| იარო-ლაჰტი | 2:0 |
| ჰიკ-კუოპიო | 1:2 |
| მარიეჰამნი-ინტერი | 3:0 |
| მიუპა-ჰონკა | 2:2 |
| ტურკუ-ჰაკა | 1:1 |
| ტამპერე-ოულუ | დღეს |
| იუვასკილა-ვაასა | დღეს |

### II დივიზიონი

XIII ტური

ტპვ ტამპერე-კოტეპე 0:0; ჰამეენლინა-პკ35 ; კპვ-პოპა ; მიკელი-ოპს ; ვიიკინგი-ტი-როვანიემი ; ესპოო-კლუბი 04 დღეს.

## ისლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| ვესტმანაეიარი-ფრამი | 1:0 |
| ფილკირი-სელფოსი | 5:2 |
| ჰაფნარი-ვალური | 1:1 |
| ჰაუკარი-რეიკიავიკი | 3:3 |
| კეფლავიკი-ბრეიდაბლიკი | 0:2 |
| გრინდავიკი-სტიარნანი | დღეს |

## ირლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სლიგო | 2:0 |
| უნივერსიტი-ბრეი | 4:0 |
| დანდალკი-სტ. პატსი | 0:3 |
| გალვეი-შემროკი | 0:1 |
| სპორტინგი-დროგედა | დღეს |

## ნორვეგია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-კონგსვინგერი | 5:2 |
| ბრანი-სტაბეკი | 2:2 |
| მოლდე-სანდეფიორდი | 0:0 |
| სტარტი-ოლესუნდი | 1:0 |
| სტრიომსგოდსეტი-ჰაუგესუნდი | 2:1 |
| ვიკინგი-ჰონეფოსი | 4:0 |
| როზენბორგი-ოდ გრენლანდი | 1:1 |
| ტრომსიო-ლილესტრიომი | დღეს |

### II დივიზიონი

XIV ტური

ფრედრიკსტადი-ბრინი 3:0; ბოდო გლიმტი-ტრიომსდალენი ; ლოვ ჰამი-ალტა ; ნილი-სანდნესი ; სოგნდალი-ფოლო ; სტრიომენი-სარპსბორგი.

## შვედეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ჰალმსტადი | 3:0 |
| მიალბიუ-ბრომაპოიკარნა | 0:0 |
| აიკ-მალმიო | 2:0 |
| ელფსბორგი-ერებრო | 3:3 |
| იურგორდენი-კალმარი | 0:2 |
| გაის-ატვიდაბერგი | 0:0 |
| ტრელებორგი-გეფლე | 2:1 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ანგელჰოლმი-ბრაგე 2:0; ოსტერსი-ლიუნგსკილე 2:2; სუნდსვალი-ასირისკა 3:1; ტროლჰატანი-ნორჩოპინგი 0:4; სირიანსკა-დეგერფორსი 2:1; ლანდსკრონა-ვასბი ; ფალკენბერგი-ჰამარბიუ.

## შვეიცარია

I ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ქსამაქსი | 1:1 |
| თუნი-იანგ ბოიზი | 1:1 |
| ბელინცონა-სიონი | 0:2 |
| ლუცერნი-სტ. გალენი | 4:0 |

## ხორვატია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| დინამო-ჰაიდუკი | 1:0 |

## ჩეხეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სლავია | 1:1 |
| სლოვაცკო-ტეპლიცე | 3:0 |
| ჰრადეცი-სპარტა | 2:1 |
| პრშიბრამი-ბანიკი | 0:0 |
| უსტი-ბოლესლავი | 0:2 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 0:0 |
| პლზენი-სიგმა | 2:2 |
| იაბლონეცი-ბრნო | დღეს |

## აშშ

XI ტური

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ტორონტო | 2:1 |
| კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2:0 |
| დალასი-სოლტ ლეიკი | 2:0 |
| კოლორადო-კანზასი | 1:1 |

## რუმინეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| კლუჟი-უნირეა | 1:1 პენ. 2:0 |

## რუსეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ზენიტი-სიბირი | 2:0 |
| დინამო-როსტოვი | 3:2 |
| სპარტაკი-რუბინი | 0:1 |
| ტომი-ანჟი | 1:4 |
| ტერეკი-ამკარი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ალანია | 3:0 |
| კრილია-ცსკა | დღეს |
| სატურნი-ნალჩიკი | დღეს |

## სლოვაკეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ჟილინა-მორავცე | 2:1 |
| ნიტრა-დუბნიცა | 3:2 |
| რუჟომბეროკი-ტატრანი | 1:0 |
| ტრნავა-სენიცა | 3:0 |
| ბისტრიცა-დ. სტრედა | 2:0 |
| სლოვანი-კოშიცე | 2:0 |

## სლოვენია

I ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-პრიმორიე | 4:1 |
| პუბლიკუმი-დომჟალე | 0:1 |
| მარიბორი-ტრიგლავი | 5:0 |
| ოლიმპია-რუდარი | 1:3 |
| გორიცა-ნაფტა | 1:0 |

## უკრაინა

II ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-ობოლონი | 3:0 |
| სევასტოპოლი-მეტალისტი | 0:0 |
| ვორსკლა-ილიჩივეცი | 1:3 |
| დინამო-ტავრია | 2:1 |
| ზორია-არსენალი | 0:2 |
| დნეპრო-ვოლინი | 2:0 |
| მეტალურგი (ზ)-შახტარი | 1:1 |
| კრივბასი-კარპატი | 0:0 |

## ბრაზილია

IX ტური

| | |
|---|---|
| ვასკო და გამა-ატ. პარანაენსე | 3:1 |
| ვიტორია-სან პაულუ | 3:2 |
| ატ. გოიანიენსე-ფლამენგო | 0:1 |
| ავაი-პალმეირასი | 4:2 |
| კორინთიანსი-ატ. მინეირო | 1:0 |
| ინტერნასიონალი-სეარა | 2:1 |

## ჩილე

XVI ტური

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-სან ფელიპე | 1:2 |
| ატ. ნუბლენსე-უნ. დე ჩილე | 0:2 |
| აუდაქსი-ევერტონი | 2:0 |
| კოლო კოლო-ო'ჰიგინსი | 2:0 |
| ლა სერენა-კობრესალი | 3:0 |
| სან ლუისი-პალესტინო | 0:0 |
| სანტიაგო-უნ. კონსეპსიონი | 1:0 |

## კოლუმბია

I ტური

| | |
|---|---|
| სანტა ფე-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| ატ. ხუნიორი-დეპ. პერეირა | 2:1 |
| ატ. უილა-ამერიკა დე კალი | 1:1 |
| ჩიკო-კორტულუა | 1:0 |
| კუკუტა-ენვიგადო | 2:0 |
| დეპ. კინდიო-ლა ეკვიდადი | 1:0 |
| ონსე კალდასი-რეალ კარტახენა | 2:1 |

## პერუ

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ლეონი-სან მარტინი | 4:2 |
| სპ. კრისტალი-ინტი გასი | 4:1 |
| ალ. ლიმა-კოლეგიო | 4:1 |
| ალ. ატლეტიკო-სპორტ ბოისი | 4:0 |
| სპორტი-მელგარი | 3:0 |
| ტოტალ ჩალაკო-ხუან აურიჩი | 1:2 |

## იაპონია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ომიია-ნაგოია | 0:1 |
| იამაგატა-ვეგალტა | 3:1 |
| ტოკიო-კობე | 2:2 |
| შიმიცუ-ჯუბილო ივატა | 0:0 |
| კაშიმა-კავასაკი | 2:1 |
| ნიიგატა-სერეზო | 1:1 |
| გამბა-ურავა | 3:2 |
| კიოტო-შონანი | 0:1 |
| ჰიროშიმა-იოკოჰამა | 3:0 |

## ევრო 2010

### UNDER 19

| | |
|---|---|
| ავსტრია-ინგლისი | 2:3 |
| საფრანგეთი-ჰოლანდია | 4:1 |
| ხორვატია-ესპანეთი | 1:2 |
| იტალია-პორტუგალია | 0:2 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მანჩესტერ იუნ-სელტიკი | 3:1 |
| ბარნეტი-არსენალი | 0:4 |
| კრ. პალასი-ჩელსი | 0:1 |
| ოსნაბრიუკი-ტვენტე | 0:1 |
| აზ-მეხელენი | 4:0 |
| ეინდჰოვენი-იფსვიჩი | 1:0 |
| სან ხოსე-ტოტენჰემი | 0:0 |
| ბენფიკა-გრონინგენი | 3:3 |
| ჰამბურგი-იუვენტუსი | 0:0 |
| პორტუ-ლიონი | 1:0 |
| სპორტინგი-ლიონი | 2:0 |

ისევ მუნდიალზე

# ფერგი და მოწამლული სასმელი



სერ ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა მოწამლული სასმელივით არის და სწორედ ამიტომ თქვა მასზე უარი ორჯერ. ცნობისათვის: ის ამბავი, რომ ფერგიუსონს ინგლისის ნაკრების სათავეში ჩადგომაზე ორჯერ უარი ჰქონდა ნათქვამი ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, ბევრმა არ იცოდა და ამიტომაცაა, გაზეთებში ეს სიტყვები ან დიდი შრიფტითაა გამოყოფილი, ან გაშავებული ასოებით. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ბრძანა:

„ორჯერ მთხოვეს, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გავმხდარიყავი, მაგრამ ერთხელაც არ დავთანხმდი. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა საშინელი სამსახურია, მასზე დათანხმება მოწამლული სასმელის დალევას ჰგავს. ამას დაამატეთ, რომ მე შოტლანდიელი ვარ. რომელი მხრიდანაც გენებოთ იქიდან შეხედეთ, მაგრამ ეს რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც უნდა ლაპარაკი"?

შემდეგ კი ფერგიუსონი ისევ **უეინ რუნის** თემას დაუბრუნდა და თავისი ფავორიტი ვარსკვლავის დაცვა გააგრძელა, რასაც ყოველ ცისმარე დღე დიდი ენთუზიაზმით აკეთებს გაზეთში, ტელევიზიასა თუ რადიოში:

„რუნი ზღვარგადასული ზეწოლის ქვეშ მოექცა და მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიბრწყინა, სწორედ ეს გახლდათ. არ გახსოვთ, რას წერდნენ და რას ელოდნენ? ამბობდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მისი შოუ იქნებოდა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ უეინს მუნდიალებზე თამაშის დიდი გამოცდილება არ ჰქონდა. მსოფლიოს ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და მოთამაშეთა დიდი ნაწილი იქ ცხოვრებაში ერთხელ თუ მონაწილეობს, უეინის შემთხვევა კი სხვაა. მას კარიერაში კიდევ ექნება შანსი და მერწმუნეთ, უკეთ ითამაშებს".

ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ „იუნაიტედის" ფრანგი ვარსკვლავი **პატრის ევრა** შეცდა, როდესაც ნაკრების გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ფრანგთა ეროვნული გუნდისა და ლონდონის „ჩელსის" ფორვარდმა **ნიკოლა ანელკამ** მწვრთნელ **რაიმონ დომენეკს** შეაგინა, რისთვისაც ის გუნდიდან გააგდეს, ფეხბურთელები კი თანაგუნდელს გამოესარჩლნენ და გაიფიცნენ, რაშიც ევრამ საკმაოდ აქტიური როლი შეასრულა. ფერგიმ თქვა:

„მე პატრისს ველაპარაკე. ვფიქრობ, ფრანგმა ფეხბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ისეთი რამ გააკეთეს, რასაც ახლა ძალიან ნანობენ. ვარჯიშის ჩაშლა მართლაც საშინელი გადაწყვეტილება გახლდათ. ის, ცხადია, ინდივიდუალურად არავის მიუღია, მოთამაშეებმა ჯგუფურად გადაწყვიტეს, არ ევარჯიშათ, ევრამ კი მის შესახებ მწვრთნელს შეატყობინა, რადგან კაპიტანი იყო. და სწორედ ამის გამო შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს აჯანყება პატრისმა მოაწყო. საბოლოოდ პასუხისმგებლობა ევრას დააწვა".

და კიდევ, ფერგიუსონმა მუნდიალის ფინალის მსაჯი, ინგლისელი **ჰოვარდ ვები** დაიცვა:

„ფინალში ფეხბურთელები ისე იქცეოდნენ, რომ ვებს წარმოუდგენელ ამოცანასთან მოუხდა შეჭიდება. პირველ ტაიმში შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც მსაჯს წითელი ბარათი ჰქონდა ამოსაღები, მაგრამ რომ ამოეღო, მთელი მსოფლიოს კრიტიკის ობიექტი გახდებოდა. ხალხს არ უნდა ნახოს როგორ აგდებენ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, მით უმეტეს პირველ ტაიმში, ფეხბურთელებმა კი არც ამის მერე მოისვენეს და ვებს მთელი თამაში გაურთულეს".

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# იოზილმა ვერდერი გაანაწყენა!

## მესუთის გადაბირება რეალსაც უნდა, ლაპარაკია 30 მილიონ ევროზე

**მესუთ იოზილმა** მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ბრემენის „ვერდერთან" ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებებზე უარი რომ თქვა, „მუსიკოსების" შეფმა **კლაუს ალოფსმა** მაშინვე იგუმანა, რომ თურქული წარმოშობის ახალგაზრდა ფეხბურთელი ბრემენულ კლუბს მაგრად გაანაწყენებდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი: იოზილმა მუნდიალზე ძალიან კარგად ითამაშა, რითაც ერთი მხრივ სხვა კლუბებს მისდამი ინტერესი გაუღვივა, მეორე მხრივ კი, საკუთარი ფასი გაზარდა და ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს. მის კონტრაქტს ვადა კიდევ ერთი წლით აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერი" იოზილს ან ახლა დაკარგავს, ანაც გაისად და თანაც უფასოდ. შესაბამისად, ფაქტი ერთია: ამ ორომტრიალში ნაგებული „ვერდერი" რჩება.

მესუთმა ამას წინათ თქვა, „ვერდერში" კიდევ ერთი წლით დავრჩები, რა პრობლემააო, მაგრამ სულ სხვა რამ იგულისხმა: თუ მსურველი გუნდისთვის მისაღებ ფასად არ გამყიდით, გაისად ჩემ სანაცვლოდ კაპიკსაც ველარ მიიღებთ და არჩევანი თქვენზე იყოსო. სინამდვილეში, უცნობია, ითამაშებს თუ არა იოზილი „ვერდერში" მომავალ სეზონშიც. ამასობაში, მისი გადაბირება მადრიდის „რეალმა" მოისურვა.

მოკლედ, „ვერდერს" იოზილის უფასოდ დაკარგვა არაფრისდიდებით არ აწყობს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მუსიკოსები" მესუთის მსურველ კლუბებთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზად არიან. ეს ალოფსმაც დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, თუ ვინმე კონკრეტული წინადადებით მოგვმართავს, მზად ვართ, შემოთავაზებები განვიხილოთო.

...და აი, სწორედ ამ დროს ჩაერთო თამაშში „რეალი". შაბათს, ესპანური გაზეთი „ასი" წერდა, რომ იოზილს „რეალმა" თვალი დაადგა. უფრო მეტიც: ჩვენი ესპანელი კოლეგები წერენ, რომ „რეალის" გენერალური დირექტორი **ხორხე ვალდანო**, სპორტული დირექტორი **მიგელ პარდესა** და მარკეტინგის შეფი **ხოსე ანხელ სანჩესი** იოზილს შეხვდნენ და მასთან უკვე კონკრეტული მოლაპარაკებები გამართეს. მაგრამ „ასი" ხაზს უსვამს იმასაც, რომ იოზილის ტრანსფერი საბოლოოდ მადრიდული გრანდის მთავარი მწვრთნელის, **ჟოზე მოურინიოს** გადასაწყვეტია. გაირკვა, რომ იოზილთან შეხვედრა მოურინიოსაც სურს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, უნდა თუ არა „რეალს" გერმანიის ნაკრების ფლეიმეიკერი. მანამდე კი დაბეჯითებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ დაინტერესება არსებობს.



მესუთ იოზილი ყურადღების ცენტრშია

„მეც გავიგე, რომ „ასში" ასეთი სტატია დაიწერა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენთვის კონკრეტული წინადადებით ან მოლაპარაკებების დაწყების თხოვნით არავის მოუმართავს," - ამბობს ალოფსი.

ესპანური მედია ტრანსფერის ორ სცენარზე წერს: „რეალმა" იოზილის ნაცვლად ან საკმაოდ დიდი თანხა (25-30 მილიონი ევრო) უნდა გადაიხადოს, ანაც კლუბები გაცილებით დაბალ თანხაზე შეთანხმდებიან და „რეალს" გარანტია ექნება, რომ იოზილი ერთი წლის შემდეგ მადრიდში წავა. ანუ, მესუთი ფაქტობრივად „რეალის" საკუთრება იქნება, მაგრამ „ვერდერში" კიდევ ერთ სეზონს, არენდის წესით გაატარებს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

**გოტფრიდ ლენცი**

# მაგათი რაულს ელის

## ესპანელმა გადაწყვეტილება ივლისის ბოლომდე უნდა მიიღოს



რაულს გელზენკირხენში ელიან

„შალკეს" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს რაულისგან** საბოლოო პასუხი ჯერ არ მიუღია და იმედოვნებს, რომ „რეალის" 33 წლის თავდამსხმელისგან თანხმობას გელზენკირხენში გადასვლის თაობაზე თვის ბოლომდე მიიღებს. „რაულისგან გადაწყვეტილებას ივლისის ბოლომდე ველოდები. ძალიან მინდა, რომ ის „შალკეში" გადმოვიდეს, ის ჩემი გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია," - განუცხადა მაგათმა „ბილდ ამ ზონთაგს".

გელზენკირხენელთა დამრიგებელი გამორიცხავს იმას, რომ ვეტერან ესპანელ ფორვარდს, რომელიც „რეალში" 1992 წლიდან თამაშობს, მოტივაცია დაკარგული ექნება. „თუ რაული „შალკეში" გადმოვა, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ იგი ახალი გამოწვევებისთვის მზადაა და უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ძველებურად გაიბრწყინოს. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ რაულს ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა ჯერ არ მობეზრებია," - ასკვნის „დესპოტი ფელიქსი".

მაგათის აზრით, რაულის ტრანსფერი ძალიან წაადგებათ „შალკეს" ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც. აღსანიშნავია, რომ რაულ გონსალეს ბლანკოს გადაბირების სურვილი „ბეშიქთაშის" მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმაც** გამოთქვა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ოქროს დიდი პრიზი

# მხოლოდ 74 და ცირეკიძე

## ოქრო არც ბერძნულ-რომაულში გვერგო

ქართველ ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა თითო ვერცხლითა და ბრინჯაოთი დაამთავრა გამოსვლა ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში. ვიცე-ჩემპიონი წლევანდელი სეზონის კიდევ ერთი აღმოჩენა, ქუთაისელი **გიორგი ცირეკიძე** (74) გახდა, ბრინჯაო კი **დიმიტრი ჯავახიშვილმა** (120) მოიპოვა.

„თავისუფალთა" გამოსვლისა არ იყოს, წარმატებით ვერც ამათ იჭიდავეს იმის მიუხედავად, რომ ერთი ვერცხლი აქვთ, ანუ ხარისხობრივად წინსვლაა - „თავისუფლებს" ხუთი ბრინჯაო ჰქონდათ. აქ ერთადერთ წონაზე - 74-ზე თუ შეიძლება კარგის თქმა, თორემ სხვა წონებში უმეტესობა ადრევე გავარდა და სანუგეშოშიც ერთეულებმა გაალწიეს. რაც შეეხება მძიმე წონას, ჩვენები ძირითადად ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას და ბრინჯაოსთვისაც ქართველებმა იჭიდავეს.

ამ ტურნირზე ჩვენი ნაკრების ერთადერთი ნათელი წერტილი 74 კილოგრამი წონითი კატეგორია აღმოჩნდა ორი მიზეზის წყალობით - ცირეკიძის წარმატებისა და **მანუჩარ კვირკველიას** საკმაოდ კარგი ჭიდაობის გამო. ამ ნაკრებს ახალი სახეების გამონათებები დასჩემდა და წლეულს უკვე ვიხილეთ ერთი ასეთი - ბაღდათელი **სოსო ჯაბიძე** (96), ვინაც ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა და გუნდის ერთადერთი მედალოსანი გახდა. ეტყობა ნაკრების ახალ აღმოჩენად ცირეკიძე იქცევა.

ახალგაზრდა ქუთაისელმა ფალავანმა ცირეკიძემ ყურადღება პირველად ივნისში მიიპყრო, როცა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირში გაიმარჯვა. საკმაოდ კარგი და დამაჯერებელი ჭიდაობის მიუხედავად, დებიუტანტის გამარჯვება იქნებ ბევრმა შემთხვევითობად მიიჩნია. ყოველ შემთხვევაში, ქომაგთა თუ სპეციალისტთა შორის ცოტა გვეგულება ისეთი, მისგან ბაქოშიც ასეთ დიდ შედეგს რომ ელოდა.

გუშინდელი ტოტალური წარუმატებლობის ფონზე, ამ წონის ნახევარფინალში ერთბაშად ორი მონაწილე გვყავდა - ცირეკიძე და კვირკველია. ეტყობა, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი კვირკველია თანდათან შედის ფორმაში. შეგახსენებთ - მან წინა კვირას მადრიდის ტურნირიც მოიგო, ახლა კი მეხუთეზე გავიდა, თუმცა ბრინჯაოსთვის არ უჭიდავია. სავარაუდოდ, მის გამოსვლას მადრიდული ტურნირიც დაატყობდა კვალს - ძალების აღსადგენად დრო არ ეყოფოდა, რადგან ესპანეთიდან ორშაბათს დაბრუნებული პარასკევს ბაქოში გაემგზავრა. თუმცა მან არაერთ შეხვედრაში ჩვეული შემტევი სტილის ჭიდაობა აჩვენა და ქულებიც ბლომად დააგროვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ორივე ქართველი ერთი და იმავე ათლეტის - უნგრელ ევროპის ჩემპიონ **პეტერ ბასცის** წერა გახდა. მადიარი კონტინენტის ჩემპიონი 2008 წელს იყო, წლევანდელ ევროპირველობაზე კი ბრინჯაო მოიპოვა. ის საოცრად მოტივირებული ჩავიდა ბაქოში და სეზონში მეორე სტუმრობა ფეხბედნიერიც გამოუვიდა - ჩემპიონიც გახდა და 10 000 დოლარიც ჩაიჯიბა. მან ამ ტურნირზე სამი ტიტულოვანი მეტოქე ჩამოიცილა - ბელარუსი ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ალექსანდრ კიკინოვი**, თურქი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სელჯუკ ცები** და კვირკველია.

...ბაქოში ცირეკიძემ სამი შეხვედრა მოიგო ძალზე საინტერესო სტატისტიკით - სამივე ძირითად დროში და ყველა სეტში მინიმალური ანგარიშით, 1:0 იმარჯვა. პირველად მასპინძელ **სამურაი მუსტაფაევს** აჯობა, მერე - ყაზახ **რომან მელიოშინს**, მესამე შეხვედრაში კი პოლონელი **იაკობ კაზიმიერს ტიმი** დაამარცხა. ცოტა დააკლდა და, მეორე წრეში ის ყაზახი **აშხატ დილმუხამედოვი** შეხვდებოდა, ვისაც თბილისური ტურნირის ფინალი მოუგო, მაგრამ ამჯერად დილმუხამედოვს და მელიოშინმა აჯობა. სამწუხაროდ, ფინალში ჩვენებური ვერაფერს გახდა საოცრად მოტივირებულ უნგრელთან და ორივე პერიოდი წააგო საერთო ანგარიშით 0:4. ვიდრე ცირეკიძე ბადის ერთ ნახევარში არბევდა მეტოქეებს, მეორე მხარეს კვირკველია იბრძოდა ყოჩაღად. უფრო სწორად, ებრძოდა ირანელებს, რადგან პირველი ორი შეხვედრა მათთან ჩაატარა და ორივესთან დამატებით დროში იმარჯვა, საინტერესოა, რომ მან წააგო ორივე პირველი სეტი და მერე იმარჯვა ანუ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. არც **ჰამიდ აბდულრახმან რეიჰანი** და არც **მეჰდი რაჰმან მოჰამადი** წონის ლიდერებს არ მიეკუთვნებიან, თუმცა აზიის პირველობაზე მედლები კი მოუპოვებიათ. სამაგიეროდ, ირანის ნაკრები ამ ტურნირში ძალზე ძლიერად გამოვიდა და არც ესენი უნდა ყოფილიყვნენ ჯაბანნი, მაგრამ კვირკველიამ რეიჰანი ერთ სეტში 8:0 გაანადგურა!

ჩვენებურმა ბასცისთანაც ყოჩაღად დაიწყო შეხვედრა ნახევარფინალში და პირველი პერიოდი 3:0 მოუგო. სამწუხაროდ, მომდევნოები ერთნაირი




ანგარიშით - 0:5 დათმო. ვეჭვობთ, რომ მან ტრავმა მიიღო და საერთოდ შეწყვიტა ბრძოლა... ამ ეჭვს ის უფრო აძლიერებს, რომ არც ბრინჯაოსთვის უჭიდავია კიკინოვთან, რომელსაც ადრე რამდენჯერმე მოუგო, ერთხელ კი სულაც ნეკნი ჩაუმტვრია... სამწუხაროდ, ლამის მთელი საჭიდაო სამყარო ბაქოშია წასული, თბილისში დარჩენილთაგან კი ზუსტად არავინ არაფერი იცოდა.

ამ წონაში სამსოფლიოსჩემპიონატოდ საინტერესო კითხვა ჩნდება - ვის დააყენებს ნაკრებში **ბეგი დარჩია?** ჯერჯერობით შედეგების მიხედვით მთავარი პრეტენდენტი ცირეკიძეა, თუმცა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის ჩამოწერაც არ იქნება იოლი. მით უფრო, ფორმაში შედის. კვირკველიამ კარტოზიას ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვა, რაც შანსს უნარჩუნებს - დაზარების გამო რომ არ ეჭიდავა, მაშინ სხვა იქნებოდა, ტრავმირებულს კი გამოსვლას ვერავინ მოსთხოვდა.

მძიმე წონაში უცნაური რამ მოხდა - სამივე ჩვენებური ცხრილში თავიდანვე ერთმანეთის მიყოლებით განლაგდა, ანუ პირველი სამი ნომერი ერგოთ, რაც მათ შორის გარდაუვალ შეხვედრას ნიშნავდა. პირველ წრეში ერთმანეთს კარტოზიას წლევანდელი ტურნირის ფინალისტი, **ოთარ ბოლქვაძე** და **დიმიტრი ჯავახიშვილი** შეხვდნენ და ძირითად დროში ჯავახიშვილმა მოიგო. **შოთა გოგისვანიძე** პირველივე შეხვედრაში ირანელ **მოჰამად გოლდასტენ გორბანისთან** დამარცხდა, რომელმაც მერე ჯავახიშვილის იმედებიც შეიწირა და ფინალში გავიდა. ამდენად, ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობის უფლება ქართველებს ერგოთ და შედარებით გამოცდილმა, რამდენიმე წლით უფროსმა ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრი გოგისვანიძე დაამარცხა.

ალბათ, ქომაგთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა 96 კილოგრამი წონითი კატეგორიაც - ერთი მხრივ **რამაზ ნოზაძის**, მეორე მხრივ კი ჯაბიძის გამოსვლის გამო. სამწუხაროდ, ქომაგს მოლოდინი ვერც ერთმა გაუმართლა, უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ ორივემ ერთ ფალავანთან, არც ისე ძლიერ უნგრელ **ივან ნემენტთან** წააგო. მადიარი ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კია, მაგრამ ამ წონაში უნგრელთა ლიდერი მაინც სხვაა - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბალაშ კისცი**. ჩვენებურებმა ნემენტთან ძირითად დროში წააგეს და ერთი ქულაც ვერ აართვეს. ნოზაძე მას პირველივე წრეში გადაეყარა, ჯაბიძე - მეორეში, მანამდე კი ისევ დაამარცხა აზერბაიჯანელი **საბუჰი ჰუმბატოვი**, ვისაც წლეულს ერთხელ უკვე მოუგო ბაქოში - ევროპირველობაზე. ნოზაძეს იქ წასვლამდე ტრავმა აწუხებდა და ღმერთმა ქნას, ეს იყოს მისი წაგების მიზეზი და არა უფრო სერიოზული რამ.

ამ წონაში მესამე ქართველი - **სერგო ნინუა** ისევ ქართველმა, ოღონდ უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **დავით სალდაძემ** დაგვიმარცხა, რომელსაც ახლა ასევე ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე დოხტურიშვილი** ავარჯიშებს. მამლუქთა თემას შევეხეთ და, ბარემ აქვე გეტყვით, რომ პირველივე წრეში **ზურაბ კეკელიძეს** (55) **ემზარ მახარაძის** აღზრდილმა ინდოელმა **რაჯენდერ კუმარმა** მოუგო.

...ქომაგებს იმედები ვერც მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და ევროპის პრიზიორმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66) გაუმართლა - უკრაინელ **დენის დემიანკოვს** დამატებითში კი მოუგო, მაგრამ ყაზახ **აიბეკ იენსეხანოვთან** ვერაფერს გახდა. ქომაგისთვის საინტერესო იყო კარტოზიას წლევანდელი ტურნირის ჩემპიონ **ვლადიმერ გეგეშიძის** (84) გამოსვლაც, მაგრამ მას წილისყრამ არ გაუმართლა - პირველივე წრეში მეტოქედ რუსი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსეი მიშინი** ერგო და წააგო. თუმცა მიშინი რომ დაუმარცხებელი არაა, მალევე დაამტკიცეს გეგეშიძესავით უცნობმა ირანელებმა - მომავალმა ჩემპიონმა **ტალებ ნარიმან ნემატროურმა** რუსს ნახევარფინალში აჯობა, **დავოდ მოჰამად აბედინზადენ ჩადორჩიმ** კი არც ბრინჯაოს მედალი დაანება.

სხვა ჩვენებურებიდან სანუგეშო წრეში მხოლოდ **გიორგი გვენეტაძე** (55) და **ანტონ მამაგეიშვილი** (74) გადაერთნენ, თუმცა უშედეგოდ. **ლაშა გოგიტაძე** (55), **ირაკლი ჭოჭუა** (60), **გენადი გოგიშვილი** (74), **დავით ხეთაგური** და **დავით ქარჩავა** (84) პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ, **რევაზ ლაშხმა** (60) და **მუხრან მაჭუტაძემ** (66) კი თითო შეხვედრა მოიგეს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ალ-ალის ალალი ქულები

ფოთში ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ მთავარი ტურნირის გამარჯვებული, ფაქტობრივად, ცნობილია - ეს გახლავთ დიდოსტატი **კონსტანტინე შანავა**, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით **გაიოზ ნიგალიძე** დაამარცხა და 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. იგი უახლოეს მდევრებს - **ლევან ფანცულაიას**, **შოთა აზალაძესა** და აზერბაიჯანელ **ზაურ მამადოვს** თითო ქულით უსწრებს. გუშინ მამადოვმა და ფანცულაიამ ქულა გაიყვეს, აზალაძე კი **ზურაბ ჯავახაძეს** დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **ჰუსეინ ალ-ალი** და **პარმენ გელაზონია**. სხვათა შორის, ერაყელმა ფიდეს ოსტატმა ამ ტურნირზე უკვე 5,5 ქულა მოაგროვა და რეიტინგიც საკმაოდ გაიუმჯობესა.

მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ნიკოლოზ შენგელია-დავით ზარქუა** 0:1, **დავით ლომსაძე-დავით ბენიძე** 0:1, **მირანდა მიქაძე-ჯამბულ მახარაძე** 1:0, **გიორგი გამზარდია-დავით მალალაშვილი** 1:0, **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-მაია ლომინეიშვილი** 0:1, **აკაკი შალამბერიძე-მოჰამედ ჰამადი** 1:0.

ბოლო ტურის წინ პრიზებისთვის მებრძოლთა რიგებში ასეთი მდგომარეობაა: შანავა - 7, აზალაძე, ფანცულაია, მამადოვი - 6-6, ზარქუა, ნიგალიძე, ბენიძე, ალ-ალი, გელაზონია, მიქაძე, ჯავახაძე - 5,5-5,5, ლომინეიშვილი, შალამბერიძე, შენგელია, გამზარდია - 5-5 ქულა.

უფროსების მსგავსად, დღეს შეჯიბრებას დაამთავრებენ მოზარდებიც. რვა ტურის შემდეგ შედეგები კი ასეთია:

**8-წლიანები:** თიკა ცაგურია - 7, ნუცა ცირეკიძე - 6,5, სანდრა კაპანაძე, მაია ბეჭვაია - 6-6, ანასტასია სიდამონიძე, მარიამ ფართლაძე - 5,5-5,5; დავით კამკია - 8(!), ანტონ ნადირაძე - 7, დიმიტრი ჯიბუტი, მათე თოდაშვილი - 6-6 ქულა;

**10-წლიანები:** ნინო ჯალაღონია - 7,5, გვანცა მარგველაშვილი - 7, ელენე კოსტავა - 6,5; დავით გვენეტაძე - 7,5, ლევან ბაბუხადია - 7, ირაკლი ახვლედიანი, გურამ კოკაია - 6-6, გიორგი ვარაზაშვილი, საბა არაბიძე - 5,5-5,5 ქულა.

**12-წლიანები:** ნინო ხომერიკი, მარიამ მჟავია - 7-7, ანა თედოშვილი, ნარმინ მამადოვა (აზერბაიჯანი) - 5,5-5,5, თამარ ფაშკურიძე, თეა ჭოლაძე - 5-5; გიორგი სიბაშვილი - 6,5, ნოე თუთისანი, ნიკა ლვამბერია, გიგი აბსარიძე - 6-6, ავთანდილ ფანჩულიძე -5,5 ქულა.

**14-წლიანები:** ანა შამათავა, ნატო იმნაძე - 6,5-6,5, თეკლა მაჭარაშვილი - 5, ირაკლი ბერაძე - 8(!), გიგლა ბენიძე (6), ალექსანდრე ებრალიძე - 5,5; ექვს მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# მშვიდობისმოყვარე ფავორიტები

საბერძნეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მეექვსე ტური ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ მშვიდობიანი აღმოჩნდა: 15 პარტიიდან მხოლოდ ორი დასრულდა შედეგიანად — რუსმა **სერგეი ვოლკოვმა** შავი ფიგურებით იტალიელი **დენის რომბალდონი** დაამარცხა, უკრაინელმა **იაროსლავ ზინჩენკომ** კი თეთრებით რუს **არტიომ სმირნოვს** აჯობა. დანარჩენი 13 პარტია ყაიმით დამთავრდა. მათ შორის ქართველი მოჭადრაკეების — **მალხაზ სულაშვილისა** და **ბელა ხოტენაშვილისა**, შესაბამისად, უკრაინელ **იური კრივორუჩკოსთან** და რუს **ანდრეი რიჩაგოვთან**.

ელადურ ბატალიებში კიდევ სამი ჩვენებური მონაწილეობს. მე-6 ტურში **ნინო ბაციაშვილი** რუს **ჩალიკო ტჩანცევთან** დამარცხდა, **ალექსანდრა ვახანიამ** ბერძენ **ნიკოლას თეოდორუს** სძლია, ანა **გავაშელმა** კი ფილიპინელ **ედუარდო გოუს** მოუგო.

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით სვეტუშკინი, პარლიგრასი, პოსტნი, ხარიტონოვი, იორდაჩესკუ, ვოლკოვი და ზინჩენკო მეწინავეობენ. ქართველთაგან სულაშვილს და ხოტენაშვილს 4,5-4,5, ვახანიას — 4, ბაციაშვილსა და გავაშელს 3-3 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**

# ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

ტორონტოში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა კანადის 47-ე ღია ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 160-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორისაა თბილისელი დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი**. საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა და ქვეყნის ნაკრების წევრმა გუშინ **იე ლორნი** დაამარცხა და 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა (5 მოგება, 3 ყაიმი) მოაგროვა. ბოლო ტურის წინ იგი **ედუარდას როზენტალისთან**, **არტიომ სამსონკინთან**, **ალექსანდრ შაბალოვთან** და **ნიკოლაი ნორიცინთან** ერთად მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფს. გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზეა **ვლადიმირ მალანიუკის** მძლეველი **ლუკ მაკშეინი**, რომელსაც 7 ქულა აქვს, 9 მოჭადრაკემ 6-6 ქულას მოუყარა თავი.

გადამწყვეტ ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მაკშეინი-სამსონკინი, ნორიცინი-როზენტალისი, გაგუნაშვილი-შაბალოვი, ჯონი იოსი-ჰარიკრიშნა, პური-მალანიუკი, ჰემბლეთონი-კრნანი, ქუმინგსი-არონოვი, იბრაჰიმიგერუოი.

**ვაჟა დანელია**

# მესამე-მეთორმეტე ადგილები გაინაწილა

ჩვიდმეტი დიდოსტატი მონაწილეობდა მოჭადრაკეთა დრეზდენის საერთაშორისო ტურნირში. საპრიზო ადგილებისთვის სამტრედიელი **დავით ჯოჯუაც** იბრძოდა. ბოლო ტურის წინ შეჯიბრებას ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა — ირანელი **ეჰსან ჩაემ მაგჰამი** და გერმანელი **გეორგ მაიერი**, რომლებმაც 8 შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს და 1,5-1,5 ქულით უსწრებდნენ უახლოეს მდევრებს. ბოლო ტურში მათი პაექრობა ჩაემის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც უდანაკარგოდ პირველი პრიზიც დაისაკუთრა. ვერცხლი მაიერს ხვდა.

ლიდერთა ჯგუფიდან ყაიმზე შეთანხმდნენ: **ალექსანდრ მოისეენკო** (6,5)-**დავით ჯოჯუა** (6,5), **იგორ ლისი** (6,5)-**სერგეი ოვსეიევიჩი** (6,5), **ალექსანდრ გრაფი** (6,5)-**არტიომ ილინი** (6,5), **იგორ ხენკინი** (6)-**ლაიოშ სერეში** (6); დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **იაროსლავ ჟერებუხი** (6)-**ლევ გუტმანი** (6) 1:0, **ტომაშ ლუთერი** (6)-**ივან ფარაგო** (6) 1:0, **ვალდემარ შლოცერი** (6)-**ანდრეი კოვალიოვი** (6) 0:1, **ნორმანდს მიეზისი** (6)-**ვიქტორ ტურიკოვი** (6) 1:0.

ამდენად, დავით ჯოჯუას მსგავსად კიდევ 9 მოჭადრაკემ მოაგროვა 7-7 ქულა. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მათ მესამე-მეთორმეტე ადგილები გაიყვეს.

**ვაჟა დანელია**

სუმო

# სასწაულის იმედად

## კოკაი დეპოში, გაგამარუ ამოქმედდა

როდესაც **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) 2006 წელს კომუსუბის ტიტული მოიპოვა, მან ამ რანგით სუმოს ელიტაში ორი ბაშო გაძლო. გვეეჭვება, რომ მისი მიღწევის გამეორება შეძლოს **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**), ამისთვის ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტს შვიდი ორთაბრძოლიდან ექვსის მოგება მართებს. იმედია, ვცდებით, თუმცა ლევანმა შაბათს ისეთ რიკიშისთან წააგო, რომელსაც მუდამ უგებდა. ქართველი კომუსუბის უქმეები ასე გაილია - მან ჯერ აღმოსავლეთის კომუსუბი **ჰაკუბასთან** დათმო ტოტარის ილეთით, შემდეგ კი მოუგო დასავლეთის სეკივაკე **კოტოშოგიკუს**, რისთვისაც უვატენაგეს ილეთი გამოიყენა. ტოჩინოშინს 2-6 ბალანსი აქვს. სხვათა შორის, ორივე მოგება მან რანგით მაღლა მდგომ სეკივაკეებთან მოიპოვა. აი, მისი დღევანდელი მეტოქე კი მეტად ღონიერია, 202 სმ სიმაღლის ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** (7-1). თუკი ჩვენებური იმარჯვებს, ეს მისი მე-2 გამარჯვება იქნება ბულგარელთან (1:3) და 99-ე ელიტაში.

მე-12 მაეგაშირას საფეხური ქართველებს უკავიათ, აღმოსავლეთის მე-12 დებიუტანტი **გაგამარუა** (**თეიმურაზ ჯუღელი**), ხოლო დასავლეთისა - კოკაი. „შავ ზღვას" ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა (4-1), მაგრამ შემდეგ რაღაც დაემართა და ზედიზედ მესამე ორთაბრძოლა წააგო. დღეისთვის კოკაის ბალანსი ნულოვანია, 4-4 და მას ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს. შაბათს კოკაი ვერ გაუმკლავდა გამოცდილ **ვაკანოსატოს**, რომელსაც ღონით აჯობა, მაგრამ ხერხით იაპონელი გავიდა ფონს. კვირას ჩვენებურს მავაშში ბრძოლა არ გამოუვიდა **მოკონამისთან**. დღეს „შავი ზღვა" მე-16 მაეგაშირა **ტამაასუკას** (3-5) შეხვდება, რომელიც გავარდნის პირასაა.

სამაგიეროდ, გაგამარუ გამოფხიზლდა და ელიტას ალლო აუღო, მან უკვე გამოასწორა ბალანსი (4-4). შაბათს ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტმა ცუკიდაშით მოუგო **კაკიძოეს**, კვირას კი **შიმოტორი** დაამარცხა იორიკირით. არც ქართველის დღევანდელი მეტოქე კრეფს ციდან ვარსკვლავებს - მე-16 მაეგაშირა **შოტენროს** მხოლოდ 2 მოგება აქვს ნაგოიას ბაშოზე. ეს მათი მესამე დაპირისპირება იქნება, აქამდე კი ამათ შორის 1:1-ია.

ბაშოს სამი რიკიში ლიდერობს დაუმარცხებლად, რომელთაც 8-8 მოგება აქვთ: იოკოძუნა **ჰაკუჰო** და ორი რიგითი მაეგაშირა, **კაკურიუ** და **ჰომაშო**.

» მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

პირველი საკონტროლო მატჩი

# უნგრეთის ციხესიმაგრე ქართველთათვის კვლავ შეუვალია



17 ივლისი, უნგრეთი, სომბათჰეი, არენა "სავარია" 500 მაყურებელი

**უნგრეთი–საქართველო 90:82**

19:28, 21:13, 17:19, 33:22

უნგრეთი: **ჰონგა (5), მოლნარი (7), ვოივოდა (7), ჰეინდლეინი (5), ლორანი (20), ვიტმანი (20), საბო (2), ა. ტოთი (4), შოოში (6), გ. ტოთი (2), კელერი (2), ჰორვატი (10)**

საქართველო: **ცინცაძე (5), გრინი (9), მარკოიშვილი (22), მეტრეველი (4), ფაჩულია (14), გამყრელიძე (2), შერმადინი (2), ჰოსლი (3), ცქიტიშვილი (17), სანიკიძე (4)**

მსაჯები: **ფორაი, ტოთი, შაბალი**

1994 წელს საქართველოს ნაკრები უნგრულ შეკრებაზე იყო. ვის ეთამაშა, რა შედეგი დაფიქსირდა, არარავის ახსოვს. უნგრული ამბები არც ფურცელს შემოუნახავს და არც ვიდეოფირს. 16 წლის შემდეგ, 2010 წლის 17 ივლისს საქართველოს ეროვნულმა გუნდმა კვლავ უნგრეთში ითამაშა, ტექნიკური პროგრესის წყალობით ქართველებმა მატჩი პირდაპირ ეთერში ინტერნეტის საშუალებით ვიხილეთ. 16 წლის წინანდელთან შედარებით, გუნდიც ძლიერი გვყავს, მაგრამ შედეგი მაინც იგივეა – უნგრელებთან კვლავ დავმარცხდით. მადიარებთან 2006 წელსაც ამხანაგურად ვითამაშეთ და მაშინაც ვერაფერი გავაწყვეთ. მოკლედ, უნგრეთი ქართველთათვის ჯერაც აუღებელი ციხესიმაგრეა.

სიტყვა "ციხესიმაგრე" გონებაში უნებლიეთ არ გაჩენილა - სომბათჰეის ოთხკუთხა არენის ერთი კედელი ქვით აშენებულ ციხეს მოგაგონებდათ*. მეორე ტაიმში ქართველები ამ კედლის მხარეს მდგარ კალათს უტევდნენ, **მანუჩარ მარკოიშვილი** "კატაპულტიდან" სამქულიანებს ზუსტად ისროდა (5 სამქულიანი ჩააგდო); შორეული ტყორცნებით და ფარქვეშ სწრაფი შესვლებით თავი დაგვამახსოვრა **ნიკა ცქიტიშვილმა**; დროდადრო ვნახეთ ისეთი თამაში, როგორითაც ნაკრებმა შარშან A დივიზიონის საგზური მოიპოვა...

სხვათა შორის, გუშინ ჩვენი ნაკრების ამერიკელმა მწვრთნელმა **ჯეისონ სტაუდტმაც** აღნიშნა, რომ ზოგ მომენტში ქართველებმა კარგად ითამაშეს, თუმცა იქვე დასძინა, სეზონის პირველი საკონტროლო შეხვედრა უმთავრესად ოპტიმალური შემადგენლობის ძიებას მიეძღვნაო:

*- შარშანდელი სეზონის შემდეგ ნაკრებში რამდენიმე ახალი კალათბურთელია. ამ შეხვედრაში ჩვენი მთავარი მიზანი მათი გამოცდა იყო. მთავარი მწვრთნელი ამიტომაც ხშირად ცვლიდა შემადგენლობას. მზადების პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს და თამაშს დღითიდღე გავაუმჯობესებთ.*

ძნელი სათქმელია, ნაკრების თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** შაბათის შეხვედრაში ოპტიმალური შემადგენლობის კონტურები დაინახა თუ არა, მაგრამ სეზონის სადებიუტო მატჩში რამდენიმე საინტერესო სიახლე შემოგვთავაზა. სასტარტო ხუთეულში გამთამაშებლობა კვლავ **გიორგი ცინცაძეს** დაევალა, რომელიც 2006 წლის შემდეგ კლუბებშიც პლეიმეიკერად ირჯება და ამ პოზიციაზე გუნდისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. **ტაირონ ელისის** შემცვლელი **ტორინ გრინი** ამპლუით გამთამაშებელია და მისი გაქართველების შემდეგ საინტერესო იყო, მსროლელად ითამაშებდა (ელისის ადგილზე) თუ პლეიმეიკერობაში ცინცაძეს შეეცილებოდა. უნგრეთთან მატჩმა გვიჩვენა: როცა ცინცაძე მოედანზეა, გრინი მეორე ნომრის პოზიციას გაამაგრებს. "ბუ" (გიორგის მეტსახელი) პირველი მეოთხედის ბოლოს სათადარიგო გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ** შეცვალა და გრინი კვლავ მსროლელად დარჩა, თუმცა იყო მცირეხნიანი ეპიზოდი, როცა ამერიკელმა პლეიმეიკერობა იკისრა.

ერთი შეხვედრის მიხედვით კალათბურთელის შეფასება ძნელია. ეპიზოდებში ტორინი კარგ ინდივიდუალისტად გამოჩნდა, დრიბლინგიც არ დაეწუნება და სამქულიანებსაც ისვრის. თუმცა იყო მომენტები, როცა მან იჩქარა და პასის გადაცემას შორეული ტყორცნა ამჯობინა. ამის შემდეგ იგი სათადარიგოთა სკამზე დაჯდა და ხანგრძლივმა დასვენებამ მოუწია.

ცინცაძე, გრინი... სასტარტო ხუთეულში მსუბუქ ფორვარდად **მანუჩარ მარკოიშვილი** გამოჩნდა, რომელმაც ფლანგებიდან მასპინძლებს მოსვენება არ მისცა. პირველი მეოთხედი 28:19 რომ მოვიგეთ, უმთავრესად მანუს ზუსტი თამაშის შედეგია. თუმცა მას ოპტიმალურ ფორმამდე ჯერ არ მიუღწევია - როცა სათანადო კონდიციებში იყო, "კანტუს" მაისურით ბოლო წუთებზე სამი სამქულიანიც ჩაუგდია.

ხუთეულში მძიმე ფორვარდის პოზიცია მე-15 ნომერმა დაიკავა. 15 ორი წლის წინათ **ნიკა ცქიტიშვილი** იყო, თუმცა მას სომბათჰეიში 22-ნომრიანი მაისურა ეცვა. შარშან ნაკრებში მძიმე ფორვარდად **ვლადიმერ ბოისა** თამაშობდა, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო და წლეულს ნაკრებს ვერ დაეხმარება. იგორ კოკოშკოვი სწორედ ვოვას შემცვლელის ძიებაშია. ამიტომაც დააყენა ხუთეულში ახალგაზრდა **ნიკა მეტრეველი** (15-ნომრიანი მაისურა სწორედ მას ემოსა), რომელზეც მადიარმა კომენტატორმა არაერთხელ თქვა - იტალიის "მონტეპასკის" წევრიაო. სანაკრებო დონეზე მეტრეველი გამოუცდელია, რაც პირველ პერიოდშიც დაეტყო: სითამამე აკლდა, თუმცა მალე გაშინაურდა და პირველი ტაიმის ბოლო წამზე ჩაგდებული ორქულიანით (41:40) მწვრთნელს დაანახა, რომ მისი ნდობა შეიძლება. მეტრეველი შეცვალა ნიკა ცქიტიშვილმა, რომელიც შეხვედრაში კარგად ჩაერთო და უნგრელ მიმომხილველებს NBA გაახსენა. მატჩის ბოლოს, როცა თამაშის შემოტრიალება დასჭირდა, იგორ კოკოშკოვი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ცქიტოს ენდო...

როგორც მოსალოდნელი იყო, სასტარტო ხუთეულში ცენტრად კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** გამოვიდა. მას **გიორგი შერმადინი** ცვლიდა.

როცა **ქუინტონ ჰოსლის** მიერ ჩატარებული მატჩების საუკეთესო ეპიზოდები ვიხილეთ, **ვიქტორ სანიკიძის** ჩატენვები გაგვახსენდა. ვიქტორიცა და ქუინტონიც უნივერსალური კალათბურთელები არიან და მწვრთნელს საშუალება ჰქონდა, ისინი მსუბუქ ფორვარდებადაც მოესინჯა და მეოთხე ნომრებადაც. კოკოშკოვმა სანიკიძე ბოლომდე არ დატვირთა, ალბათ იმიტომ, რომ ფეხის კუნთი ჰქონდა გაჭიმული და რამდენიმე დღე გაუცდა. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მწვრთნელმა 2009 წლის ნაკრების სნაიპერი დამალა... აკი ამბობს პოლონელთა მწვრთნელი **იგორ გრიშჩუკი**, სკაუტები მეტოქეთა ყველა მატჩზე მივავლინეო.

ქუინტონ ჰოსლის სათამაშოდ საკმარისი დრო ჰქონდა, ძირითადად მარკოიშვილს ცვლიდა, თუმცა "ვიდეო-ჰაილაითებში" რომ გვინახავს, ისეთი ეფექტური არ იყო. ვნახოთ, მომდევნო მატჩებში თავს როგორ გამოიჩენს.

შარშანდელი სეზონის შემდეგ უკანა ხაზში მანუჩარ მარკოიშვილის დაბრუნებამ ბევრი რამ შეცვალა. მწვრთნელს შემადგენლობით ვარირების მეტი საშუალება მიეცა. ამან **ანატოლი ბოისასა** და **კოტე ტულუშის** უთამაშებლობა გამოიწვია. ვფიქრობთ, სათამაშო პრაქტიკისთვის მათი მოედანზე თუნდაც მცირე დროით შეყვანა საჭირო იყო...

12 კაცს შორის ვერ მოხვდნენ **მიხეილ ბერიშვილი, ლევან შენგელია** და **კოკა ტომარაძე.**

ჯეისონ სტაუდტმა აღნიშნა, რომ მთავარი აქცენტი შემადგენლობის შერჩევაზე გაკეთდა და საფინალო ანგარიში მეორეხარისხოვანი იყო, თუმცა ბოლო წუთებზე კოკოშკოვმა გამოცდილი შემადგენლობა დააყენა და თამაშის მოგება სცადა. მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში ქართველებს არც დაცვაში და არც შეტევაში ბევრი არაფერი გამოუვიდათ. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ უნგრეთი უკეთ იყო შეთამაშებული და "ბურთსაც გრძნობდა". ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მადიარებმა ქართველებთან დაპირისპირებამდე 3 საკონტროლო შეხვედრის ჩატარება მოასწრეს, ხოლო ჩვენმა გუნდმა ვარჯიშებისას ხუთი-ხუთზე თამაში ერთი კვირის წინ დაიწყო, უნგრეთთან კი სეზონის პირველი მატჩი ჩაატარა.

მკითხველის ყურადღებას საინტერესო დეტალზე გავამახვილებთ: უნგრეთის ნაკრებში ერთადერთი ლეგიონერი იყო - **ლორანი**, რომელიც ესპანეთის მეორე ლიგაში ასპარეზობს. მადიარების ჩემპიონატი იმდენად მაღალი დონისა აღმოჩნდა, რომ მასში მოასპარეზეებმა ესპანეთის, საბერძნეთის, იტალიის პირველობების წარმომადგენელ ქართველებს 90:82 აჯობეს. ზაზა ფაჩულია ამიტომაც გვახსენებს - ნაკრების წარმატება თუ გვინდა, საქართველოს ჩემპიონატს უნდა მივხედოთო...

ჯეისონ სტაუდტმა მოკლე კომენტარის შემდეგ გვითხრა, ახლა ავტობუსისკენ მივემართები, გეზი სლოვაკეთისკენ უნდა ავიღოთო. შემდეგი გაჩერება პეზინოკია - 19 ივლისს ქართველები სლოვაკებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

**სომბათჰეი უნგრეთის უძველესი ქალაქია, იგი პირველ-მეორე საუკუნეებში რომაელებმა გააშენეს და სავარია უწოდეს. სომბათჰეის საკალათბურთო არენას სწორედ "სავარია" ჰქვია. ამიტომ დარბაზში ციხესიმაგრის იმიტაცია გასაკვირი არ უნდა იყოს.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## შოთა ჩართოლანი



ქართულმა სპორტულმა და სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მთამსვლელი და მეცნიერი, სპორტის ოსტატი ალპინიზმში, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ჩართოლანი.

შოთა ჩართოლანი მთამსვლელთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც ურთულესი ასვლები განახორციელა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებზე. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა სვანეთის არქეოლოგიურ შესწავლაში და ბრწყინვალე აღმოჩენებით გაამდიდრა ქართული არქეოლოგიის საგანძური. ამ აღმოჩენებიდან ქართული სპორტის ისტორიისთვის უნიკალურია სვანეთში, სოფელ ჭუბერში მის მიერ მიკვლეული 2500 წლის წინანდელი წერაყინი – დღევანდელის ანალოგი.

შოთა ჩართოლანმა მთამსვლელობა ბავშვობის მეგობარ მიხეილ ხერგიანთან ერთად დაიწყო და შემდგომ უძლიერეს მთამსვლელად ჩამოყალიბდა, ამიტომაც იგი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების წევრი იყო. ამ გუნდს 1958 წელს უნდა განეხორციელებინა ასვლა ევერესტზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპედიცია არ შედგა.

შოთა ჩართოლანი სიცოცხლის ბოლომდე ქართული ალპინიზმის ერთგული მსახური და თავდადებული ქომაგი იყო.

შოთა ჩართოლანს - შესანიშნავ სპორტსმენსა და მეცნიერს, უაღრესად კეთილშობილ და მომხიბლავ პიროვნებას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა, მშობლიური სვანეთი, რომლის მწვერვალებისკენ გზას ულოცავდა ახალგაზრდობას.

დიდებული მთამსვლელისა და მეცნიერის შოთა ჩართოლანის სახელი მუდამ დარჩება ალპინიზმის ისტორიასა და ქართველ მთამსვლელთა ხსოვნაში.

საქართველოს მთამსვლელთა
ეროვნული ფედერაცია,
ალ. ჯაფარიძის სახელობის
საქართველოს ალპური კლუბი

სუმო

## სასწაულის იმედად

« მე-11 გვერდიდან

ძალიან საინტერესო იყო გუშინდელი დაპირისპირება კაკურიუსა და კოტოოშუს შორის. ბულგარელი აქამდე დაუმარცხებელი იყო, მაგრამ 24 წლის მონღოლთან ვერას გახდა. როგორც ჩანს, ყოფილი სეკივაკე კაკურიუ ძველი დიდების დაბრუნებას აპირებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სუმოს ისტორიაში 69-ე დიდი ჩემპიონი ჰაკუჰო. 25 წლის მონღოლი. რომ იტყვიან, უკვდავებში ჩაეწერა - მან ბოლოს იანვარში **კაიოსთან** წააგო, მას მერე ზედიზედ 40 შეხვედრა ჰაკუჰოს გამარჯვებით სრულდება...

ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი. ნაგოია (იაპონია)

**VII დღე:** ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (უვატენაგე), კოტოოშუ-კისენოსატო (იორიტაოში), ტოკიტენკუ-კაიო (ჰიკიოტოში), ამინიშიკი-ბარუტო (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-კიტატაიკი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ასასეკირიუ (იორიკირი), ჰაკუბა-**ტოჩინოშინი** (ტოტარი), ტოჩიოძანი-ტოკუსეგავა (იორიკირი), არანი-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), კაკურიუ-ტოსაიუტაკა (იორიკირი), ვაკანოსატო-**კოკაი** (ჰატაკიკომი), ჰომაშო-შიმოტორი (ოშიტაოში), **გაგამარუ**-კაკიძოე (ცუკიდაში), ბუშუიამა-მოკონამი (სუკუინაგე), ჰოკუტორიკი-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტაკამისაკარი-ტამაასუკა (ოკურიდაში), ტამავაში-კიმურაიამა (კუბიჰინერი), შოტენრო-კორიუ (იორიკირი).

**VIII დღე:** ჰაკუჰო-ტოკიტენკუ (უვატენაგე), კაიო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ბარუტო-კიტატაიკი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ჰაკუბა (იორიკირი), კაკურიუ-კოტოოშუ (სუკუინაგე), **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ (უვატენაგე), კისენოსატო-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), არანი-ასასეკირიუ (იორიკირი), ამინიშიკი-ვაკანოსატო (უვატენაგე), ტოკუსეგავა-კიმურაიამა (იორიკირი), ტამავაში-იოშიკაძე (ოშიდაში), კაკიძოე-ტამაასუკა (იორიკირი), **გაგამარუ**-შიმოტორი (იორიკირი), ტოსაიუტაკა-ჰოკუტორიკი (ოშიდაში), მოკონამი-**კოკაი** (იორიკირი), ტაკამისაკარი-შოტენრო (ოკურიდაში), ჰომაშო-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), კასუგაო-ბუშუიამა (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა: **8-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **კაკურიუ** (მაეგაშირა 6), **ჰომაშო** (მ 13). **7-1: კოტოოშუ** (ოძეკი). **6-2: კაიო** (ოძეკი), **კისენოსატო** (სეკივაკე)... 4-4: **გაგამარუ** (მ 12), **კოკაი** (მ 12)... 2-6: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი).

**IX დღე. ქართველთა მეტოქეები: ტოჩინოშინი-კოტოოშუ, გაგამარუ-შოტენრო, კოკაი-ტამაასუკა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დღეს, 18:00. საქართველო–სლოვაკეთი

# რონ ფრანტიშეკი: ქართველებს წარდგენა არ სჭირდებათ

კვირას, დილით, საქართველოს ნაკრები სომბათჰეიდან პეზინოკში ავტობუსით გაემგზავრა. პირველი უნგრეთის ქალაქია, მეორე - სლოვაკეთის. ორ-ნახევარ საათში ქართველები პეზინოკში ჩავიდნენ, სასტუმროში დაბინავდნენ და გუშინვე მატჩისწინა მოთელვა ჩაატარეს. **იგორ კოკოშკოვის** შეგირდები დღეს სლოვაკეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. შეხვედრა თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. სამწუხაროდ, მას არც ერთი სლოვაკური ტელეარხი არ გადასცემს. თუმცა ეს გასაკვირი სულაც არ არის - 2008 წელს ქართველებთან ოფიციალური მატჩის რეპორტაჟის ჩვენებაც არავის მოსვლია აზრად...

უნგრეთისგან განსხვავებით, ქართველ გულშემატკივარს სლოვაკეთთან კარგი მოგონებები აკავშირებს: 2008-09 წლებში B დივიზიონში ჩვენს ჯგუფში სლოვაკეთი მოხვდა და ორივე მატჩი მოვიგეთ. ჯერ სლოვაკეთში ვაჯობეთ 101:78, შემდეგ თბილისში - 91:50. სხვათა შორის, სწორედ სლოვაკეთის მეორედ ძლევის შემდეგ გაირკვა, რომ ჯგუფში შვედეთთან თანაბარი ქულების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით...

სლავების ნაკრები B დივიზიონშია, ჯგუფში ჩეხეთთან, შვეიცარიასთან და კვიპროსთან ერთადაა. ქვედა ლიგის მატჩები 14 აგვისტოს დაიწყება, ამიტომ სლოვაკები ქართველებზე გვიან შეიკრიბნენ. მათთვის ჩვენთან დაპირისპირება წლის პირველი მატჩი იქნება.

ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე სლოვაკურ გაზეთებს მოუთხრო გუნდის მწვრთნელმა **რონ ფრანტიშეკმა**, რომელმაც წარუმატებელი სეზონის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მილან ჩერნიცკი** შეცვალა:

*- ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. სერიოზულად ვემზადებით და მაღალ მიზნებსაც ვისახავთ. პირველ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს ვხვდებით, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრის წინაშე წარდგენა არ სჭირდება - ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და მასთან პაექრობა ჩვენთვის მეტად სასარგებლო იქნება. სწორედ პირველ შეხვედრაში შევამოწმებთ მოთამაშეთა კონდიციებს, მატჩებისადმი მათ მიდგომას. ჩვენი მინუსები ძლიერ მეტოქესთან უკეთ გამოჩნდება.*

სადღეისოდ სლოვაკეთის ნაკრებში 13 კალათბურთელი ვარჯიშობს. სლავებს მოგვიანებით შეუერთდებიან ძმები **რანჩიკები**. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გასულ კვირას უკვე გაგაცანით. დღეს სლოვაკების 13-კაციან განაცხადს შემოგთავაზებთ:

უკანახაზელები: **ანდრეი ჩერვენკა** (დეჩინი, ჩეხეთი), **ანტონ გაველი** (ბროსე, გერმანია), **რომან მარკო** (კოლინი, ჩეხეთი), **რობერტ ნუბერი** (ჰანდლოვა), **მაროშ ჟუფა** (NCAA, აშშ).

ფორვარდები: **მარეკ კოზლიკი** (პეზინოკი), **პაველ ლოშონსკი** (NCAA, აშშ), **დანიელ ნოვაკი** (ნიტრა), **ჯასტინ სედლაკი** (NCAA, აშშ).

წინახაზელები: **მარტინ მიკლოშიკი** (რინკონი, ესპანეთი), **პეტერ სედმაკი** (ბრნო, ჩეხეთი), **გაბრიელ სზალაი** (პრევიძი), **პეტერ ტერლანდა** (ლევიცე).

**ვაჟა სიმონიშვილი**



ძალოსნობა

# ქიდილი რეკორდით დაგვირგვინდა

ახალგაზრდა საჩხერელმა ძალოსანმა **ლაშა ტალახაძემ** წლეულს ვალენსიაში ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე ორჭიდში 345 კგ (158+187) მოაგროვა და ოქროს მედალიც დაიმსახურა. 16 წლის სპორტსმენმა გუშინ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც მოსინჯა ძალები და მეორე ადგილი დაიკავა. ორჭიდში მან 348 კილოგრამი (160+188) დაძლია, რითაც თანატოლებში საქართველოს რეკორდი დაამყარა. **კობა ტალახაძის** ვაჟი წლეულს აგვისტოში სინგაპურში მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრება. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ იგი იქაც მედლის რეალური კანდიდატი იქნება.

ეროვნული ჩემპიონატი კი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იყოჩაღეს. 56 კილოში წლევანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა **შოთა მიშველაძემ** ამჯერად 62 კილოში იასპარეზა და პირველობაც არავის დაუთმო. მსგავს წარმატებას მიაღწია ჭაბუკებში 2009 წლის ევროპის ჩემპიონმა **გიორგი ლომთაძემ,** რომელმაც ერთი წონით მაღლა აინაცვლა და კონტინენტის პირველობაზე ნაჩვენები შედეგიც 14 კილოგრამით გააუმჯობესა.

კარგად დაიწყო შეჯიბრება **იკა ცანავამ** (94 კგ), რომელმაც 155 კილო აიტაცა, მაგრამ მერე მოთელვისას ტრავმა მიიღო და ასპარეზობა ველარ განაგრძო. 105 კილოში კარგად გამოვიდა **დავით გოგია** - ვერცხლი ხვდა. იგი წლეულს ოცწლამდელთა ევროპის პირველობაზე გაემგზავრება და იქაც ფავორიტად მიაჩნიათ.

„ეროვნულმა ჩემპიონატმა დაგვარწმუნა, რომ ძალოსნობაში ბევრი ტალანტი გვეზრდება და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, სასურველ მიზანსაც მივაღწევთ. რაც შეეხება ამ შეჯიბრებას, იგი მართლაც შესაშურ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა, რაშიც უდიდესი წვლილი საქართველოს ძიუდოს ფედერაციას და პარლამენტარ გიორგი ასანიძეს მიუძღვით", — გვითხრა ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ.**




აქვე ჩემპიონატის გამარჯვებულებისა და პრიზიორების შედეგებსაც გაგაცნობთ:

56 კგ. 1. ზვიად ფუტკარაძე (აჭარა, 190=80+110 კგ), 2. რამინ შამილაშვილი (აჭარა, 186=80+106), 3. სეფერ კესეჯი (ქუთაისი, 165=75+90).

62 კგ. 1. შოთა მიშველაძე (ქუთაისი, 230=103+127), 2. გიორგი ქუსიკაშვილი (რუსთავი, 209=95+114), 3. ზაზა ფუტკარაძე (აჭარა, 208=93+115).

69 კგ. 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 275=125+150), 2. ლაშა კოპალიანი (თბილისი, 267=119+148), 3. ვაჟა ქავთარაძე (აჭარა, 261=118+143).

77 კგ. 1. ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა,284=127+157), 2. ლევან ხუზაურაშვილი (თბილისი, 281=125+156), 3. გელა ირომაშვილი (თბილისი, 254=113+141).

85 კგ. 1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი, 345=155+190), 2. ზაურ დევაძე (თბილისი, 305=135+170), 3. გოდერძი ზოიძე (აჭარა, 261=115+146).

94 კგ. 1. ვაჟა ლონლაძე (ქუთაისი, 352=165+187), 2. ალუდა მანაგაძე (ქუთაისი, 320=145+175), 3. ბექა ბახტურიძე (მარნეული, 343=165+170).

105 კგ. 1. გია მაჭავარიანი (აჭარა, 382=170+212), 2. დავით გოგია (ზუგდიდი, 373=168+205), 3. თემურ გოგია (ზუგდიდი, 365=170+195).

+105 კგ. 1. ირაკლი თურმანიძე (აჭარა, 400=185+215), 2. ლაშა ტალახაძე (საჩხერე, 348=160+188), 3. ზვიად ქაჯაია (წყალტუბო, 327=150+177).

**ვაჟა დანელია**

შვიდკაცა რაგბი — საქართველოს ჩემპიონატი



ირაკლი ჩხიკვაძის სალელოვე შეტევა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მეორე ეტაპი აიამ მოიგო

შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი ქუთაისის „აიამ" მოიგო. შეგახსენებთ, რომ გათამაშება სამ ეტაპად ტარდება და საქართველოს ჩემპიონი ბოლო, მესამე ეტაპზე ბათუმში გამოვლინდება. აქ ის ათი გუნდი იასპარეზებს, ვისაც ორი ეტაპის ჯამში საუკეთესო მაჩვენებელი ექნება.

მეორე ეტაპის შეხვედრები თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გაიმართა. შეჯიბრებაში ათი გუნდი ჩაება. ასპარეზობაზე უარი განაცხადეს თბილისურმა გუნდებმა „ლელომ" და „ლოკომოტივმა", რომლებმაც 14 ივლისს საქართველოს თასის ფინალში ითამაშეს. ასევე რუსთავის „ხარებმა", გორის „თსუ\ლომებმა" და თბილისის „არმაზმა".

აღსანიშნავია, რომ ათი გუნდიდან ხუთი რეგიონებისა იყო - „აია" (ქუთაისი), „ბაგრატი" (ქუთაისი), „არწივები" (ოზურგეთი), „რაინდები" (ფოთი) და „ბათუმი XV". ნიშანდობლივია, რომ საუკეთესო ოთხეულში სამმა რეგიონულმა გუნდმა გააღწია.

ჯგუფურ ეტაპზე მომავალმა ფინალისტებმა „აიამ" და „ბათუმი XV"-მ ყველა შეხვედრა მოიგეს. ნახევარფინალში კი საქართველოს ჩემპიონატის ლიდერებმა თანაქალაქელ პირველლიგელ „ბაგრატს" მოუგეს - 24:12. ზღვისპირელებს კი პირველი ეტაპის გამარჯვებულის „ვისოლი\ყოჩების" დამარცხება არ გასჭირვებიათ - 22:5.

ფინალი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. თამაში „აიას" უპირატესობით დაიწყო და ანგარიში ცხრა ნომერმა **ლევან გოგიამ** გახსნა. გარდასახვა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** დაარტყა ზუსტად - 7:0. ტაიმის შუაწელში ბათუმელებმა კარგი კონტრშეტევა განახორციელეს და ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, თუმცა საქართველოს ნაკრების გარემარბმა **ირაკლი ჩხიკვაძემ** ქუთათურები ისევ დააწინაურა, გარდასახვა ამჯერადაც „ანტილოპამ" გაიტანა - 14:7, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში ბათუმელი მორაგბეები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მალე მათ შორის ყველაზე გამოცდილმა, **გოჩა ხონელიძემ** თავისივე წამოწყებული სალელოვე კონტრშეტევა კარის ძელებს შორის დაასრულა. გარდასახვაც თვითონ დაარტყა - 14:14.

თამაში უკიდურესად დაიძაბა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ვინც მორიგ ლელოს გაიტანდა, გამარჯვებაც მას დარჩებოდა. ასეც მოხდა.

მატჩის ბოლო წუთზე „აიამ" შეტევა მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყო. იერიშში მთელმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. მეტოქის ლელოდან ათიოდ მეტრში ქუთაისელმა მორაგბეებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს. ხამაშურიძემ ბურთი სწრაფად გაათამაშა და **გელა შალამბერიძეს** გადააწოდა. მისი შეჩერება ბათუმელებმა ზედ ლელოს ხაზთან შეძლეს. რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე თითქმის უყურადღებოდ მიტოვებულ **ზურაბ გოგლიჩიძეს** გაუტანეს, რომელმაც გამარჯვების მომტანი ლელო მიითვალა. ხამაშურიძემ ესეც გარდასახა და საბოლოო ანგარიში - 21:14 დააფიქსირა.

### საქართველოს ჩემპიონატი

A ჯგუფი: აია-ხულიგანა 14:7, ვისოლი/ყოჩები-რაინდები 40:5, აია-დევები 47:7, ხულიგანა-რაინდები 33:0, აია-ვისოლი\ყოჩები 12:10, ხულიგანა-დევები 22:0, აია-რაინდები 52:0, ვისოლი\ყოჩები-ხულიგანა 19:17, რაინდები-დევები 7:12.

### სატურნირო მდგომარეობა

აია - 8 ქულა, ვისოლი\ყოჩები - 6, ხულიგანა - 4, დევები - 2, რაინდები - 0.

B ჯგუფი: ბათუმი XV-არწივები 43:0, ბაგრატი-აკადემია 19:7, ბათუმი XV-ივერია 42:0, აკადემია-არწივები 31:7, ბაგრატი-ივერია 35:0, ბათუმი XV-აკადემია 28:5, ბაგრატი-ოზურგეთი 33:0, ბათუმი XV-ბაგრატი 7:0.

### სატურნირო მდგომარეობა

ბათუმი XV - 8 ქულა, ბაგრატი - 6, აკადემია - 4, არწივები - 2, ივერია - 0

V ადგილისთვის, ნახევარფინალი: ხულიგანა-არწივები 19:7, დევები-აკადემია 7:38

I ადგილისთვის. ნახევარფინალი: აია-ბაგრატი 24:12, ბათუმი XV-ვისოლი\ყოჩები 22:5

IX ადგილისთვის: რაინდები-ივერია (არ გამოცხადდა)

VII ადგილისთვის: არწივები-დევები 7:26

V ადგილისთვის: ხულიგანა-აკადემია 7:5

III ადგილისთვის: ვისოლი\ყოჩები-ბაგრატი 7:0

ფინალი: აია-ბათუმი XV 21:14

### საბოლოო მდგომარეობა

1. აია, 2. ბათუმი XV, 3. ვისოლი\ყოჩები, 4. ბაგრატი, 5. ხულიგანა, 6. აკადემია, 7. დევები, 8. არწივები, 9. რაინდები, 10. ივერია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# სლოვენიაში, დაუსვენებლად

20 წლის **ანა ტატიშვილის** (156) კარიერაში საუკეთესო ჯერჯერობით გუშინ დასრულებული პრაღის ღია პირველობაა (220 ათასი დოლარი), სადაც საქართველოს პირველმა ჩოგანმა მეოთხედფინალს უწია. ანა ყოველგვარი დასვენების გარეშე ჩეხეთიდან სლოვენიაში გადავიდა და ქალაქ პორტოროჟში მიმდინარე სლოვენიის ღია პირველობაში (220 ათასი დოლარი) ჩაება. ამჯერად ქართველმა ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო, ასე რომ, პარასკევს პრაღაში ითამაშა, შაბათს კი უკვე - პორტოროჟში. სულაც არ არის გასაკვირი, რომ მე-7 ნომრად განთესილ ქართველს გაუჭირდა „უაილდ ქარდით" მიწვეულ **კარენ ბარბატთან** (დანია, 556). ბარბატი 18 წლისაა, მან ქართველს ერთი სეტი მოუგო კიდეც, თუმცა სულ ეს იყო, მერე და მერე ანას უპირატესობა გამოიკვეთა - 4:6, 6:2, 6:3. ტატიშვილი მე-2 საკვალიფიკაციო წრეში **ინდირე აკიკის** (ხორვატია, 641) შეხვდა.

ამავე ტურნირში სცადა ბედი **მაკა ჩახნაშვილმაც** (202), რომელიც პირველ საკვალიფიკაციო წრეში იტალიელ **ნატალი ვიერინს** (513) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 1:6. არ გვინდა, დავიჯეროთ, რომ მაკამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები დიდ ჩოგბურთში, მაგრამ ფაქტია, მისი ბოლოდროინდელი წარუმატებელი სერია დამაფიქრებელია, ის მხოლოდ მცირე ტურნირებში (25-ათასიანები) თუ ყოჩაღობს, ვიერინთან შეხვედრაშიც კარიერაში პირველად დათმო მატჩი.

**სოფიო ქვაცაბაია** (402) ფრანგულ დაბა ლე კონტამინ-მონტოიეში ითამაშებს (25 ათასი დოლარი), სადაც ძირითად ბადეში მოხვდა. ხარკოვის ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ერთბაშად სამი ქართველი იქნება: **სოფიო შაფათავა** (290), **თათია მიქაძე** (359) და **ეკა გორგოძე** (550).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

*P.S. გუშინ ანა ტატიშვილმა მეორე საკვალიფიკაციო მატჩიც მოიგო - 7:5, 6:0*

სამი ერი

# ბოკეს ერის დასასრულის დასაწყისი

**ახ. ზელანდია-სამხ. აფრიკა 31:17**

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, ჯეინი, სმითი, ნონუ (კრადენი 73), რეინჯერი (დაგი 63), კარტერი, ვიპუ (ქოუანი 63). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ (ფლინი 73), ო.ფრენქსი (ბ.ფრენქსი 76), თორნი, დონელი (ვაითლოქი 63), კაინო, მაკქოუ (მესამი 73), რიდი

*4ლ: მულიაინა, ნონუ, რეინჯერი, დაგი. 3ს: კარტერი (2), ვიპუ. ა: კარტერი*

სამხრეთ აფრიკა: (15-9) **კირშნერი, დე ფილიერსი (ეპლონი 41), ფური, ულიფიე, ჰაბანა, სტეინი, იანუარი (პინარი 54). (1-8) სტენკამპი, სმიტი, ფან დერ ლინდე (ბრ.ბოთა 42), როსუ (ბეკერი 54), მეტფილდი, ბურხერი, ლავი, სპისი (კანკოვსკი 70)**

*2ლ: როსუ, ბურხერი. 2გ,ს: სტეინი*

მსაჯი: **ალან როლანი (ირლანდია)**

სამი ერის ჩემპიონი ისევ დამარცხდა. ახალი ზელანდიის ნაკრებმა ველინგთონში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს ზედიზედ მეორედ მოუგო - 31:17. „ოლ ბლექსმა", ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, ოთხი ლელო მიითვალა და ერთი პრემიალური ქულაც ირგუნა.

თამაშის დასაწყისი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა პირველი მატჩის საწყის წუთებს. მატჩის არბიტრმა მე-4 წუთზე სინბინში გაუშვა „ბოკეს" დისკვალიფიცირებული მეორეხაზელის, **ბაკის ბოთას** ნაცვლად მოთამაშე **დენი როსუ,** რომელმაც ახალზელანდიელთა კაპიტან **რიჩი მაკქოუს** ფერდში ჭვინტი უთავაზა.

მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენეს და კაცნაკლულ „ბოკეს" ორი ლელო გაუტანეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპიზოდმა მატჩის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია. ირლანდიელი არბიტრი სამხრეთაფრიკელებს აშკარად არ სწყალობდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სტუმრები მეტოქის 16 მორაგბეს ეთამაშებოდნენ.

ასეც რომ არ ყოფილიყო, ახალი ზელანდიის ნაკრებმა აფრიკელები თითქმის ყველაფერში დაჯაბნა. „ბოკეს" შეტევები უფერული, ყოველგვარ ფანტაზიას მოკლებული იყო. კარგად ჩანდა, რომ „ოლ ბლექსისთვის" მეტოქის თამაში გადაშლილი, ბოლომდე ყურადღებით წაკითხული წიგნი იყო.

იმის თქმაც შეიძლება, რომ სამხრეთაფრიკელებს ცოტა გაუმართლათ კიდეც, რადგან ახალზელანდიელთა მგეზავი **დენ კარტერი** იმ დღეს ჩვეული ფეხჩუბინობით ვერ გამოირჩეოდა. მან სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო (12 ქულა) ვერ გაიტანა.

როგორც უკვე ვთქვით, სამხრეთაფრიკელები თამაშის დასაწყისშივე ათი წუთით კაცნაკლულნი დარჩნენ. მასპინძლებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მე-7 წუთზე ჯერ შუამარბმა **მაა ნონუმ** გახსნა ანგარიში, ოთხ წუთში კი ცხრა ნომრის **პირი ვიპუს** წამოწყებული შეტევა ფეხმარდმა ფულბეკმა **მალილი მულიაინამ** დაასრულა ლელოთი. კარტერმა გარდასახვა ორივე შემთხვევაში არაზუსტად დაარტყა - 10:0. ეს ანგარიში 31-ე წუთამდე შენარჩუნდა. კარტერმა კარში პირველად ზუსტად სწორედ ამ დროს დაარტყა და საჯარიმოთი სხვაობა 13 ქულამდე გაზარდა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა სხვაობის შესამცირებლად. 37-ე წუთზე მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან დერეფანში აგდებული ბურთი მესამეხაზელმა **ფრანსუა ლავმა** ცხრა ნომერ **რიკი იანუარის** ჩამოუგდო. ამან ცრუ მანევრით ორ მეტოქეს შორის გასხლტომა მოახერხა და ჩათვლის მოედნამდე რამდენიმე მეტრი დააკლდა. რაკიდან ბურთი გრძელ ფრთაზე უკნიდან შეტევაში ჩართულ დენი როსუს გაუტანეს. მისი გაჩერება მასპინძლებმა უკვე ველარ შეძლეს და მანაც ნაკრებში მოხვეჭილი საიუბილეო 50-ე კეპი ლელოთი აღნიშნა. „ბოკეს" მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახვა ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 7:13. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

დაკარგული არაფერი იყო. თამაშის სათავისოდ შემობრუნება სამი ერის მოქმედ ჩემპიონს რეალურად შეეძლო. მით უფრო, რომ შესვენების შემდეგ, ორ წუთში სტეინმა ანგარიშში სხვაობა საჯარიმოთი სამ ქულამდე შეამცირა - 10:13. „ბოკემ" თითქოს საკუთარ თამაშს მიაგნო, მაგრამ... აქედან მოყოლებული, 70-ე წუთამდე მთლიანად მასპინძლები დომინირებდნენ. მათ ორი ლელო გაიტანეს და მეტოქეს საშუალება არ მისცეს, მონაგრისთვის რამე შეემატებინათ.

46-ე წუთზე ახალზელანდიელებმა მესამე ლელო გაიტანეს. რამდენიმეფაზიანი შეტევა მარჯვენა ფრთაზე განახორციელეს, მეტოქის მოთამაშეები რაკში უხვად ჩაითრიეს და მერე, უეცრად, იერიშის მიმართულება შეცვალეს. ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს და სამი ერის გათამაშების დებიუტანტმა, გარემარბმა **რენე რეინჯერმა** ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. კარტერმა ვერც ამჯერად გარდასახა - 18:10.

ხუთ წუთში ახალზელანდიელებმა ისევ საჯარიმო გამოიმუშავეს და საკმაოდ არახელსაყრელი პოზიციიდან კარში დარტყმა ცხრა ნომერმა პირი ვიპუმ ითავა. მან ანგარიშში სხვაობა თერთმეტ ქულამდე გაზარდა - 21:10.

მატჩის მშვენება რენე რეინჯერის ნაცვლად შესული **იზრაელ დაგის** ლელო იყო. ის თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო და ორ წუთში დიდოსტატური ლელო გაიტანა. დაგმა ბურთი მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მარცხენა ფრთაზე მიიღო. მეტოქეთა გარემოცვაში ეულად დარჩენილი არ დაიბნა, ცრუ მოძრაობით ჯერ **პიერ სპისს** და **ვიქტორ მეტფილდს** დაუძვრა ხელიდან, მერე **ხუთრო სტენკამპი** და შეცვლაზე შესული გარემარბი **ხიო ეპლონიც** დატოვა უსაქმოდ. სამხრეთაფრიკელთა ლელოში შეჭრილს კიდევ ორი მოწინაალმდეგე წაეპოტინა, მაგრამ უშედეგოდ. კარტერმა ამჯერად გარდასახვა გაიტანა - 31:10.

მატჩის ბოლო ათ წუთში „ბოკე" გამოცოცხლდა. შეცვლაზე შესულმა ცხრა ნომერმა **რუან პინარმა** გუნდის თამაშს მეტი სიხალასე, მრავალფეროვნება შემატა. შედეგად სამხრეთაფრიკელთა ერთ-ერთი შეტევა 73-ე წუთზე მესამეხაზელმა **სხალკ ბურხერმა** ლელოთი დაასრულა. სტეინმა გარდასახა - 17:31.

„ბოკემ" მეტის მოხერხება ველარ შეძლო. სამხრეთაფრიკელებმა ანტირეკორდი დაამყარეს - ზედიზედ გამართულ ორ შეხვედრაში რვა ლელო გაუშვეს. მსოფლიოსა და სამი ერის ჩემპიონებისთვის კატასტროფული მაჩვენებელია.

მომავალ უქმეებზე „ბოკე" ბრისბენში ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდება. საინტერესოა, შეძლებს სამხრეთაფრიკელთა თავკაცი **პიტერ დე ფილიერსი** დემორალიზებული გუნდის მობილიზებას?

**სამი ერი**

24 ივლისი: ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა; 31 ივლისი: ავსტრალია-ახალი ზელანდია; 7 აგვისტო: ახალი ზელანდია-ავსტრალია; 21 აგვისტო: სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია; 28 აგვისტო: სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია; 11 სექტემბერი: ავსტრალია-ახალი ზელანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**



რენე რეინჯერის ლელო

www.sport.gov.ge

კრივი



# უქმეების ბრძოლები

ცნობილმა მძიმეწონოსანმა **დევიდ ტუამ** (51-3-2, 43 KO) გასულ უქმეებზე ვერ დაადასტურა თავისი საჩემპიონო ამბიციები. ზელანდიელმა ვეტერანმა ვერაფერი მოუხერხა ამერიკელ **მონტე ბარეტს** (34-9-1, 20 KO) - 12 რაუნდის შემდეგ მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს.

ბარეტი ამ ბრძოლაში აუტსაიდერად მიიჩნეოდა, თუმცა ამერიკელს კარგად ეჭირა დისტანცია და ახლოს არ უშვებდა სახიფათო მოწინაალმდეგეს. შესაბამისად, ტუამ ვერც ერთხელ ვერ განახორციელა ხეირიანად თავისი საფირმო დარტყმა. ბრძოლის ბოლოს დევიდი ძალიან დაიღალა და ძლივს გადაადგილდებოდა რინგზე. ამის გამო მისი დარტყმების უმრავლესობა მიზანს ვერ აღწევდა.

ბრძოლის შემდეგ ორმა მსაჯმა ფრე გამოაცხადა - 113:113, 113:113 და მხოლოდ ერთმა მიანიჭა გამარჯვება ტუას - 115:111.

სხვათა შორის, ეს იყო ბოლო ბრძოლა მონტე ბარეტის კარიერაში.

■ ■ ■

გასული უქმეების კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა პირველ ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონ **ტიმოტი ბრედლისა** (26-0, 11 KO) და აქამდე მასავით დაუმარცხებელ **კარლოს აბრეგუს** (29-1, 23 KO) შორის.

ჩხუბი ბრედლისთვის ახალ წონით კატეგორიაში (66,7 კგ) გაიმართა და მან წარმატებით გაიარა ეს გამოცდა. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონს თორმეტივე რაუნდის გამართვა დასჭირდა, მაგრამ ტიმოტის უპირატესობაში ეჭვი არავის შეუტანია, რაც ბრძოლის შემდეგ მსაჯებმაც დააფიქსირეს - 118:110, 116:112 და 117:111 ამერიკელის სასარგებლოდ.

გამარჯვების შემდეგ WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა თვით ფილიპინელი **მენი პაკიაო** გამოიწვია ბრძოლაში.

*„მე ჩემი ძალა დავამტკიცე. ახლა მოვიდეს პაკიაო და მეჩხუბოს. მას ნახევრად საშუალო წონაში შევხვდები“*, - განაცხადა ბრედლიმ.

■ ■ ■

წარმატებით დაიცვა უმჩატეს წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ორი ტიტული (WBC, WBO) **ფერნანდო მონტიელმა** (43-2-2, 33 KO).

ჩემპიონს არანაირი პრობლემა არ შექმნია **რაფაელ კონსეპსიონთან** (14-5-2, 8 KO) ბრძოლაში. პირველ ორ რაუნდში მონტიელი უმოწყალოდ ურტყამდა მეტოქეს, მესამე სამწუთეულში კი ბოლო მოუღო პანამელის წვალებას და ნოკაუტში გაგზავნა კონსეპსიონი.

# პაკმენი მეივეზერს ვერ ელირსა

ფილიპინელი **მენი პაკიაო** მომავალი ბრძოლისთვის ახალ მეტოქეს ეძებს. როგორც იცით, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის პრომოუტერმა **ბობ არუმმა** შაბათამდე მისცა ვადა ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს**, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა - უნდოდა თუ არა ფილიპინელ მოკრივესთან ჩხუბი. დათქმულ ვადაში არუმი მეივეზერის პრომოუტერების პასუხს ვერ ელირსა და შესაბამისად ეს ბრძოლა არ ჩატარდება.

არადა, მენისა და ფლოიდის ბრძოლა კრივის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი იქნებოდა - თითოეული მოკრივე 40 მილიონ დოლარს მიიღებდა, მაგრამ სამწუხაროდ, თითქმის ერთწლიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მართალია, არუმი არ მალავს, რომ ძალიან უნდა ამ ბრძოლის ორგანიზება, მაგრამ იქვე ამატებს, რომ უშედეგო მოლაპარაკებების გაგრძელებისთვის დროის დახარჯვა აღარ სურს.

ახლა პრომოუტერი **ანტონიო მარგარიტოსა** და **მიგელ კოტოზე** გადაერთვება. სწორედ ამ ორი მოკრივედან ერთ-ერთი იქნება პაკიაოს მეტოქე ამა წლის ნოემბერში.



კალათბურთი

# ილგაუსკასი და ლებრონი ისევ ერთად

„იუტა ჯაზის“ კიდევ ერთი ყოფილი კალათბურთელი გადავიდა „ჩიკაგო ბულზში“. **კარლოს ბუზერისა** და **კაილ კორვერის** შემდეგ, რომლებმაც თვის დასაწყისში გააფორმეს კონტრაქტი „ხარებთან“, ჩიკაგოელთა რიგებს შეუერთდა მცველი **რონი ბრიუერი**. ეს ტრანსფერი უკვე დაადასტურა კალათბურთელის აგენტმა. ხელშეკრულება სამწლიანია და მისი ღირებულება 12.5 მილიონ დოლარს შეადგენს.

ბრიუერმა გასული სეზონი „მემფისის“ შემადგენლობაში გაატარა - იქ ის „იუტასთან“ გაცვლის შემდეგ მოხვდა, თუმცა ახალ კლუბში რონიმ მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა და შემდეგ მთელი წელი მუხლის ტრავმას მკურნალობდა.

■ ■ ■

„ჩიკაგო ბულზის“ ყოფილი ცენტრი **ბრედ მილერი** „ჰიუსტონ როკეტსში“ გააგრძელებს კარიერას. ჰიუსტონელთა ხელმძღვანელობა 34 წლის კალათბურთელს ტრავმირებული **იაო მინის** შემცვლელად განიხილავს.

მილერმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც დაახლოებით 15 მილიონ დოლარს მიიღებს. ვეტერანი ცენტრი გასულ სეზონში საშუალოდ 8.8 ქულასა და 4.9 მოხსნას აგროვებდა.

*„ბრედს ძალიან ახარებს „ჰიუსტონში“ გადასვლა. განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ რიკ ადელმანის ხელმძღვანელობით მოუწევს ვარჯიში“*, - ამბობს მილერის აგენტი **მარკ ბარტელსტეინი**.



■ ■ ■

ოფიციალურად გამოცხადდა ლიტველი ცენტრის **ჟიდრუნას ილგაუსკასის** „მაიამი ჰიტში“ ტრანსფერი. ვეტერანი კალათბურთელი კვლავ **ლებრონ ჯეიმსის** მხარდამხარ ითამაშებს, თუმცა ცნობილი არ არის, რა ხანგრძლივობის იქნება მათი თანამშრომლობა - ბალტიისპირელი ცენტრის კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა.

*„ჟიდრუნასის გაფორმებით ვაგრძელებთ შემადგენლობის დაკომპლექტებას. მან დაამტკიცა თავისი კლასი მოხსნებსა და დაფარებებზე თამაშისას. მოხარულები ვართ ასეთი დონის ვეტერანის ჩარიცხვით“*, - ამბობს ფლორიდელთა პრეზიდენტი **პატ რაილი**.

მძლეოსნობა

ბრილიანტის ლიგა

# ნაიფორხილა, მაგრამ მოიგო




ბრილიანტის ლიგის მორიგი ეტაპის მიმოხილვა, როგორც ყოველთვის, კაცებს შორის 100-მეტრიანი დისტანციით დავიწყოთ. პარიზში „მოკლე სპრინტი“ პრაქტიკულად იამაიკის ღია პირველობად იქცა, რადგან პოდიუმის სამივე საფეხური სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიკავეს. მძლეოსნობის მოყვარულებმა, როგორც იქნა, იხილეს წელს **უსაინ ბოლტის** და **ასაფა პაუელის** დუელი. ამ სტარტამდე იამაიკელი სპრინტერები სეზონის საუკეთესო შედეგს იყოფდნენ და შესაბამისად, უძლიერესი მორბენლების დუელი საინტერესო უნდა გამოსულიყო. ამჯერად მაღალი შედეგი ვერც ერთმა ვერ აჩვენა, რისი ბრალი შეიძლება ისიც იყო, რომ ბოლტმა სტარტზე წაიფორხილა და მხოლოდ დისტანციის მეორე ნახევარში გაუსწრო პაუელს. გამარჯვებულის დრო იყო - 9,84 წამი, პაუელის - 9,91. ეს არც სეზონის საუკეთესო დრო და მით უმეტეს, არც მსოფლიოს რეკორდი ყოფილა, თუმცა ბოლტმა ტურნირის რეკორდი მაინც გააუმჯობესა, რომელიც 2006 წლიდან იყო ძალაში.

ფინიშის შემდეგ ბოლტმა განაცხადა: *„ეს არ იყო ჩემს კარიერაში საუკეთესო გარბენი. დისტანციის პირველი ნაწილი უბრალოდ საშინელი გამოვიდა. 50 მეტრის შემდეგ გავიფიქრე, რომ ასაფას ვეღარ დავეწეოდი. ტემპის მომატებამ მომიგო. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვე და თან ტრავმა ავიცილე თავიდან“.*

დიდ ინტერესს იწვევდა 100 მეტრზე ფინალში ფრანგი **კრისტოფ ლემეტრის** გამოსვლა. ცოტა ხნის წინ ამ სპრინტერმა საფრანგეთის ჩემპიონატში ისტორიული შედეგი დააფიქსირა - ის გახდა პირველი თეთრკანიანი მძლეოსანი, რომელმაც „მოკლე სპრინტი“ 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა. ამჯერად ლემეტრმა ვერ გაახარა ადგილობრივი პუბლიკა - მან მხოლოდ 10.09 წამი აჩვენა და მეხუთე მივიდა ფინიშთან.

400 მეტრზე რბოლაში ისევ ვერავინ დაეწია ამერიკელ **ჯერემი უორინერს**. მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშონ მერიტი** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს, ჯერემის უბრალოდ ღირსეული მეტოქე აღარ ჰყავს. ამჯერად უორინერმა დისტანცია 44,49 წამში დაფარა, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. სხვათა შორის, ევროპული სეზონის ლიდერი გახდა ბელგიელი **ჯონათან ბორლი** - მან 44,77 წამი აჩვენა, რაც სერიოზული განაცხადია ევროპის ჩემპიონატის მოგებაზე, რომელიც 27 ივლისს ბარსელონაში დაიწყება.

ასევე ზედიზედ იგებს „ბრილიანტის ლიგის“ სტარტებს ნორვეგიელი **ანდრეას ტორკილდსენი**. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უახლოეს მდევარს ოთხ მეტრზე მეტი მოუგო. უახლოესი მდევარი კი არა ფინელი **ტერო პიტკამიაკი**, არამედ ამავე ქვეყნის ახალგაზრდა მძლეოსანი - **ტეემუ ვირკალა** აღმოჩნდა, რომელიც უკვე მეორედ ჩაერია ამ დისციპლინის აღიარებული წარმომადგენლების ბრძოლაში.

სულ მცირედი დააკლდა 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდის დასამყარებლად ამერიკელ **დევიდ ოლივერს**, სამაგიეროდ, მან თავისი ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა - 12,89 წამი. დისტანციაზე ოლივერის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ უახლოეს მდევარს 23 მეასედი წამი მოუგო.

სხვა სტარტებიდან აღსანიშნავია ამერიკელი **ელისონ ფელიქსის** გამარჯვება 200 მეტრზე - 22,14. მან თავის პრინციპულ მეტოქეებს - ამერიკელ **შალონდა სოლომონსა** (22,55) და ბაჰამელ მსოფლიოს ჩემპიონ **დები ფერგიუსონს** (22,62) დამაჯერებლად მოუგო.

ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში საინტერესო ბრძოლა ჰქონდათ ხორვატ **ბლანკა ვლასიჩსა** და ამერიკელ **შანტე ჰოვარდ-ლავს**. ორივემ მიაღწია 2 მეტრს, თუმცა ბლანკამ კონკურენტს 2 სანტიმეტრით გაუსწრო - მისი შედეგი 2,02 მეტრი იყო.

ევროპის ჩემპიონატამდე „ბრილიანტის ლიგის“ კიდევ ერთი ეტაპი ჩატარდება - 22 ივლისს მძლეოსნებს მონაკო უმასპინძლებს.

**IX ეტაპი. პარიზი (საფრანგეთი)**

**კაცები**

**100 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9,84; 2. ასაფა პაუელი (იამ) - 9,91; 3. იოჰან ბლეიკი (იამ) - 9,95. **400 მ.** 1. ჯერემი უორინერი (აშშ) - 44,49 (სეზონის საუკეთესო შედეგი); **800 მ.** 1. აბუბაკარ კაკი (სუდ) - 1.43,50; **110 მ/თარჯრბენი.** 1. დევიდ ოლივერი - 12,89 (სეზონის საუკეთესო შედეგი); **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. ბრიმინ კიპროპ კიპრუტო (კენ) - 8.00,90 (სეზონის საუკეთესო შედეგი); **ჭოკით ხტომა.** 1. რენე ლავილენიე (საფ) - 5,91; **სამხტომი.** 1. დავიდ ჟირალტი (კუბ) - 17,49; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 87,50.

**ქალები**

**200 მ.** 1. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 22,14; **1500 მ.** 1. ანა ალმინოვა (რუს) - 3.57,65 (სეზონის საუკეთესო შედეგი); **5000 მ.** 1. ვივიან ჩერუიოტი (კენ) - 14.27,41 (სეზონის საუკეთესო შედეგი); **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბრიტნი რიზი (აშშ) - 6,79; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,02; **ბადროს ტყორცნა.** 1. იარელის ბარიოსი (კუბ) - 65,53; **ბირთვის კვრა.** 1. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბლრ) - 20,78.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მოტორბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# როსიმ პოდიუმისთვის იბრძოლა

გერმანიის გრან-პრი **ვალენტინო როსის** დაბრუნებით იყო გამორჩეული. იტალიური ეტაპის დროს მიღებული ტრავმის შემდეგ არავის ეგონა, თუ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ასე მალე დადგებოდა ფეხზე, მაგრამ ექიმებმა სასწაული მოახდინეს და ვალენტინო ნაოპერაციები ფეხით ტრასაზე გაუშვეს. რბოლის წინ როსი მოკრძალებულად აფასებდა თავის შესაძლებლობებს და აცხადებდა, რომ მისი პოდიუმზე ასვლა თითქმის გამორიცხული იყო. იტალიელმა გამოიცნო, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას სულ ცოტა დააკლდა მესამე ადგილზე გასასვლელად.

გუშინდელი რბოლა ორ ნაწილად გაიყო - მეცხრე წრეზე ტრასაზე წითელი დროშები გამოფინეს. ამაში ფრანგი **რენდი დე პუნიე** იყო დამნაშავე, რომელიც ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა, შემდეგ კი მის მოტოციკლს **ესპარგარო** და **ბაუტისტა** დაეჯახნენ. სამწუხაროდ, საერთო ჩართვის საუკეთესო ექვსეულში შემავალი ფრანგი საკაცით წაიყვანეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ მას ფეხი რამდენიმე ადგილას ჰქონდა მოტეხილი.

ამ მომენტისთვის ლიდერი **ხორხე ლორენსო** იყო. დისტანციის პირველ მეტრებზე მან პირველი ადგილი **დანი პედროსას** დაუთმო, რომელსაც კვლავ ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერმა პირველივე წრეზე დაიბრუნა ლიდერობა. დაწინაურებულები ერთმანეთს არ შორდებოდნენ, მალე მათ **დოვიციოზო** და **სტოუნერი** შეუერთდნენ. ასე გაგრძელდა რამდენიმე წრე, მაგრამ შემდეგ დოვიციოზომ ტემპი დაკარგა. თავიდან სტოუნერი გაუშვა წინ, შემდეგ კი მას ვალენტინო როსიც წამოეწია, რომელმაც სტარტის შემდეგ ერთი პოზიცია დაკარგა. როცა ვალენტინო მაქსიმალურად მიუახლოვდა დოვიციოზოს და შეტევისთვის მოემზადა, სწორედ ამ დროს დაეცა დე პუნიე და რბოლა შეჩერდა.

იყო კიდევ ორი მრბოლელი, რომელთა აღნიშვნა შეიძლება რბოლის პირველ ნაწილში. **ბარბერას** ძალიან წარმატებული სტარტი ჰქონდა - მეექვსედან მესამე პოზიციაზე გადავიდა, თუმცა მაღალი ტემპის შენარჩუნება ვერ შეძლო და მოგვიანებით რამდენიმე პილოტი გაატარა. **ნიკი ჰეიდენმა** კი პელოტონის ბოლოდან მეექვსე პოზიციამდე გაიკვლია გზა.

ხელმეორე სტარტი ისევ პედროსამ მოიგო და ამჯერადაც მისმა ლიდერობამ ერთი წრეც ვერ გასტანა - ლორენსომ ისევ იყოჩალა. რესტარტისას დოვიციოზომ სტოუნერს გაუსწრო, მაგრამ კვლავ შეანელა ტემპი, რასაც სტოუნერისა და როსის გასწრება მოჰყვა. ვალენტინო კეისის გამოეკიდა, ამ მომენტში კი მისმა თანაგუნდელმა ლორენსომ პირველი ადგილისთვის ბრძოლა წააგო პედროსასთან. დანიელი დიდი ხანი უტევდა ლიდერს და ბოლოს მისმა მონდომებამ შედეგი გამოიღო.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა ბოლო წრის ბოლო მოსახვევამდე მიდიოდა. სტოუნერი და როსი მუდმივად იცვლიდნენ პოზიციებს, ფინალური შეტევა ავსტრალიელს გამოუვიდა. საერთოდ, ამ დუელში ორივე პილოტმა გაიმარჯვა - სტოუნერმა პოდიუმზე დაკავებული ადგილით გაიხარა, როსიმ - რთული დაბრუნების შემდეგ მაღალი ადგილით.

**გერმანიის გრან-პრი**

1. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 28.50,476; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +3,355; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - +5,257; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - +5,623; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +17,158; 6. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +17,757...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 185 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 138; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 102; 4. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 83; 5. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 78; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 74...



ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი 2010

# ტური პირენეიზე ავიდა

ტურ დე ფრანსზე ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო - ველომრბოლებმა პირენეის მთებს მიაღწიეს და გუშინ აქ მორიგი სამთო ეტაპი გაიმართა, თუმცა ჯერჯერობით საერთო ჩათვლის ლიდერებს - **ანდი შლეკსა** და **ალბერტო კონტადორს** შორის სერიოზული დუელი ვერ ვიხილეთ.

გუშინდელ ეტაპს ერთ-ერთი გადამწყვეტი უნოდა გენერალური კლასიფიკაციის მესამე ნომერმა **სამუელ სანჩესმა**. თავიდან მონაწილეებს 100 კილომეტრზე მეტი სწორ ტრასაზე უნდა ევლოთ, რის შემდეგაც პორტ დე პალერეს უმაღლესი კატეგორიის მთა ელოდათ, ამას კი პირველი კატეგორიის სირთულის მთაზე ფინიში მოჰყვებოდა.

გაქცევის მცდელობა აუთსაიდერებს პირველივე კილომეტრებიდან ჰქონდათ. ერთ-ერთი პირველი პელოტონს განცალკევებით რბოლის სპეციალისტი, ამერიკელი **დევიდ ზაბრისკი** გაექცა, მას თან ორი ველომრბოლი ახლდა. მოგვიანებით ამ ჯგუფს ოთხი ფრანგი შეუერთდა **კრისტოფ რიბლონის** მეთაურობით, აქვე იყო ბელგიელი **იურგენ ვანდევალე**. გაქცეულებმა ძალიან მალე დროში სხვაობა ცხრა წუთამდე აიყვანეს, მაგრამ როცა რბოლამ ეკვატორი გადალახა, „ასტანა" გააქტიურდა და შედეგმაც არ დააყოვნა: პალერეზე ასვლის წინ ჰანდიკაპი ოთხ წუთამდე შემცირდა.

პირველი მთა მეორეზე რთული იყო, მაგრამ მასზე გადამწყვეტი ბრძოლა ვერ ვიხილეთ. ლიდერთა ჯგუფი დაიშალა და ბოლომდე ბრძოლა მხოლოდ ფრანგებმა - რიბლონმა და **ამაელ მუანარმა** გადაწყვიტეს. მალე რიბლონი **მარტო დარჩა და ისეთი უპირატესობა მოიპოვა, რომ ეტაპის მოგების მთავარი კანდიდატი გახდა.** პელოტონში კი პირველ როლებზე, ტრადიციულად, „ასტანა" იმყოფებოდა. ძირითადი ჯგუფის ტემპს ყაზახთა გუნდის ესპანელი წევრი **დავიდ ნავარო** აკონტროლებდა, ამასობაში კი პელოტონიდან გაქცევა გადაწყვიტა ტურის ყოფილმა გამარჯვებულმა **კარლოს სასტრემ**, რომელიც საერთო ჩათვლის ლიდერებს წუთზე მეტით დაშორდა.

პელოტონიდან შეტევათა მეორე ტალღა მწვერვალთან ახლოს დაიწყო და მისი ინიციატორი „მთის მეფე" **ანტონი შარტო** და **დამიანო კუნეგო** გახდნენ. ეს უკანასკნელი მთაში ძალიან აქტიურობს, მაგრამ ჯერ ვერ აისრულა მიზანი და ამ ტურზე ეტაპი ვერ მოიგო.

პალერეს მწვერვალის გადალახვის შემდეგ, პელოტონში მაქსიმუმ 20 მრბოლელი დარჩა. ჯგუფის სათავეში ისევ „ასტანას" მრბოლელები იყვნენ, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერები ანდი შლეკი და ალბერტო კონტადორი კი ერთმანეთს არ შორდებოდნენ. მას შემდეგ, რაც პელოტონი ვინოკუროვმა ატარა, ჯგუფთან საბოლოოდ დაკარგეს კონტაქტი **ივან ბასომ**, **რობერტ გესინკმა** და **ლევი ლაიპჰაიმერმა**, თავად რბოლა კი ორ მიკროდუელად იქცა. საერთო ჩათვლაში მესამე ადგილისთვის გააჩაღეს ბრძოლა **დენის მენშოვმა** და სამუელ სანჩესმა.

რაღაც მომენტში შლეკი და კონდატორი ისე გაერთნენ ერთმანეთთან ბრძოლით, რომ არანაირი ყურადღება არ მიაქციეს მენშოვის შეტევას. სანჩესმაც დააგვიანა რეაგირება და კონკურენტს 10 წამით დაწინაურების საშუალება მისცა. მხოლოდ ბოლო კილომეტრზე შეძლო მან რუსთან მიახლოება და მათ ერთად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, რითაც ესპანელმა მესამე ადგილი შეინარჩუნა.

**XII ეტაპი**

**ბურ დე პეაჟი-მანდი (210.5 კმ)**

1. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - 4.58,26; 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - იგივე დრო; 3. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +0,04; 4. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - +0,10; 5. **ანდი შლეკი** (ლუქ, Team SaxoBank) - იგივე დრო; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო...

**XIII ეტაპი**

**როდეზი-რეველი (196 კმ)**

1. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - 4.26,26; 2. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, HTC-Columbia) - +0,13; 3. **ალესანდრო პეტაკი** (იტა, Lampre) - იგივე დრო; 4. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 5. **ხოსე ხოაკინ როხას ჰილი** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო; 6. **ჯულიან დინი** (ახ. ზელ, Garmin) - იგივე დრო...

**XIV ეტაპი**

**რეველი-დომენი (184.5 კმ)**

1. **კრისტოფ რიბლონი** (საფ, Ag2r La Mondiale) - 4.52,42; 2. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +0,54; 3. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო; 4. **ანდი შლეკი** (ლუქ, Team SaxoBank) - +1,08; 5. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - იგივე დრო; 6. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - იგივე დრო; 7. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - იგივე დრო; 8. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - იგივე დრო... 10. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - 1,49; 11. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, Radioshack) - +1,53; 13. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - იგივე დრო... 21. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +2,30; 37. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +5,39... 70. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +15,14...

**საერთო ჩათვლა**

1. **ანდი შლეკი** (ლუქ, Team SaxoBank) - 68.02,30; 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +0,31; 3. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +2,31; 4. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +2,44; 5. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - +3,31; 6. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - +4:27; 7. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +4,51... 10. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +6:52; 11. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +7,04; 12. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - +7,11... 15. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +8,15... 19. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +12,39... 38. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +39,44...

ცხელი ხაზი

**ჩოგბურთი**

**ATP. ბასტადი**

| | |
|---|---|
| სიოდერლინგი-**ფერერი** | 4:6, 6:3, 6:2 |
| **ალმაგრო**-რობრედო | 6:1, 6:3 |
| სიოდერლინგი-**ალმაგრო** | 5:7, 6:3, 2:6 |

**ATP. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| ფერერო-**მონტანიესი** | 3:6, 6:7 |
| **მონფილსი**-ხიმ. ტრავერო | 6:4, 4:6, 6:0 |
| მონფილსი-**მონტანიესი** | 2:6, 2:6 |

**WTA. პალერმო**

| | |
|---|---|
| **კანეპი**-ოპრანდი | 6:3, 6:2 |
| **პენეტა**-გორჯესი | 6:0, 6:4 |
| პენეტა-**კანეპი** | 4:6, 3:6 |

**WTA. პრაღა**

| | |
|---|---|
| **ბ. ზახვალოვა**-შნიდერი | 6:2, 6:0 |
| **შავაი**-ჰრადეცკა | 6:2, 6:4 |
| **შავაი**-ბ. ზახვალოვა | 6:2, 1:6, 6:2 |

TV პროგრამა

**19 ივლისი. ორშაბათი**

**I არხი**

**22:00** არენა.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**08:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ოლიმპიაკოსი-ბორდო.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვილიარეალი-ვოლფსბურგი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ჩელსი.
**14:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია.
**16:10** ახალი ამბები.
**16:30** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვოლფსბურგი-ვილიარეალი.
**18:30** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
**20:30** რუსეთის ჩემპიონატი. სატურნი-ნალჩიკი (LIVE).
**22:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
**00:40** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
**02:30** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვერდერი-ტვენტე.
**04:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**10:30** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**10:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
**11:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ავსტრია. საფრანგეთი.
**12:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**13:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:15** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. მაროკო.
**14:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი. რეველი-არტუა დომეინი.
**16:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პამიე-ბანიერე დე ლუშონი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ჰოლანდია. საფრანგეთი.
**21:00** ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პამიე-ბანიერე დე ლუშონი.
**22:45** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**01:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ჰოლანდია. საფრანგეთი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**03:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

ამბები

**ფორმულა 1**

## სენა დაბრუნდება, ჩანდჰოკი წავა

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ის აუთსაიდერ გუნდ HRT-ში კიდევ ერთი ცვლილება მოხდება. ამ საჯინიბოს ბოლიდით ზედიზედ მეორე რბოლას ჩაატარებს მესამე პილოტი, იაპონელი **საკონ იამამოტო**, რომელიც ამჯერად ინდოელ **კარუნ ჩანდჰოკს** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ იამამოტომ წინა ეტაპზე - ბრიტანეთის გრან-პრიზე HRT-ის ბრაზილიელი პილოტი **ბრუნო სენა** შეცვალა, რომელიც გერმანიის გრან-პრიდან განაახლებს ჩემპიონატში გამოსვლას.

HRT-ში უნიკალური სიტუაციაა შექმნილი - გუნდი სერიოზულად ჩამორჩება სხვა საჯინიბოებს და არანაირი სპორტული მიზნები არ აქვს, ამიტომაც ესპანური საჯინიბო „ფულის კეთებაზეა" გადასული - საჭესთან ის პილოტი ჯდება, რომელიც გუნდს მეტ თანხას გადაუხდის.

ინდოელი პილოტი იმედოვნებს, რომ მიეცემა რბოლებში დაბრუნების საშუალება: *„ჯერჯერობით გუნდს დარჩენილი რბოლების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ რამდენიმე გრან-პრიში მივიღებ მონაწილეობას. შეიძლება ყველა რბოლაში ვერ გამოვიდე, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა დამპირდა, რომ თავის გამოჩენის საშუალება აუცილებლად მომეცემა"*.

**ოლიმპიზმი**

## ამერიკელებს მედლები დაუბრუნეს

ლოზანაში სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ სიდნეის ოლიმპიადის ქალთა ესტაფეტებში მონაწილე შვიდი ამერიკელი მძლეოსნისთვის ოლიმპიური მედლების დაბრუნება მოითხოვა. 2000 წელს 4x400 მეტრზე ამერიკის ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა, 4x100 მეტრზე - ბრინჯაოს მედალი.

იმის მიუხედავად, რომ ამერიკის ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა **მერიონ ჯონსმა** დოპინგის მიღება აღიარა და მოგვიანებით დისკვალიფიკაცია მიიღო, სპორტსმენებს ჯილდოები დაუტოვეს. მერიონი ორივე ფინალურ გარბენში იღებდა მონაწილეობას და ამის გამო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მის თანაგუნდელებს მედლების უკან დაბრუნება მოსთხოვა.

ეს გადაწყვეტილება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრდა. ამ ორგანიზაციამ კი სპორტსმენების სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლომ გაარკვია, რომ 2000 წელს არ იყო გათვალისწინებული მთელი გუნდის დისკვალიფიკაცია ერთი მორბენლის გამო, შესაბამისად, ამერიკელი მძლეოსნების დასჯა უსაფუძვლო გახლდათ.

**მძლეოსნობა**

## სემენიამ ზედიზედ მეორე მოიგო

სამხრეთაფრიკელმა მძლეოსანმა **კასტერ სემენიამ** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ ზედიზედ მეორე სტარტი მოიგო - მან ამჯერადაც თავის საყვარელ 800-მეტრიან დისტანციაზე გამოიჩინა თავი. სემენიამ კვლავ ფინეთში იასპარეზა - Savo Games-ზე ორი წრე 2 წუთსა და 2.41 წამში დაფარა. მანამდე კასტერმა Lappeenranta Games-ზე დაიკავა პირველი ადგილი.

ახლა აფრიკელი სამშობლოში გააგრძელებს წვრთნას, აგვისტოში ევროპაში დაბრუნდება და რამდენიმე ტურნირზე გამოსვლით დაასრულებს სეზონს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



# ვაიდიშოვამ იქორწინა

საჩოგბურთო სამყაროს ახალი ოჯახი ჰყავს. შაბათს პრაღაში იქორწინეს ჩეხმა ჩოგბურთელებმა - **რადეკ შტეპანეკმა** და **ნიკოლ ვაიდიშოვამ**.

საზეიმო ცერემონია წმინდა ვიტის ტაძარში ჩატარდა. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ - ჩეხური ჰოკეის ლეგენდა **იარომირ იაგრი**, მოქმედი ჩოგბურთელი **ბარბორა ზახვალოვა-სტრიკოვა...**

31 წლის შტეპანეკი ამჟამად 29-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში. მან წელს სეზონის დიდი ნაწილი სხვადასხვა ხასიათის ტრავმის გამო გამოტოვა.

ბოლო ორი წელია ძალიან სუსტად თამაშობს 21 წლის ვაიდიშოვა. მაგალითად, შარშანდელ სეზონში ის მხოლოდ სამჯერ გავიდა WTA-ის ტურნირების მესამე წრეში. ამჟამად ის კლასიფიკაციის მეორე ასეულში იმყოფება.

შტეპანეკს ვაიდიშოვამდე შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისთან** ჰქონდა რომანი.

# მაკინროის აკადემია

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი** ნიუ იორკში საკუთარი საჩოგბურთო აკადემიის გახსნას აპირებს. ორი კვირის განმავლობაში გაიმართება საჩვენებელი ტურნირები, რომელშიც 4-16 წლის ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას. ამის შემდეგ 40 საუკეთესო ნორჩი ჩოგბურთელი აკადემიაში ჩაირიცხება.

*„ამ წამოწყების გამო ოპტიმიზმით ვარ სავსე, - საკუთარი აზრი გაუზიარა ჟურნალისტებს მაკინროიმ. - ნიუ იორკი დიდი შესაძლებლობების ქალაქია. ამერიკაში უნდა ავამაღლოთ ჩოგბურთის პოპულარობის დონე და უფრო მეტმა ადამიანმა უნდა დააფასოს სპორტის ეს სახეობა. თუ სხვა ქვეყნის სპორტსმენები ჩემი აკადემიის წყალობით წარმატებას მიაღწევენ, ეს ამერიკელი ბავშვებისთვის სტიმული იქნება და ისინი ჩოგბურთს აირჩევენ. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ჩემპიონები გაჩნდებიან“.*



საჩოგბურთო აკადემიების გახსნა საკმაოდ მოდური საქმეა. ამას საფუძველი ლეგენდარულმა **ნიკ ბოლეტიერიმ** ჩაუყარა. დღეს საკუთარი აკადემიები აქვთ მაგალითად, **ჟუსტინ ანენს**, ესპანელ **ემილიო სანჩესს**, რომელიც ბარსელონაში ავარჯიშებს პატარა ჩოგბურთელებს. ცოტა ხნის წინ ახალი სკოლა გაიხსნა ფლორიდაში...

# სერენას უცნაური ტრავმა

## ჟუსტინ ანენმა დაბრუნება დაგეგმა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** ამერიკის ღია პირველობამდე სამ ტურნირს გამოტოვებს. ამერიკელმა ჩოგბურთელმა რესტორანში გატეხილ ჭიქაზე ფეხი გაიჭრა და ტერფზე ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

სააგენტო AP-ის ცნობით, სერენა ვერ ითამაშებს სტამბოლის, ცინცინატისა და მონრეალის ტურნირებზე, თუმცა აუცილებლად გამოვა „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირზე - ამერიკის ღია პირველობაზე, რომელიც 30 აგვისტოს დაიწყება.



*„ძალიან დამწუხრებული ვარ იმის გამო, რომ მომავალ ტურნირებზე სულელური ტრავმის გამო ვერ მივიღებ მონაწილეობას და ვერ მოვასწრებ „დიდი სლემის“ ტურნირისთვის სათანადოდ მომზადებას. მადლობა ყველას დახმარებისთვის და მოუთმენლად დაველოდები კორტზე დაბრუნებას“*, - დაწერა თავის ვებგვერდზე უიმბლდონის ჩემპიონმა.

■ ■ ■

გაირკვა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის **ჟუსტინ ანენის** დაბრუნების თარიღი. ბელგიელი ჩოგბურთელი უიმბლდონზე მიღებულ იდაყვის ტრავმას მკურნალობს და სავარაუდოდ, ოქტომბერში პეკინის სუპერტურნირზე განაახლებს კარიერას.

*„იმედი გვაქვს, რომ ჟუსტინის მომდევნო ტურნირი პეკინი იქნება,* - ამბობს ჩოგბურთელის მწვრთნელი **კარლოს როდრიგესი**. - *ის აუცილებლად ითამაშებს ჩინეთში, თუ იმ დროისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს“.*

ანენმა წელს ორი ტურნირი მოიგო - შტუტგარტსა და ჰერტოგენბოშში, თუმცა „დიდი სლემის“ ტურნირებზე წარმატების მიღწევა ვერ შეძლო. ამასთან, როდრიგესი დარწმუნებულია, რომ მისი შეგირდი შეძლებს მომავალ წელს დიდი ტურნირის მოგებას.

*„ვფიქრობ, ის შეძლებს „დიდ სლემზე“ წარმატების მიღწევას, უბრალოდ დრო სჭირდება,* - ამბობს როდრიგესი. - *ტრავმის შემდეგ ანენი უკეთესად დაიწყებს თამაშს“.*



# მონაკოს გრან-პრი არ იქნება?

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** ახალ ქვეყნებში ეტაპების ჩატარებაზე ოცნებობს, მაგრამ კალენდარში თავისუფალი ადგილები არ არის და არც რბოლების გაზრდის შესაძლებლობა არსებობს. ამიტომაც, არ არის გამორიცხული ტრადიციული ევროპული ეტაპები დაზარალდნენ. ექლსტოუნი შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ თავის პროექტებს ლეგენდარული მონაკოს გრან-პრი შესწიროს, მით უმეტეს, ამ რბოლის ორგანიზებისგან ფინანსური მოგება არც ისე დიდია, ხოლო ევროპული ავტოდრომების ხელმძღვანელები მეტი თანხის გადახდას ვერ ახერხებენ.



*„2006 წელს ჩემპიონატის ჩატარებაზე უფლებები 1.5 მილიარდ ევროდ შევიძინეთ, ახლა კი ღირებულება 4.5 მილიარდამდე გაიზარდა. ჩვენთან ორი რამ არის ხელშეუხებელი - ფორმულა 1-ის ბრენდი და გუნდი „ფერარი“. ვფიქრობ, მონაკოს გარეშეც გავართმევთ თავს - ევროპელებმა მეტი თანხა უნდა გადაიხადონ, თუ არა, მაშინ სხვა ბაზრებზე მოგვიწევს გასვლა, მაგალითად, რუსეთში, სადაც 2012 წელს სოჭში შეგვიძლია რბოლის ორგანიზება“*, - ამბობს ბერნი ექლსტოუნი.

მომდევნო წელს ფორმულა 1-ის კალენდარში, შესაძლოა, 20 ეტაპი ვიხილოთ. 2011 წელს იგეგმება ინდოეთის გრან-პრის დებიუტი.

# მერსედესი შუმის არ გაუშვებს



კონცერნ „მერსედესის“ სპორტული განყოფილების შეფმა **ნორბერტ ჰაუგმა** განაცხადა, რომ 2011 წლის სეზონში გერმანული საჯინიბო შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს - გუნდში დარჩებიან **მიხაელ შუმახერი** და **ნიკო როსბერგი**. ამით ჰაუგმა უარყო ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი წლის ბოლოს სამუდამოდ დაასრულებს მრბოლელის კარიერას.

*„მიხაელი ახლა იმაზეა კონცენტრირებული, რომ 2010 წლის სეზონის დარჩენილ რბოლებში მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოს, მომავალ წელს კი საჩემპიონო რბოლაში ჩართვა სცადოს,* - მოჰყავს ჰაუგის სიტყვები სააგენტო „როიტერს“. - *მეტსაც გეტყვით: დღევანდელი შუმახერი უფრო მომწონს: ის სრულად ინარჩუნებს სიმშვიდეს, მაგრამ თან წარმატებისკენ მიისწრაფის - ამან გუნდზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არ მინდა, რომ შუმახერის ან როსბერგის ადგილი ვინმე სხვამ დაიკავოს“.*

*„არ მიმაჩნია, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ჩემგან დაცვა სჭირდებოდეს. მეორე მხრივ, მესმის რატომაც წარმოიშვა ბოლოდროინდელი პოლემიკა. მაგრამ პასუხი კითხვაზე - შეუძლია თუ არა შუმახერს წარმატების მიღწევა, ჩემი აზრით ცალსახაა - შეუძლია“*, - დაამატა „მერსედესის“ შეფმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www.tqveniurologi.ge

9 ივლისიდან




**რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი**

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის